

**უცხო სახელმწიფოთა  
სასამართლო  
გადაწყვეტილებათა  
ცნობა-აღსრულება  
საქართველოს უზენაესი  
სასამართლოს პრაქტიკაში  
(2018-2021 წლის I ნახევარი)**

კვლევა მოამზადა

**მანია ასალაქაძე**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
სამოქალაქო საქმეთა პალატის ექსპერტი

რედაქტორი

**ნინო კიკიბური**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

© საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2021

ISBN 978-9941-8-2368-8

## შინაარსი

შისაკვალ	5
1. შუამდგომლობა, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, დაკმაყოფილდა	8
2. შუამდგომლობა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, არ დაკმაყოფილდა	75
3. შუამდგომლობას, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, უარი ეთქვა განსახილველად მიღებაზე	81
4. შუამდგომლობა, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, განუხილველად იქნა დატოვებული	112
5. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის უზრუნველყოფა	130
სამართლებრივი დასკვნა	142

## **შემოკლება**

**სპეციალური კანონი** – საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონი

**მინსკის კონვენცია** – „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენცია

**ნიუ-იორკის კონვენცია** – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებული ნიუ-იორკში, 1958 წლის 10 ივნისს

**ბავშვთა კონვენცია** – „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ 1996 წლის კონვენცია

**სსკ** – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

**სსსკ** – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

**სუსგ** – საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება

## შესავალი

საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობასთან გვაქვს საქმე ყოველთვის, როდესაც ურთიერთობაში მონაწილეობს უცხოური ელემენტი და ურთიერთობა სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივია. უცხო ელემენტი ურთიერთობაში გვაქვს მაშინ, როდესაც: ა) ასეთი ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე უცხო ქვეყნის მოქალაქე ან იურიდიული პირია; ბ) ასეთი ურთიერთობის ობიექტი არის ნივთი, რომელიც უცხოეთში იმყოფება; გ) იურიდიულ ფაქტს, რომელიც იწვევს სამოქალაქო ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას ადგილი ჰქონდა უცხოეთში.<sup>1</sup>

საერთაშორისო კერძო სამართალს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია, ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერ ქვეყანაში. მისი შინაარსი დაიყვანება კოლიზიური პრობლემის გამოვლენასა და სამართლის სისტემათა შორის კონკურენციის თავიდან აცილებაში. კოლიზიური ნორმების მეშვეობით, საერთაშორისო კერძო სამართალი განსაზღვრავს უცხოური ელემენტის მონაწილეობით წარმოშობილი კერძოსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისათვის, რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნას გამოყენებული. განმარტებისთვის შეიძლება აღინიშნოს, რომ უცხო ელემენტის მატარებელი შეიძლება იყოს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ობიექტი ან იურიდიული ფაქტი.<sup>2</sup>

სხვადასხვა ქვეყნის მენარმე სუბიექტებს შორის საქმიანი, ბიზნესურთიერთობების დამყარების გააქტიურების ფონზე, აქტუალურია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ლეგიტიმურობის აღიარების მოთხოვნა.<sup>3</sup> მეტადრე, იმის გათვალისწინებით, რომ აქტიურ ბიზნესურთიერთობებს ახლავს სასამართლო დავები დარღვეული უფლების აღდგენისა თუ სადავო

<sup>1</sup> თ. ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2001, 13.

<sup>2</sup> სუსგ №ას-392-2021, 29 სექტემბერი, 2021.

<sup>3</sup> ლ. გოთუა, „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება“ (სადოქტორო ნაშრომი) 2010, 15. [https://www.tsu.ge/data/file\\_db/faculty-lawpublic/levan%20gotua.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-lawpublic/levan%20gotua.pdf). 20.04.2017 წ. მითითებულია: გაგუა ი., ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2017, 111.

გამხდარი უფლების დადგენის მოთხოვნით. უცხო სახელმწიფო-სათვის ამგვარი სამართლებრივი დახმარების განევის ამოსავალ პრინციპად ეფექტიანი და სწრაფი ვაჭრობის პრაქტიკული ინტერესი გვევლინება. თავად სამართლებრივი დახმარების არსი კი, ისაა, რომ უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობის საფუძველზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებას ენიჭება ლეგიტიმაცია საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური კომპონენტით დატვირთული სამართალწარმოებისას.<sup>4</sup>

ლეგიტიმაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, არანაკლებ დასაფიქრებელია „დე ფაქტო“ ტერიტორიების პრობლემა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სახელმწიფოს გარკვეული ნაწილი ოკუპირებულია და ამ ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლება მოკლებულია ეფექტიანი კონტროლის მექანიზმს.

უცხოური სახელმწიფო სასამართლოებისა და საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებებს ცნობს და აღსრულებად აცხადებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა („საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში: სპეციალური კანონი) 68.5 მუხლი). საქართველოს უზენაესი სასამართლო აგრეთვე, ახორციელებს საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობასა და აღსრულებას საქართველოს ტერიტორიაზე (სპეციალური კანონის 73 (1)-ე მუხლი, სსსკ-ის 356(22) მუხლი და არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე-45-ე მუხლები).<sup>5</sup>

წინამდებარე კვლევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების თაობაზე მოცემული და დალაგებულია შუამდგომლობის განხილვის შედეგის მიხედვით. კერძოდ, მითითებულია განჩინებები, რომლითაც შუამდგომლობა უცხო სახელმწიფოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდა, შუამდგომლობა

<sup>4</sup> გაგუა ი., ბიზნესდავები და სასამართლო პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2017, 112.

<sup>5</sup> იქვე, 112.

არ დაკმაყოფილდა, უარი ეთქვა განსახილველად მიღებაზე, განუხილველად იქნა დატოვებული და განხილულ იქნა ასეთი შუამდგომლობის უზრუნველყოფის საკითხები.

კვლევამ აჩვენა, რომ შუამდგომლობათა უდიდესი ნაწილი საოჯახო დავებზე (ქორწინების შეწყვეტა, შვილად აყვანა, გვარის შეცვლა, შვილებზე მეურვეობისა და მათთან ურთიერთობის საკითხები, ალიმენტის დაკისრება და ა.შ.) მიღებულ გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებას შეეხება. მნიშვნელოვანია საქმეები, რომელშიც შუამდგომლობის ავტორი, სახელშეკრულებო დავებიდან გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ფულადი ვალდებულების დაკისრების შესახებ, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას ითხოვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევა საინტერესო და სასარგებლო იქნება საკითხით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის გამჭვირვალობით და გაცნობის შესაძლებლობით უზრუნველყოფს, საქართველოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნისას სამართალწარმოების პროცესში მათ სამართლებრივ დახმარებას.

# 1. შუამდგომლობა, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, დაკმაყოფილდა

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა სანარმოს შუამდგომლობა ფულადი დავალიანების გადახდის შესახებ, ბელარუსის რესპუბლიკის... ეკონომიკური სასამართლოს გადაწყვეტილების, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.<sup>6</sup>

სასამართლომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება აღსასრულებლად მიაქცია შემდეგი სამართლებრივი საფუძვლით:

სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

სპეციალური კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით.

მინსკის კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილებათა ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის შესახებ, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში, თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების თაობაზე.

კონვენციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს შეუძლიათ განიხილონ საქმეები სხვა შემთხვევებშიც, თუ არსებობს მხარეთა წერილობითი შეთანხმება სასამართლოებისთვის დავის გადაცემის შესა-

<sup>6</sup> სუსგ №ა-65-შ-1-2021, 9 ივლისი, 2021.



ხებ. ამასთან, განსაკუთრებული კომპეტენცია, რომელიც გამომდინარეობს კონვენციის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტიდან და მეორე კარის II-V ნაწილებით დადგენილი ნორმებიდან, აგრეთვე შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის შიდა კანონმდებლობიდან, არ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა მხარეთა შორის არსებულ ხელშეკრულებაზე, რომლითაც მხარეები შეთანხმებული იყვნენ დავის წარმოშობის შემთხვევაში ბელარუსის რესპუბლიკის... სასამართლოს ან თბილისის საქალაქო სასამართლოს განსჯადობაზე და ასევე, ბელარუსის რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე. ამასთან, სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის წარმოშობილ დავაზე არ ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია.

უზენაესმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოწინააღმდეგე მხარეს არ წარმოუდგენია მოსაზრება აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

უზენაესმა სასამართლომ შუამდგომლობა განიხილა რა, კონვენციით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში, მიიჩნია, რომ დაცულია საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წინაპირობები უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანაცვეტილების ცნობისა და იძულებითი აღსრულების შესახებ.

კონკრეტულ საქმეში,<sup>7</sup> საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა რა, შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო სა-

<sup>7</sup> სუსგ №ა-834-შ-18-2021, 9 ივნისი, 2021, მინსკის კონვენციის საფუძველზე, უცხო სახელმწიფოთა სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების შესახებ, იხ.: სუსგ-ები: №ა-4227-შ-98-2020, 28 ივნისი, 2021, №ა-1791-შ-40-2021, 4 ივნისი, 2021, №ა-2155-შ-47-2021, 9 ივლისი, 2021, №ა-4723-შ-112-2020, 15 აპრილი, 2021, №ა-4411-შ-105-2020, 12 აპრილი, 2021, №ა-4724-შ-114-2020, 12 მარტი, 2021, №ა-4098-შ-110-2019, 30 ოქტომბერი, 2020, №ა-984-შ-30-2019, 28 ოქტომბერი, 2020, , №ა-5694-შ-172-2019, 18 მაისი, 2020, №ა-ე-22019, 8 ივნისი, 2020, №ა-195-შ-9-2019, 12 ივლისი, 2019, №ა-2625-შ-72-2019, 22 ივლისი, 2019, №ა-5138-შ-156-2019, 27 დეკემბერი, 2019, საქმე №ა-2266-შ-59-2019, 25 ივლისი, 2019 (პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება), №ა-5467-შ-136-2018, 7 ოქტომბერი, 2019, №ა-179-შ-7-2019, 12 თებერვალი, 2019, არაქმედუნარიანად ცნობა, №ა-4218-შ-122-2019, 6 დეკემბერი, 2019, №ა-3996-შ-102-2018, 24 დეკემბერი, 2018.

სამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ, განმარტა, რომ ვინაიდან „რუსეთის ფედერაციის საარბიტრაჟო სასამართლოების შესახებ“ რუსეთის ფედერაციის 1995 წლის 5 აპრილის ფედერალური საკონსტიტუციო კანონის პირველი მუხლის თანახმად, რუსეთის ფედერაციაში საარბიტრაჟო სასამართლოები წარმოადგენენ ფედერალურ სასამართლოებს და შედიან რუსეთის ფედერაციის საერთო სასამართლოების სისტემაში, საკასაციო პალატა მოცემული შუამდგომლობის განხილვისას იხელმძღვანელებს მინსკის კონვენციითა და სპეციალური კანონით.

მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების თანახმად, ნებისმიერი დავა, რომელიც გამომდინარეობს ამ ხელშეკრულებიდან, ექვემდებარება სასამართლო განხილვას სანქტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის საარბიტრაჟო სასამართლოში.

**შუამდგომლობის ავტორის მიერ წარდგენილი სანქტ-პეტერბურგისა და ლენინგრადის რეგიონის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გაცემული ცნობებიდან ირკვევა, რომ ამავე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის ცნობასაც ითხოვს მხარე, კანონიერ ძალაში შევიდა და ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას, ამასთან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე იგი არ აღსრულებულა. ასევე დადგენილია, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით ინფორმირებული იყო სასამართლო განხილვის შესახებ, თუმცა, ის სხდომაზე არ გამოცხადდა. მოპასუხე საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირია.**

სასამართლომ აღნიშნა, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის თაობაზე მოწინააღმდეგე მხარე ჯეროვნად იყო ინფორმირებული, თუმცა, მას საკუთარი საპროცესო უფლებებით არ უსარგებლია.

მინსკის კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილებათა ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის შესახებ, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში, თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება

იძულებითი აღსრულების შესახებ.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების საქართველოში ცნობისა (სპეციალური კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტი) და აღსრულების (სპეციალური კანონის 71 ე მუხლი) წინაპირობები.

**ვინაიდან გადანყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნის მიმართ მხარეს არ გააჩნია ნამდვილი იურიდიული ინტერესი, შუამდგომლობა ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.**

ერთ საქმეში,<sup>8</sup> საკასაციო სასამართლომ **ნაწილობრივ დააკმაყოფილა** შუამდგომლობა უცხო ქვეყნის გადანყვეტილების ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით. სასამართლომ აღნიშნა, რომ

---

<sup>8</sup> სუსგ №ა-2541-შ-63-2021, 7 ივნისი, 2021, იხ. ასევე №ა-2825-შ-78-2019, 26 ივლისი, 2019. საოჯახო სამართლებრივ საკითხებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებათა ცნობა-აღსრულების თაობაზე, იხ. სუსგ-ები: №ა-935-შ-20-2021, 8 ივლისი, 2021, №ა-1409-შ-29-2021, 30 ივლისი, 2021, №ა-2329-შ-52-2021, 7 ივნისი, 2021, №ა-2623-შ-67-2021, 7 ივნისი, 2021, №ა-4266-შ-101-2020 29 ივნისი, 2021, №ა-2843-შ-72-2021, 12 ივლისი, 2021, №ა-2161-შ-48-2021, 4 ივნისი, 2021 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-2295-შ-53-2021, 03 ივნისი, 2021(ქორწინების შეწყვეტა), №ა-2328-შ-54-2021, 2 ივლისი, 2021 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-2462-შ-59-2021, 30 ივნისი, 2021 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-2590-შ-66-2021, 30 ივნისი, 2021 (შვილად აყვანა), №ა-2753-შ-69-2021, 25 ივნისი, 2021 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-2817-შ-70-2021,18 ივნისი, 2021 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-2944-შ-76-2021, 25 ივნისი, 2021 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-3200-შ-83-2021,16 ივლისი, 2021 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-3213-შ-85-2021, 14 ივლისი, 2021, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-3352-შ-89-2021, 14 ივლისი, 2021, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-1202-შ-25-2021, 29 მარტი, 2021 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-587-შ-12-2021,12 მარტი, 2021, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-301-შ-5-2021, 11 მარტი, 2021, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-90-შ-2-2021, 10 თებერვალი, 2021 (მეურვეობის დადგენა), №ა-1888-შ-42-2021, 29 აპრილი, 2021 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-4159-შ-96-2020, 25 მარტი, 2021 აღიშენის დაკისრება, №ა-1112-შ-22-2021, 31 მარტი, 2021 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-127-შ-3-2021, 5 მარტი, 2021 აღიშენის დაკისრება, №ა-5194-შ-126-2020, 11 თებერვალი, 2021, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-342-შ-6-2021, 24 მარტი, 2021 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-252-შ-4-2021, 4 თებერვალი, 2021, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-3699-შ-86-2020, 9 მარტი, 2021 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-1525-შ-40-2020, 28 იანვარი, 2021 (გვარის შეცვლა), №ა-4492-შ-108-2020, 28 აპრილი, 2021, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-4890-შ-117-2020, 18 თებერვალი, 2021, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-4489-შ-107-2020, 28 იანვარი, 2021, (ქორწინების შეწყვეტა), საქმე№ა-1206-შ-26-2021, 29 მარტი, 2021 (შვილად აყვანა), №ა-473-შ-9-2021, 24 თებერვალი, 2021 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-551-შ-11-2021, 8 აპრილი, 2021, (ქორწინების

შენწყვეტა), № ა-2316-შ-49-2020, 29 სექტემბერი, 2020 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-2769-შ-58-2020, 23 სექტემბერი, 2020, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-3925-შ-20-2020, 24 ნოემბერი, 2020 (მამობის დადგენა), №ა-4057-შ-94-2020, 6 ნოემბერი, 2020, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-4092-შ-95-2020, 24 ნოემბერი, 2020, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-4164-შ-97-2020, 6 ნოემბერი, 2020 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-2799-შ-59-2020, 12 ოქტომბერი, 2020 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-2822-შ-61-2020, 12 ოქტომბერი, 2020 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-2853-შ-62-2020, 12 ოქტომბერი, 2020 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-3148-შ-67-2020, 23 სექტემბერი, 2020, მეურვეობის დადგენა, №ა-3244-შ-75-2020, 24 სექტემბერი, 2020 (მშობლის უფლების ჩამორთმევა), ა-256-შ-5-2020, 31 იანვარი, 2020, განქორწინება, №ა-4668-შ-148-2019, 31 იანვარი, 2020 (მეურვეობის დაკისრება), №ა-5710-შ-174-2019, 17 იანვარი, 2020 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-5777-შ-178-2019, 31 იანვარი, 2020 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-5575-შ-166-2019, 7 მაისი, 2020 (ქორწინების შეწყვეტა), № ა-1961-შ-46-2020, 21 ივლისი, 2020, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-868-შ-19-2020, 8 ივნისი, 2020, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-986-შ-22-2020, 8 ივნისი, 2020 ალიმენტის დაკისრება, №ა-1128-შ-28-2020, 29 მაისი, 2020 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-1222-შ-31-2020, 8 ივნისი, 2020 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-2576-შ-69-2019, 7 ივლისი, 2020 (ალიმენტის დაკისრება), №ა-4100-შ-111-2019, 28 თებერვალი, 2020 (შვილად აყვანა), №ა-4154-შ-116-2019, 13 მარტი, 2020 (არასრულწლოვან შვილზე მეურვეობის დადგენა), №ა-4421-შ-136-2019, 2 მარტი, 2020 (ალიმენტის დაკისრება), №ა-5713-შ-173-2019, 10 ივნისი, 2020 (ქორწინების შეწყვეტა), საქმე № ა-76-შ-3-2020, 19 თებერვალი, 2020 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-169-შ-4-2020, 13 თებერვალი, 2020 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-814-შ-18-2020, 13 მარტი, 2020 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-987-შ-23-2020, 6 მაისი, 2020, (მშობლის უფლება-მოვალეობის განსაზღვრის პროცედურა), №ა-1033-შ-24-2020, 13 მაისი, 2020, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-1117-შ-34-2019, 12 ივლისი, 2019, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-2355-შ-62-2019, 12 ივლისი, 2019, (ქორწინების შეწყვეტა), №ა-4314-შ-128-2019, 27 დეკემბერი, 2019 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-4395-შ-135-2019 27 დეკემბერი, 2019 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-5001-შ-153-2019 27 დეკემბერი, 2019 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-4852-შ-151-2019, 8 ნოემბერი, 2019 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-1558-შ-40-2019, 29 ივლისი, 2019 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-2302-შ-60-2019, 13 ნოემბერი, 2019 (ალიმენტის დაკისრება), №ა-3412-შ-92-2019 5 აგვისტო, 2019 (ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა), №ა-6027-შ-145-2018, 17 მაისი, 2019 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-216-შ-11-2019, 29 მაისი, 2019 (შვილად აყვანა), №ა-1014-შ-31-2019, 17 აპრილი, 2019 (მშობლის უფლებების მინიჭება, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა), №ა-1768-შ-45-2019, 15 ივლისი, 2019 (ალიმენტის დაკისრება), №ა-2604-შ-72-2018, 9 იანვარი, 2019 მეურვის დანიშვნა, №ა-3304-შ-91-2019, 31 ივლისი, 2019 (გვარის შეცვლა), №ა-4196-შ-121-2019, 25 ოქტომბერი, 2019, №ა-5497-შ-138-2018, 1 მარტი, 2019 (შვილად აყვანა), №ა-1199-შ-25-2018, 18 მაისი, 2018 (ალიმენტის დაკისრება), №ა-1655-შ-34-2018, 18 მაისი, 2018 (გვარის შეცვლა), №ა-2262-შ-55-2018 13 ივლისი, 2018 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-2449-შ-67-2018 1 ოქტომბერი, 2018 (შვილად აყვანა), №ა-3559-შ-88-2018 22 ნოემბერი, 2018 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-3581-შ-97-2017 19 მარტი, 2018 (ქორწინების შეწყვეტა), №ა-1925-შ-47-2018 3 ივლისი, 2018 (ალიმენტის დაკისრება), №ა-2035-შ-49-2018 3 ივლისი, 2018 (მშობლის უფლების ჩამორთმევა), №ა-4714-შ-118-2017 12 თებერვალი, 2018 (ქორწინების შეწყვეტა).

სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმებში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, შესაბამისად, საფრანგეთის რესპუბლიკის, პუატიეს უზენაესი სასამართლოს, მეორე სამოქალაქო პალატის განქორწინების გადაწყვეტილება ცნობილ უნდა იქნას საქართველოს ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ამავე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევას, ამ საკითხს არეგულირებს სპეციალური კანონის 70-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. სასამართლომ მიუთითა, რომ შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, საქართველოში მოქმედი სასამართლო აქტები განქორწინების შესახებ ექვემდებარება აღსრულებას სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში განქორწინების სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის სახით, რომლის გარეშეც ცალკე აღებული სასამართლო აქტი ვერ დაუკავშირდება განქორწინების ან მისი ტოლფასი შედეგის დადგომას. აღნიშნული განმარტება საკასაციო სასამართლოს მხრიდან ვერ იქნება მიჩნეული ნამდვილ იურიდიულ ინტერესად (სსსკ-ის 180-ე მუხლი), რადგანაც სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის 69-ე მუხლით მოწესრიგებულია ქორწინების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი და ნორმის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, განქორწინების თაობაზე საფრანგეთის რესპუბლიკის... უზე-

ნაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობით მიიღწევა ის იურიდიული შედეგი, რომლის დადგომაც სურს მხარეს, ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნის მიმართ მხარეს არ გააჩნია ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რაც ამ ნაწილში შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

**საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს მხოლოდ მისი ცნობა/აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი წინაპირობების თვალსაზრისით.**

**საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს ან შესწორება შეიტანოს თავად გადაწყვეტილებაში ან მისი სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტში.**

კონკრეტულ საქმეში,<sup>9</sup> საკასაციო სასამართლომ შუამდგომლობა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის გადახდის დაკისრების ნაწილში დააკმაყოფილა, ხოლო ალიმენტის შემცირების ნაწილში უარყო.

სპეციალური კანონის მე-13 მუხლის თანახმად, მშობლებსა და შვილებს შორის პირადი ურთიერთობების, შვილების წარმოშობის, მამობის დადგენის და მათთან დაკავშირებული დავების საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ პროცესის ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხის საცხოვრებელი ადგილი საქართველოა. ამიტომ მოცემულ საქმეზე საქართველოს სასამართლოს გააჩნია საერთაშორისო კომპეტენცია. მინსკის კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილებათა ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის შესახებ, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში, თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძუ-

<sup>9</sup> სუსგ №ა-3880-შ-103-2019, 3 ივნისი, 2021.

ლებითი აღსრულების შესახებ.

უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ წარდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და, ამასთან, არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები არსებობს.

საკასაციო სასამართლომ დაკისრებული აღიმენტიის შემცირების თაობაზე მონინააღმდეგე მხარის მოსაზრებაზე განმარტა, რომ **საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს მხოლოდ მისი ცნობა/აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი წინაპირობების თვალსაზრისით.** უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვა კანონის ფორმალურ დანაწესებთან ამ გადაწყვეტილების შემონმების გზით ხორციელდება, იმგვარად, რომ საკასაციო **სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს ან შესწორება შეიტანოს თავად გადაწყვეტილებაში ან მისი სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტში.** შესაბამისად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეტაპზე საქართველოს უზენაესი სასამართლო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს აღიმენტიის ოდენობის (მისი შემცირების) საკითხზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს რა, კონვენციით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში, მიიჩნევს, რომ დაცულია საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წინაპირობები უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იძულებითი აღსრულების შესახებ.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა აღსრულების საკითხის განხილვისას, საკასაციო პალატა ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი წესრიგის გადასინჯვას ვერ განახორციელებს.**

ანალოგიურ საქმეში, საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა, არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ აღიმენტიის დაკისრების თაობაზე, უკრაინის სასამარ-

თლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ.<sup>10</sup>

სასამართლომ მიუთითა სპეციალური კანონის 68-ე მუხლის პირველ პუნქტსა (საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს) და 70-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებზე (სამოქალაქო სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას). აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.

სპეციალური კანონის 71-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლი და დამონებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, თუ ეს შუამდგომლობის ტექსტიდან არ გამომდინარეობს. შუამდგომლობის განხილვის პროცესში უნდა დადგინდეს, დაცულია თუ არა ამ კანონის 68-ე მუხლით გათვალისწინებული პირობები.

საქართველოსა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულების **(შემდგომში „საერთაშორისო ხელშეკრულება“)** პირველი მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე სარგებლობენ თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც საკუთარი მოქალაქეები. ამ მიზნით მათ უფლება აქვთ, თავისუფლად მიმართონ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სასამართლოებს, პროკურატურისა და ნოტარიუსებს **(შემდგომში „იუსტიციის დანესტრულებებზე“ ნოდებულთ)** და სხვა დანესტრულებებს, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები, აგრეთვე განახორციელონ სხვა პროცესუალური მოქმედებანი, იმავე პირობებით, როგორც ხელშეკრულებით

<sup>10</sup> სუსგ №ა-1060-შ-27-2020, 30 მარტი, 2021.



ბის მონაწილე ამ მხარის მოქალაქეებმა. საერთაშორისო ხელშეკრულების 40-45 მუხლებით დადგენილია გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები.

საერთაშორისო ხელშეკრულების მე-40 მუხლის პირველი პუნქტით, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ცნობენ და აღასრულებენ იუსტიციის დანესებულებების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს სამოქალაქო საქმეებზე. 41-ე მუხლის პირველი პუნქტით, გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ნებართვაზე შუამდგომლობათა განხილვა შედის ხელშეკრულების მონაწილე მხარის სასამართლოთა კომპეტენციაში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს აღსრულება. 42-ე მუხლის პირველი პუნქტით, აღსრულების წესი რეგულირდება ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს აღსრულება.

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ მოქმედებს თეორია, რომელიც ქართულად შეგვიძლია „გათანაბრების თეორიად“ ვთარგმნოთ. ამის მიხედვით, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნას და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას. მაშასადამე, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი. იგი ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემების თანასწორუფლებიანობის პრინციპულ მოსაზრებას. უცხოური სასამართლო აქტის მოქმედების ტერიტორიის გაფართოება არ არის უსაზღვრო. მეორად ქვეყანაში მხოლოდ ის უცხოური საპროცესო შედეგები უნდა იქნას ცნობილი, რომლებსაც იცნობს ცნობის განმახორციელებელი სახელმწიფოს სამართალი.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები მოცემულია როგორც საერთაშორისო ხელშეკრულების 43-ე მუხლში (სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე ან აღსრულების ნებართვაზე შეიძლება უარი ითქვას: 1) თუ შუამდგომლობის აღმძვრელ პირს ან მოპასუხეს არ მიუღია მონაწილეობა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მისი წარ-

მომადგენელს დროულად და სათანადო ფორმით არ ჩაბარდა სასამართლოში გამოძახების უწყება; 2) თუ იმავე სამართლებრივ დავაზე იმავე მხარეებს შორის ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, სადაც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის დაწესებულებების მიერ ადრე აღძრული იყო წარმოება მოცემულ საქმეზე; 3) თუ ამ ხელშეკრულების დებულებების თანახმად, ან ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მის დაწესებულებათა განსაკუთრებულ კომპეტენციას), ისე „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტში. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნები დაცულია.

მონინალმდევე მხარის მსჯელობაზე დაკისრებული აღიმენტიც მალალ ოდენობაზე და მისი შემცირების შესახებ მოთხოვნაზე, საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ როგორც გადანყვეტილებიდან ირკვევა, მოპასუხე ესწრებოდა სასამართლო სხდომას და სარჩელი ცნო სრულად. ამასთან, საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვა კანონის ფორმალურ დანანესებთან ამ გადანყვეტილების შემონმების გზით ხორციელდება, იმგვარად, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს ან შესწორება შეიტანოს თავად გადანყვეტილებაში ან მისი სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტში. პალატამ მიუთითა revision au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილი პრინციპზე, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადანყვეტილების შინაარსობრივ გადამონმებას. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას საკასაციო პალატა ამ გადანყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი წესრიგის გადასინჯვას ვერ განახორციელებს.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოება, მხარისათვის უწყების ჩაბარების თაობაზე, ქმნის გაქარწყლებად პრეზუმფციას, რომლის გაბათილება, ამ შემთხვევაში, სტანდარტული მტკიცებულებით ვერ მოხდება.**

მრავალთაგან ერთ-ერთ საქმეში,<sup>11</sup> სასამართლომ მიუთითა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი წინაპირობები: მინსკის კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილებათა ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის შესახებ, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში, თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ამავე კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ წარდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს მინსკის კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამასთან, არ არსებობს ამავე კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები (გადაწყვეტილებების აღიარებაზე და იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუკი: ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც გამოტანილია გადაწყვეტილება, იგი არ შესულა კანონიერ ძალაში ან არ ექვემდებარება აღსრულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას კანონიერ ძალაში შესვლამდე; მოპასუხეს არ მიუღია მონაწილეობა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის რწმუნებულს დროულად

<sup>11</sup> სუსგ №ა-4227-შ-98-2020, 28 ივნისი, 2021; ასევე, №ა-3680-შ-85-2020, 4 ივნისი, 2021, №ა-3940-შ-91-2020, 27 აპრილი, 2021.

არ გადასცეს სასამართლოში გამოძახება; საქმეზე იმავე მხარეებს, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, სადაც აღიარებულ და აღსრულებულ უნდა იქნას გადაწყვეტილება, ადრე უკვე გამოტანილი იყო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან არსებობს მესამე სახელმწიფოს სასამართლოს აღიარებული გადაწყვეტილება, ანდა თუ ამ ხელშემკვრელი მხარის დანესებულებამ ადრე აღძრა წარმოება ამ საქმეზე; წინამდებარე კონვენციის დებულებათა თანახმად, ხოლო მის მიერ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობისა, რომლის ტერიტორიაზეც გადაწყვეტილება აღიარებული და აღსრულებული უნდა იქნას, საქმე ეხება მისი დანესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას; არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მხარეთა შეთანხმებას სახელშეკრულებო განსჯადობის შესახებ; ამონიურა იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, გათვალისწინებული იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის სასამართლოც ასრულებს დავალებებს). სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამდგომლობა ასევე, აკმაყოფილებს სპეციალური კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებსაც. სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძვლებს (გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება სა-

ქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს). განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს არც 68.2.-ე და არც ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები.

საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი და აღსასრულებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

**მონინალმდევე მხარის განცხადებით, ის სათანადოდ არ იყო მინვეული საქმის განხილვაზე** და არც ბანკის მიერ აღძრული სარჩელის შესახებ ჰქონდა ინფორმაცია. სარჩელის ასლის გადაცემის შესახებ შეტყობინებაზე ხელმოწერა მონინალმდევე მხარეს არ ეკუთვნის, ამასთან, სხვა მტკიცებულება, რომელიც მხარის უწყების ჩაბარების გზით სასამართლოში გამოძახებას დაადასტურებდა – საქმეში წარდგენილი არ არის.

საკასაციო პალატამ შეაფასა სახეზე იყო თუ არა გადაწყვეტილების ცნობა აღსრულებაზე უარის თქმის მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტითა (მოპასუხეს არ მიუღია მონინილება პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის რწმუნებულს დროულად არ გადასცეს სასამართლოში გამოძახება) და სპეციალური კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით (გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები) გათვალისწინებული საფუძველი.

საცნობი გადაწყვეტილების მიხედვით, მონინალმდევე მხარე სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, თუმცა სასამართლო უწყებით სათანადო წესით იყო გაფრთხილებული საქმის განხილვის თარიღის თაობაზე. ამ უკანასკნელმა სასამართლოში წარადგინა განცხადებაც, რომლის თანახმად, მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას არ აღიარებს.

პალატამ მიუთითა, რომ საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე, განსახილველი შუამდგომლობის დასაბუთებულობის კვლევის დროს, **უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოება მხარისათვის უწყების ჩაბარების**

თაობაზე, ქმნის გაქარწყლებად პრეზუმფციას, რომლის გაბათილება, ამ შემთხვევაში, სტანდარტული მტკიცებულებით ვერ მოხდება. მნიშვნელოვანია, რომ მოწინააღმდეგე მხარეს მიეცეს საკუთარი პოზიციის დამტკიცების, ანუ პრეზუმფციის, როგორც ვარაუდის, გაქარწყლების შესაძლებლობა, რაც მოცემულ შემთხვევაში, სრულად იქნა უზრუნველყოფილი მოპასუხისათვის (მოწინააღმდეგე მხარისათვის), თუმცა, მან ვერ უზრუნველყო მტკიცების ტვირთის შუამდგომლობის ავტორისათვის გადაკისრება (შდრ. საქმე №ა-4744-შ-119-2017, 2018 წლის 30 მაისის განჩინება; საქმე №ა-5067-შ-130-2017, 2018 წლის 26 აპრილის განჩინება).

საკასაციო პალატის განმარტებით, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას, როდესაც აღსასრულებელი გადაწყვეტილება შეიცავს მკაფიო მითითებას საქმის განხილვაში მოპასუხის კანონით დადგენილი წესით ინფორმირების თაობაზე, ეს უკანასკნელია ვალდებული ამტკიცოს, რომ მას არ მიუღია მონაწილეობა საქმის განხილვაში, იმის გამო, რომ კანონით დადგენილი წესით არ გადაეცა უწყება სასამართლოში გამოძახების შესახებ.

საკასაციო პალატის დასკვნით, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ ვერ შეძლო ისეთი მტკიცებულების წარდგენა, რაც გააქარწყლებდა როგორც გადაწყვეტილებით, ისე თანდართული საქმის მასალებით დადასტურებულ ფაქტს, რომ მოწინააღმდეგე მხარე სათანადოდ იყო ინფორმირებული საქმის განხილვის შესახებ.

სხვა საქმეში,<sup>12</sup> საქართველოს ტერიტორიაზე საცნობო უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოპასუხეს (არასრულწლოვანის მამას) კანონით დადგენილი წესით ეცნობა სასამართლო სხდომის დროისა და თარიღის შესახებ, **კერძოდ, სასამართლო შეტყობინება დაბრუნდა აღნიშვნით: „შენახვის ვადის ამონურვის გამო,“** რაც სავსებით საკმარისი საფუძველია საკასაციო სასამართლოს დასარწმუნებლად, რომ მოპასუხე უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ ჯეროვნად და სათანადო წესით

<sup>12</sup> სუსგ №ა-2982-შ-79-2017, 22 თებერვალი, 2018.

იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის ადგილის, დროის, მხარეებისა და დავის საგნის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე თავის წერილობით პასუხში მხოლოდ იმას უთითებს, რომ მას არ ჩაბარებია შეტყობინება სათანადო წესით, თუმცა, საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად არ წარმოდგენია დამაჯერებელი მტკიცებულება, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე საცნობ გადანყვეტილებაში მხარის ჯეროვანი ინფორმირების თაობაზე მითითებულ გარემოებას საეჭვოს გახდიდა.

მოპასუხის წერილობითი პრეტენზიის, რომ ის ლტოლვილია, უმუშევარი, საცხოვრებელი პირობები და არავითარი შემოსავალი არ გააჩნია, ვერ შეძლებს მისთვის სასამართლოს გადანყვეტილებით დაკისრებული ალიმენტის გადახდას, რადგან ამ ოდენობის ხელფასი საქართველოში ცოტას აქვს და არარეალურია არსებული სოციალური ყოფის გათვალისწინებით; საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედი სამართლით არის მიღებული უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღიარება და აღსრულებაა მოთხოვნილი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს რუსეთის ფედერაციაში დადგენილ საარსებო მინიმუმზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დანაწესის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამდგომლობას ერთვის მინსკის კონვენციის 53-ე მუხლით დადგენილი ყველა ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადანყვეტილების აღიარებისა და აღსრულების წინაპირობების შემოწმების საკითხის გადასაწყვეტად, ასევე, არ არსებობს ამავე კონვენციის 55-ე მუხლით დადგენილი რომელიმე წინაპირობა წარმოდგენილი შუამდგომლობით მოთხოვნილი სასამართლო გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და მის აღსრულებაზე უარსაყოფად.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>13</sup> სასამართლომ დააკმაყოფილა რა, შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების ცნო-

<sup>13</sup> სუსგ №ა-4266-შ-101-2020, 29 ივნისი, 2021.

ბისა და აღსრულების შესახებ, აღნიშნა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ მოქმედებს თეორია, რომელიც ქართულად შეგვიძლია „გათანაბრების თეორიად“ ვთარგმნოთ. ამის მიხედვით, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნას და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას. მაშასადამე, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი. იგი ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემების თანასწორუფლებიანობის პრინციპულ მოსაზრებას. უცხოური სასამართლო აქტის მოქმედების ტერიტორიის გაფართოება არ არის უსაზღვრო. მეორად ქვეყანაში მხოლოდ ის უცხოური საპროცესო შედეგები უნდა იქნას ცნობილი, რომლებსაც იცნობს ცნობის განმახორციელებელი სახელმწიფოს სამართალი.

კონკრეტულ საქმეში, საკასაციო სასამართლომ მამის შუამდგომლობა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის ნაწილში დააკმაყოფილა, ხოლო ამავე გადაწყვეტილების აღსრულების ნაწილში განუხილველად დატოვა.<sup>14</sup>

საცნობი გადაწყვეტილებით, არასრულწლოვან შვილზე შეწყდა მშობლების ერთობლივი მეურვეობა; მეურვის უფლება მამას მიენიჭა. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ **მეურვეობის საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება გულისხმობს იმასაც, რომ არასრულწლოვანმა შვილმა უნდა იცხოვროს მეურვეობის მქონე მშობელთან, ანუ მამასთან**. ამიტომ სასამართლომ არ დააკმაყოფილა მამის და დედის მოთხოვნები, რომელიც ეხება შვილის ძირითადი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას თითოეულ მათგანთან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ კატეგორიის შუამდგომლობის განხილვა სპეციალური კანონის 68-ე (**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო (მე-5 ნაწილი)**) და 70-ე („1. სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის

<sup>14</sup> სუსგ №ა-667-შ-13-2021, 8 ივნისი, 2021.



სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. 2. აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ. 3. **შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება**“) მუხლებს ეფუძნება და არ განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების იმ წესებით, რაც სასარჩელო წარმოებას გულისხმობს. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) ცალკეული დებულებები გამოიყენება სწორედ იმ საკითხების შესამოწმებლად, რაც საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობას და/ან აღსრულებას უკავშირდება და საჯარო მართლწესრიგთან შესაბამისობის დადგენის მიხედვით უნდა შეფასდეს. უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებით ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს. „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა ნიშნავს იმას, რომ თავისი ძალმოსილებით და სამართლებრივი შედეგებით იგი უთანაბრდება იმ სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომელმაც ცნო ეს გადაწყვეტილება.“

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულების საკითხის განხილვამდე აუცილებელია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეამოწმოს მისი დასაშვებობა, კონკრეტულ შემთხვევაში კი, შედის თუ არა შუამდგომლობაში დასმული საკითხის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში, გააჩნია თუ არა შუამდგომლობის ავტორს იურიდიული ინტერესი და ა. შ.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გადაწყვეტილების ცნობის (აღიარების) საგანს წარმოადგენს არა ზოგადად, კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც მართლმსაჯულების აქტი, არამედ მისი გარკვეული სამართლებრივი თვისების მოქმედების გავრცელება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. საკასაციო სასამართლოს მითითებით, საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოუ-

რი აქტი უნდა აღქმულ იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისას, საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები. ამიტომაც, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის პრობლემის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადაწყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. ამგვარი კრიტერიუმები კი სხვადასხვაა. შესაძლებელია გადაწყვეტილების ცნობისას, მოცემული ქვეყნის კანონმდებლობა ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ საკითხთან მიმართებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება ჰპოვა **ე.წ. „სარკისებური ასახვის პრინციპმა“**, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების მცნობ სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავისი ქვეყნის წესები გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

სასამართლოს დასკვნით, საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ე.წ. ზემდგომ ინსტანციას უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმების თვალსაზრისით, რადგან კიდევ ერთი დამატებითი ინსტანციით არსებითად არ იხილავს საქართველოს ტერიტორიაზე საცნობ გადაწყვეტილებას, არამედ მისი მსჯელობა მხოლოდ იმ საფუძვლების გარკვევით შემოიფარგლება, თუ რამდენად არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების იურიდიული ძალის სხვა ქვეყანაში გავრცელებისათვის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ფაქტობრივ საფუძველში იგულისხმება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების გავრცელება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელმაც უნდა ცნოს

ეს გადაწყვეტილება, ხოლო სამართლებრივ საფუძველში მოი-  
აზრება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლითაც  
ხორციელდება ცნობა/აღსრულების შემონმება/განხილვა. შესა-  
ბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის  
სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებით ახდენს ამ გადაწყ-  
ვეტილებით დაცული მხარის უფლებებისა და კანონიერი ინ-  
ტერესების ცნობას, რომლის რეალიზაციის იურიდიული შედე-  
გი უნდა გავრცელდეს საქართველოში *(შეად. სუსგ №ა-3968-7-  
107-2019, 14.02.2020.)*.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უცხო ქვეყნის სასა-  
მართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნო-  
ბა-აღსრულების საკითხის განხილვა კანონის ფორმალურ და-  
ნანესებთან ამ გადაწყვეტილების შემონმების გზით ხორციელ-  
დება, რაც იმას გულისხმობს, რომ **საკასაციო სასამართლო არ  
არის უფლებამოსილი ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს  
ან შესწორება შეიტანოს თავად გადაწყვეტილებაში ან მისი  
სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტში.**

ამასთან საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყ-  
ვეტილების ცნობა შესაძლებელია იმ სამართლებრივი შე-  
დეგის (გადაწყვეტილების) მიხედვით, რაც მის დადგენილე-  
ბით (სარეზოლუციო) ნაწილშია ასახული და საქართველოს  
უზენაესი სასამართლო არ არის უფლებამოსილი გადაწყვე-  
ტილების სამოტივაციო ნაწილში უცხო ქვეყნის სასამარ-  
თლოს მიერ განვითარებული მსჯელობა, საკუთარი ინიცია-  
ტივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე რაიმე ინ-  
ტერპრეტაციის გზით გადმოიტანოს გადაწყვეტილების იმ ნა-  
წილში, რომელიც სასამართლოს საბოლოო დასკვნას ასა-  
ხავს.

სპეციალური კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს სა-  
სამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუ-  
ხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია  
ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია  
აქვთ, თუ პროცესის ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალა-  
ქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში ასახა ის დასკვნები, რაც მეურვეობის უფლებას ეხება ამასთან, გადაწყვეტილების არა სარეზოლუციო ნაწილში, არამედ სამოტივაციო ნაწილში იმსჯელა არასრულწლოვანის ძირითადი საცხოვრებელი ადგილის შესახებ და არ დააკმაყოფილა არც ერთი მშობლის მოთხოვნა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თითოეულ მათგანთან განსაზღვრაზე, ხოლო რადგან დადგენილია, რომ ვითარება შეიცვალა, მამას 2019 წლის დეკემბრის შემდეგ კავშირი აღარ აქვს შვილთან, რადგან დედამ ის ქვეყნიდან (ნიდერლანდებიდან) გაიყვანა, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან გამომდინარე, ბავშვზე მეურვეობის უფლება მამას ერთპიროვნულად მიენიჭა, **ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითება, რომ ბავშვმა უნდა იცხოვროს მეურვეობის უფლების მქონე მშობელთან, იმგვარად უნდა შეფასდეს, რომ სამეურვეო საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, არასრულწლოვანმა უნდა იცხოვროს მეურვეობის უფლების მქონე მშობელთან.** ამდენად, ფაქტობრივი ვითარების ცვლილების გამო, გადაწყვეტილების იმგვარად აღსრულება, როგორც ამას შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს, რომ ბავშვმა მამასთან უნდა იცხოვროს, ობიექტურად შეუძლებელია, რადგან ასეთი დასკვნა საქართველოს ტერიტორიაზე საცნობ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ არის ასახული.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ შუამდგომლობა, უცხო ქვეყნის საოჯახო საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილების, საქართველოს ტერიტორიაზე **აღსრულების შესახებ განუხილველად დატოვა.**

ერთ-ერთი საქმის მასალების მიხედვით,<sup>15</sup> საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობა უკრაინის სასამართლოს საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა აღსრულების შესახებ აკმაყოფილებს საქართველოსა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულების (შემდეგში: საერთაშორისო ხელშეკრულება) და სპეცია-

<sup>15</sup> სუსგ №ა-2038-შ-44-2021, 4 ივნისი, 2021.

ლური კანონის მოთხოვნებს.

საერთაშორისო ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე სარგებლობენ თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც საკუთარი მოქალაქეები. ამ მიზნით მათ უფლება აქვთ თავისუფლად მიმართონ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სასამართლოებს, პროკურატურისა და ნოტარიუსებს (შემდგომში „იუსტიციის დანესებულებებად“ ნოდებულთ) და სხვა დანესებულებებს, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები, აგრეთვე, განახორციელონ სხვა პროცესუალური მოქმედებანი, იმავე პირობებით, როგორც ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის მოქალაქეებმა.

საერთაშორისო ხელშეკრულების 40-45 მუხლებით დადგენილია გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულების და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები.

საერთაშორისო ხელშეკრულების მე-40 მუხლის პირველი პუნქტით, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ცნობენ და აღასრულებენ იუსტიციის დანესებულებების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს სამოქალაქო საქმეებზე. 41-ე მუხლის პირველი პუნქტით, გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე ნებართვაზე შუამდგომლობათა განხილვა შედის ხელშეკრულების მონაწილე მხარის სასამართლოთა კომპეტენციაში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს აღსრულება. 42-ე მუხლის პირველი პუნქტით, აღსრულების წესი რეგულირდება ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს აღსრულება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები მოცემულია როგორც საერთაშორისო ხელშეკრულების 43-ე მუხლში (სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე ან აღსრულების ნებართვაზე შეიძლება უარი ითქვას: 1) თუ შუამდგომლობის აღმძვრელ პირს ან მოპასუხეს არ მიუღია მონაწილეობა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მისი წარმომადგენელს დროულად და სათანადო ფორმით არ ჩაბარდა სასამართლოში გამოძახების უწყება; 2) თუ იმავე სამართლებ-

რივ დავაზე იმავე მხარეებს შორის ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, სადაც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის დაწესებულებების მიერ ადრე აღძრული იყო წარმოება მოცემულ საქმეზე; 3) თუ ამ ხელშეკრულების დებულებების თანახმად, ან ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებულ შემთხვევებში, ხელშეკრულების მონაწილე მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მის დაწესებულებათა განსაკუთრებულ კომპეტენციას), ისე სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტში. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნები დაცულია **(შეად. სუსგ №ა-1060-შ-27-2020, 30.03.21.)**.

საყურადღებოა, რომ ერთ საქმეში,<sup>16</sup> სადაც მოპასუხე რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები პირია, საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად, დაავალა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფაქტობრივი მისამართის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა.

ვინაიდან სამინისტროს ინფორმაციით, დევნილთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში მოპასუხე იძულებით გადაადგილებულ პირად არ ფიქსირდება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით დადგინდა უწყების ჩაბარება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით – საჯარო შეტყობინებით და განთავსდა სასამართლოს ვებგვერდზე: <http://ecd.court.ge> საჯაროდ გაცნობის მიზნით. იმის გამო, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მონინალმდგევე მხარეს თავისი მოსაზრება არ წარუდგენია და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს უზენაესი სასამართლოსათვის, საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა უცხო ქვეყნის გადწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ.

<sup>16</sup> სუსგ №ა-2481-შ-60-2021, 9 ივლისი, 2021.

ერთ საქმეში,<sup>17</sup> საკასაციო სასამართლომ ერთ-ერთი მემკვიდრის შუამდგომლობა თურქეთის რესპუბლიკის... რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა აღსრულების შესახებ, ნაწილობრივ დააკმაყოფილა, კერძოდ, შუამდგომლობა, რომლითაც ავტორი მოითხოვს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების იმ ნაწილის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებას, რომელიც ეხება საქართველოში არსებულ უძრავ ქონებას – არ დააკმაყოფილა, ხოლო მოძრავი ქონების ნაწილში კი, დააკმაყოფილა.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების (ძალაშია 1998 წლის 15 იანვრიდან, შემდეგში: საერთაშორისო ხელშეკრულება) მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები წინამდებარე ხელშეკრულების დებულებათა საფუძველზე ცნობენ და აღსრულებენ მეორე მხარის ტერიტორიაზე გამოტანილ სამოქალაქო საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

საერთაშორისო ხელშეკრულების მე-20 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მე-19 მუხლში აღნიშნულ გადაწყვეტილებათა ცნობა მეორე მხარის მიერ შესაძლებელია თუ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის კანონმდებლობით ჩაითვლება კომპეტენტურად აღნიშნული საკითხის გადაწყვეტილებაში.

სპეციალური კანონის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის საგანია სამემკვიდრეო უფლების დადგენა, სამკვიდრო ქონების გაყოფა და მამკვიდრებელს გარდაცვალებისას საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან სამკვიდრო ქონება საქართველოში ჰქონდა.

სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ

---

<sup>17</sup> სუსგ №ა-2853-შ-73-2021, 16 ივლისი, 2021.

საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება.

სპეციალური კანონის მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს **განსაკუთრებული კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია.** მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორი ითხოვს როგორც მოძრავ, ისევე უძრავ ქონებაზე მემკვიდრედ ცნობას და ზემოთ მითითებული გადაწყვეტილების ამ ნაწილში ცნობა-აღსრულებას.

სპეციალური კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნივთზე უფლების წარმოშობა, შეცვლა, გადაცემა და შეწყვეტა წესრიგდება იმ ქვეყნის სამართლით, სადაც ეს ნივთი იმყოფება. ამ ქვეყნის სანივთო-სამართლებრივი ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კანონის მითითებითი (კოლიზიური) ნორმის მიხედვით, სხვა ქვეყნის სამართალი უნდა იქნას გამოყენებული.

სპეციალური კანონის 64-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლო შუამდგომლობის ავტორს სამართლებრივი დახმარების განევაზე უარს ეტყვის, თუ შუამდგომლობის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობა იმ ნაწილში, რომელიც ეხება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ქონებას, არ უნდა დაკმაყოფილდეს. სასამართლომ შუამდგომლობის იმ ნაწილის დაკმაყოფილება, რომელიც მიმართულია საქართველოში არსებულ მოძრავ ქონებაზე, კანონიერად მიიჩნია, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

საკასაციო სასამართლომ უარყო შუამდგომლობა საცნობი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების მოთხოვნის ნაწილში, სპეციალური კანონის 70-71-ე მუხლებზე დაყრდნობით. სპეციალური კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრუ-



ლებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. განსახილველ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორის მიზანია მის მიერ მიღებულ სამკვიდრო მასაში შემავალი ნივთების საკუთრებაში მიღება, რისთვისაც საჯარო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციაა საჭირო. ასეთ შემთხვევაში უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა საკმარისია შუამდგომლობის ავტორის სახელზე დარეგისტრირდეს მოძრავი ქონება (ავტომობილი და წილი სანარმოში).

ერთ-ერთ საქმეში,<sup>18</sup> შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდა. სპეციალური კანონის 73<sup>1</sup> მუხლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადანყვეტილება, იგი შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს ამ მუხლისა და ამ კანონის 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული დამბარკოლებელი გარემოებები არ არსებობს, აგრეთვე წარდგენილი მოთხოვნა და დადგენილი გარემოებები არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო გადანყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ ნიუ იორკის კონვენციას.

<sup>18</sup> სუსგ №ა-3171-შ-68-2020, 30 ივნისი, 2021. საქართველოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს გადანყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ იხ. სუსგ-ები: №ა-899-შ-19-2021, 30 ივნისი, 2021, საქმე №ა-2094-შ-47-2020, 30 მარტი, 2021, №ა-1133-შ-29-2020, 22 თებერვალი, 2021, №ა-4451-შ-6138-2020, 24 სექტემბერი, 2020, №ა-4616-შ-121-2018, 28 ოქტომბერი, 2020, №ა-5451-შ-133-2018, 5 აპრილი, 2019, №ა-1717-შ-39-2018, 25 იანვარი, 2019, №ა-1833-შ-42-2018, 4 იანვარი, 2019, №ა-2066-შ-50-2018, 5 ნოემბერი, 2019, №ა-3081-შ-80-2018, 5 ივლისი, 2019, №ა-5875-შ-144-2018, 15 მაისი, 2019, №ა-1847-შ-49-2017 5 იანვარი, 2018, №ა-5104-შ-133-2017, 19 მარტი, 2018.

საყურადღებოა, რომ ერთ საქმეში,<sup>19</sup> საკასაციო სასამართლომ უკრაინის... სამეურნეო სასამართლოს 2019 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შუამდგომლობის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად სპეციალურ კანონთან ერთად გამოიყენა საქართველოსა და უკრაინას შორის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ ხელშეკრულება-საერთაშორისო ხელშეკრულება, ხოლო სხვა საქმეში,<sup>20</sup> ამავე სასამართლოს 2020 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებისას, საკასაციო პალატა სპეციალურ კანონთან ერთად დაეყრდნო როგორც ზემოაღნიშნულ საერთაშორისო ხელშეკრულებას, ასევე მინსკის კონვენციას.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>21</sup> შუამდგომლობის ავტორი (მოსარჩელე) მოითხოვდა უკრაინის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას საქართველოს ტერიტორიაზე. გადაწყვეტილება შეეხება მეუღლეთა თანასაკუთრების დადგენას. საკასაციო სასამართლომ შუამდგომლობა თანხის დაკისრების ნაწილში ნაწილობრივ დააკმაყოფილა. სასამართლომ მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულების საფუძველზე ფულადი ვალდებულება ნაწილობრივ შესრულებულად მიიჩნია. შესაბამისად, მიიჩნია, რომ საცნობი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ თანხას უნდა გამოკლებოდა მოპასუხის მიერ ვალდებულების შესასრულებლად გადახდილი და სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის მიერ აღიარებული თანხა და დარჩენილი შეუსრულებელი ვალდებულების ნაწილში ცნო და მიაქცია აღსასრულებლად უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>22</sup> საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა რა, საწარმოს შუამდგომლობა უკრაინის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ, განმარტა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულებ

<sup>19</sup> სუსგ №ა-2094-შ-47-2020, 30 მარტი, 2021.

<sup>20</sup> სუსგ №ა-3699-შ-86-2020, 9 მარტი, 2021.

<sup>21</sup> სუსგ №ა-3665-შ-84-2020, 16 აპრილი, 2021.

<sup>22</sup> სუსგ №ა-3940-შ-91-2020, 27 აპრილი, 2021.

ბის საკითხის განხილვამდე აუცილებელია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეამოწმოს მისი დასაშვებობა, კონკრეტულ შემთხვევაში კი, შედის თუ არა შუამდგომლობაში დასმული საკითხის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში, გააჩნია თუ არა შუამდგომლობის ავტორს იურიდიული ინტერესი და ა.შ.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების აღიარების (ცნობის) საგანს წარმოადგენს არა ზოგადად კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც მართლმსაჯულების აქტი, არამედ მისი გარკვეული სამართლებრივი თვისების მოქმედების გავრცელება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებულ აქტია, რომელთა მიმართებით ეს სახელმწიფო სრული სუვერენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს.

საკასაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები. ამის საპირისპიროდ, შესაბამისი უცხოური აქტის აღსასრულებლად გამოცხადება წარმოადგენს მისთვის მოქმედების უფლების მინიჭებას. ეს იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ თავისთავად ცნობას ნაკლებად მოაქვს მოვალისათვის უშუალო სამართლებრივი შედეგები. პირიქითაა აღსრულებადად გამოცხადების შემთხვევა-

ში, რომელსაც ესაჭიროება ე.წ. სააღსრულებო-ექსეკუტორული (execuatur) პროცესი.

საკასაციო პალატამ ასევე აღნიშნა, რომ რომელიმე ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს მხოლოდ მისი ქვეყნის ტერიტორიაზე, ამიტომაც უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოქმედებდეს სხვა ქვეყანაში, თუ ამ უკანასკნელმა ის სცნო. მოახდინოს თუ არა სახელმწიფომ მეორე სახელმწიფოს გადაწყვეტილების ცნობა, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, **ამასთან გადაწყვეტილების ცნობის დროს, ის არ უნდა შეიჭრას უცხო ქვეყნის სასამართლო კომპეტენციაში.** საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვა კანონის ფორმალურ დანაწესებთან ამ გადაწყვეტილების შემონმების გზით ხორციელდება, **იმგვარად, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს ან შესწორება შეიტანოს თავად გადაწყვეტილებაში ან მისი სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტში.**

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, პირველ ყოვლისა, ემსახურება სამოქალაქო ბრუნვისა და მართლმსაჯულების საქმიანობის გამარტივებას. მოდავე მხარისათვის მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ ერთი ქვეყნის სასამართლოში შეტანილი სარჩელით ამოწუროს ყველა ის სადავო საკითხი, რომლითაც ის მოპასუხეს ედავება. თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვა იმდენად რთულია, რომ ხშირად სცილდება არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ქვეყნის ფარგლებს. ამიტომ, ხშირად სასამართლო გადაწყვეტილებაც აღსრულებას რამდენიმე ქვეყანაში მოითხოვს. შესაბამისად, თუ რომელიმე უცხო ქვეყანა უარს იტყვის ამგვარი გადაწყვეტილების აღსრულებაზე, მოდავე მხარე იძულებული იქნება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეიტანოს სარჩელი ამ ქვეყნის სასამართლოში, რაც დამატების დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

ევროპული დოქტრინის მიხედვით, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გადაწყვეტილება წყვეტს კერძო სამართლებრივ დავას. ამასთან, აღ-

ნიშნული დავა გადაწყვეტილი უნდა იყოს ისეთ სასამართლო პროცესზე, რომელზედაც პროცესის მხარეებს თანაბრად ჰქონდათ მინიჭებული უფლებები, დაეცვათ თავიანთი ინტერესები.

ამიტომაც, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის პრობლემის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადაწყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. ამგვარი კრიტერიუმები კი, სხვადასხვაა. შესაძლებელია გადაწყვეტილების ცნობისას, მოცემული ქვეყნის კანონმდებლობა ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ საკითხთან მიმართებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება ჰპოვა ე.წ. „სარკისებური ასახვის პრინციპმა,“ რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების მცნობ სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავისი ქვეყნის წესები გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებას ამონიშნებს მხოლოდ მისი ცნობა/აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი წინაპირობების თვალსაზრისით. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების იურიდიული ძალის სხვა ქვეყანაში გავრცელებისათვის უნდა არსებობდეს ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ფაქტობრივ საფუძველში იგულისხმება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების გავრცელება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელმაც უნდა სცნოს ეს გადაწყვეტილება, ხოლო სამართლებრივ საფუძველში მოიაზრება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლითაც ხორციელდება ცნობა/აღსრულების შემოწმება/განხილვა. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებით ახდენს ამ გადაწყვეტილებით დაცული მხარის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ცნობას, რომლის რეალიზაციის იურიდიული შედეგი უნდა გავრცელდეს საქართველოში.

საკასაციო პალატის მითითებით, სახელმწიფოთა მიერ სხვა ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე უარის თქმის საუკე-

თესო საშუალებად აღიარებულია დათქმა „საჯარო წესრიგის შე-სახებ.“ კერძოდ, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა (აღიარება) არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამღიარებელი სახელმწიფოს საჯარო წესრიგს ანუ მის ძირითად სამართლებ-რივ პრინციპებს.

საკასაციო პალატის მითითებით სასამართლო პროცესის თაო-ბაზე მოპასუხის ინფორმირებულობა სამართლიანი სასამარ-თლოს უფლების ერთ-ერთი წინაპირობაა. ადამიანის უფლება-თა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთი-თებს, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი, რომელიც სამარ-თლიანი სასამართლოს ფართო კონცეფციის ერთ-ერთი ელე-მენტია, მოითხოვს თითოეული მხარისაგან ჰქონდეს გონივრუ-ლი შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი საქმე ისეთ პირო-ბებში, რომელიც არ ჩააყენებს მას მნიშვნელოვნად არახელსაყ-რელ მდგომარეობაში მის მოწინააღმდეგე მხარესთან მიმართე-ბით და, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ სა-კითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირი-თად ასპექტებს (იხ.: გადაწყვეტილება საქმეზე *Ruiz Torija v. Spa-in*, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხო-ლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძ-ლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვე-ტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა სა-ფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სა-სამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არ-გუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც აშკარად არარელევან-ტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებე-ბის ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველ-ზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქ-მეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ.: გადაწყვეტილება საქ-მეზე *Seryavin and Others v. Ukraine* §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგე-ნილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ.: *Kraska v. Switzerland*, § 30; *Van de Hurk v. the Netherlands*, § 59; *Perez*

v. France, § 80). ამასთან, მხარეებს უნდა ჰქონდეთ არა მხოლოდ იმის შესაძლებლობა, რომ იცოდნენ იმ მტკიცებულებათა შესახებ, რომლებიც მათ სჭირდებათ თავიანთი სარჩელის წარმატებისათვის, არამედ ჰქონდეთ კომენტარის გაკეთების საშუალება ყველა იმ მტკიცებულებასთან და მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომლებიც წარდგენილია სასამართლოს აზრის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით (იხ.: *Milatova and others v. The Czech republic* §59; *Niderost-huber v. Switzerland*, § 24; *K.S. v. finland* § 21).

სამართლიანი სასამართლოს ზოგადი კონცეფცია მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპსაც (იხ.: საქმე რუიზ-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ (*Ruiz-Mateos v. Spain*), 23/06/1993, § 63, Series A no. 262). ამასთან, სამართლიანი სამართალწარმოება მოითხოვს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა მხარე ინფორმირებული იყოს და შესაძლებლობა ჰქონდეს გამოთქვას მოსაზრება წარდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე, რათა გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (იხ.: ლობო მაჩადო პორტუგალიის წინააღმდეგ (*Lobo Machado v. Portugal*), 20/02/1996, §31, ანგარიშები 1996-1). უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული საკითხი გულისხმობს იმას, რომ პირი ინფორმირებული უნდა იყოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ (იხ.: საქმე დილიპაკი და კარაკაია თურქეთის წინააღმდეგ (*Dilipak and Karakaya v. Turkey*), nom. 7942/05 და 24838/05, §77, 04/03/2014). თუ სასამართლო დოკუმენტები, მათ შორის, სასამართლო სხდომის უწყებები მხარეს არ ჩაბარდა, მაშინ განმცხადებელს შეიძლება ხელი შეეშალოს საკუთარი თავის დაცვის განხორციელებაში სამართალწარმოების პროცესში (იხ.: საქმე ოზგურ-კარადუმანი გერმანიის წინააღმდეგ (განჩინება) (*Ozgur-Karaduman v. Germany* (dec.), no. 4769/02, 26/06/2007; საქმე ვებერი გერმანიის წინააღმდეგ (განჩინება), (*Weber v. Germany* (dec.), no. 30203/03, 02/10/2007 და საქმე ზადოვნიკი სლოვენის წინააღმდეგ, (*Zavodnik v. Slovenia*), no. 53723/13, § 70, 21/05/2015).

საკასაციო პალატის განმარტებით, საჯარო წესრიგი შეიძლება მოიცავდეს დავის როგორც მატერიალურ (შინაარსობრივ) ასევე, პროცესუალურ ნაწილს. პროცესუალური საჯარო წესრიგი ეხება სასამართლოში საქმის განხილვის პროცესს, ხოლო მატე-

რიალური საჯარო წესრიგი კი, დაკავშირებულია სასამართლო გადაწყვეტილების არსთან. პროცესუალური საჯარო წესრიგის გამოხატულებას წარმოადგენს სასამართლო დავაში მონაწილე მხარის უფლება, ინფორმირებული იყოს სასამართლო განხილვის შესახებ და მიეცეს შესაძლებლობა განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები.

პროცესუალური საჯარო წესრიგის დარღვევად, რაც შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, მიიჩნევა ისეთი შემთხვევა, თუკი არსებობს მიზეზობრივი კავშირი ასეთ დარღვევასა და სასამართლო გადაწყვეტილების შინაარს შორის, ანუ თუკი მხარის საპროცესო უფლების დარღვევამ გავლენა იქონია წაგებული მხარის ინტერესზე. „საჯარო წესრიგი“ (ordre public) გაიგივებულია „საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან.“

ერთ საქმეში,<sup>23</sup> სასამართლომ შუამდგომლობა შვილად აყვანის შესახებ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე, ნაწილობრივ დააკმაყოფილა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველი საგნის გათვალისწინებით, მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ვერ მოხდება.

ერთ საქმეში,<sup>24</sup> საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, პირის ქმედუუნაროდ აღიარების შესახებ, რუსეთის ფედერაციის... სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სპეციალური კანონის მე-15 მუხლის მიხედვით, პირის ქმედუუნარიანობის შეზღუდვის საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ ეს პირი საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

<sup>23</sup> სუსგ №ა-3189-შ-69-2020, 15 ოქტომბერი, 2020. საყურადღებოა, რომ სხვა საქმეში (იხ.: სუსგ №ა-3968-შ-107-2019, 14 თებერვალი, 2020), უზენაესმა სასამართლომ ანალოგიური შუამდგომლობა გადაწყვეტილების ცნობის ნაწილში დააკმაყოფილა, ხოლო აღსრულების ნაწილში განუხილველად დატოვა.

<sup>24</sup> სუსგ №ა-4315-შ-130-2019, 22 იანვარი, 2020.



საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის არ არის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულება სამოქალაქო საქმეებზე სამართლებრივი დახმარების თაობაზე და ამიტომ წინამდებარე განჩინების დასაბუთებისას ის ეყრდნობა მინსკის კონვენციის მონესრიგებას.

მინსკის კონვენციის პირველი მუხლის პირველი ნაწილით, სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორცაა მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები. დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილით კი, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ თავისუფლად და დაუბრკოლებლივ მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დაწესებულებებს (შემდეგში იუსტიციის დაწესებულებები), რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები. ასევე, შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები სარგებლობენ.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მინსკის კონვენციის მე-3 თავი აწესრიგებს ხელშემკვრელ მხარეებს შორის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა აღსრულების წესებს. აღნიშნული კონვენციის 51-ე მუხლის მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ცნობენ და აღასრულებენ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებულ სამოქალაქო და საოჯახო საქმეებზე იუსტიციის დაწესებულებების გადანაცვტილებებს.

საქმეში წარდგენილი მასალებით დასტურდება, რომ არაქმედუნარიანი პირი და მისი მეურვე საქართველოში ცხოვრობენ.

საკასაციო პალატამ საცნობი გადაწყვეტილების შინაარსობრივი შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც ამ გადაწყვე-

ტილების ცნობის საფუძველს ქმნის.

საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა არასრულწლოვანი შვილის სარჩენად მამისათვის ალიმენტის დაკისრების შესახებ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის... სასამართლოს გადაწყვეტილების, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე.<sup>25</sup>

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საერთაშორისო ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე სარგებლობენ თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც საკუთარი მოქალაქეები. ამ მიზნით, მათ უფლება აქვთ თავისუფლად მიმართონ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სასამართლოებს, პროკურატურისა და სახელმწიფო ნოტარიატის ორგანოებს (შემდგომში იუსტიციის დანესებულებები) და სხვა დანესებულებებს, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ გამოვიდნენ მათში, აღძრან შუამდგომლობა და წარადგინონ სარჩელი აგრეთვე, განახორციელონ სხვა პროცესუალური მოქმედებანი იმავე პირობებით, როგორც საკუთარმა მოქალაქეებმა.

ამავე ხელშეკრულების მე-3 თავით მოწესრიგებულია გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება. კერძოდ, 42-46 მუხლებით დადგენილია გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულებისა და ასეთზე უარის თქმის სამართლებრივი წინაპირობები, შესაბამისად, სწორედ ამ ფარგლებით განისაზღვრება საკასაციო სასამართლოს მსჯელობა და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი გადაწყვეტილების ხელმეორედ არსებით განხილვას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამდგომლობას ერთვის საერთაშორისო ხელშეკრულების 44-ე მუხლით დადგენილი ყველა ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების წინაპირობების შემოწმების საკითხის

<sup>25</sup> სუსგ №ა-5563-შ-165-2019, 15 იანვარი, 2020.

გადასაწყვეტად.

კონკრეტულ საქმეში,<sup>26</sup> საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ბავშვთა საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის შესახებ, უკრაინის... სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა აღსრულების თაობაზე. კერძოდ, შუამდგომლობა საცნობი გადაწყვეტილების ცნობის ნაწილში დაკმაყოფილდა, ხოლო აღსასრულებლად მიქცევის ნაწილში დარჩა განუხილველად.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლით გარანტირებულია ყველას უფლება, პატივი სცენ მის ოჯახურ ცხოვრებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მიხედვით, მითითებული დებულება ფართო განმარტებას ექვემდებარება და მასში მოიაზრება ოჯახური ცხოვრების ყველა ის ასპექტი, რომელიც დამკვიდრებულია დემოკრატიულ საზოგადოებაში და ემსახურება ამ საზოგადოების კეთილდღეობას, მათ შორისაა არასრულწლოვანთა ოჯახური ცხოვრების უზრუნველყოფის ასპექტიც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს „ბავშვთა უფლებათა კონვენციაც.“ მართალია, საერთაშორისოდ აღიარებული ეს უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს, თუმცა ზემოხსენებული სამართლებრივი აქტები თავადვე იძლევიან ჩარევის ლეგიტიმურ დეფინიციას და განსაზღვრავენ, რომ იგი პროპორციულია, თუ ჩარევა გამონკვეულია დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებული აუცილებლობით. ამასთან, ჩარევის სტანდარტად გამოყენებული უნდა იქნას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, რაც ცალსახადაა ასახული „ბავშვის უფლებათა კონვენციაში.“

საკასაციო სასამართლომ წარმოდგენილი შუამდგომლობა განიხილა მინსკის კონვენციის 54.2 მუხლით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში და საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მიაჩნია, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული მონინალმდეგე მხარის მოსაზრება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოში ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის თაობაზე, რადგან განსახილველ შემ-

<sup>26</sup> სუსგ №ა-3968-შ-107-2019, 14 თებერვალი, 2020.

თხვევაში დაცულია მინსკის კონვენციით და ორმხრივი ხელშეკრულებით დადგენილი წინაპირობები უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარების (ცნობის) შესახებ.

ბავშვის უფლებათა კონვენციის (მუხლი 3, პუნქტი 1) თანახმად, ბავშვთა მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი – სახელმწიფო თუ კერძო დანესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური დაცვის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ბავშვს აძლევს უფლებას, მის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედებისას ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადანყვეტილების მიღებისას, შეფასდეს და უპირველესი ყურადღება დაეთმოს მის საუკეთესო/ჭეშმარიტ ინტერესებს როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სფეროში.

მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, სათანადოდ გაითვალისწინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები, წარმოადგენს ყოვლისმომცველ ვალდებულებას, რომელიც მოიცავს ყველა საჯარო და კერძო სოციალური დაცვის ორგანოს, სასამართლოს, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და საკანონმდებლო ორგანოებს, რომლებსაც შეეხება აქვთ ან დაკავშირებულია ბავშვებთან. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები პირდაპირ არ არიან ნახსენები მე-3 მუხლის პირველ პუნქტში, ბავშვის საუკეთესო ინტერესები „უნდა იყოს მათი მთავარი საზრუნავი“ (მე-18 მუხლის პირველი პუნქტი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგად კომენტარში (№ 14, 2013 წელი) აღნიშნულია, რომ ოჯახის განცალკევების პრევენცია და ოჯახის ერთიანობის შენარჩუნება ბავშვთა დაცვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტებია და ეფუძნება მე-9 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ უფლებას, რომელიც მოითხოვს, რომ „ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ [...] ასეთი დაშორება აუცილებელია

და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს.“ ამასთან, ერთ ან ორივე მშობელთან დაცვილებული ბავშვი უფლებამოსილია „რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს“ (მე 9 მუხლის მე-3 პუნქტი).

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვა კანონის ფორმალურ დანაწესებთან ამ გადაწყვეტილების შემონმების გზით ხორციელდება იმგვარად, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს ან შესწორება შეიტანოს თავად გადაწყვეტილებაში ან მისი სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტში. ამიტომაც, განსახილველი შუამდგომლობის ფარგლებში, მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ მითითებულ ზემოთ აღნიშნულ გარემოებაზე.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მრავალი ქვეყანა მისდევს **revizion au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს**, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ გამოტანილი **გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას**. შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას საკასაციო პალატა ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი წესრიგის გადასინჯვას ვერ განახორციელებს.

**საკასაციო პალატამ აღნიშნა**, რომ საცნობი გადაწყვეტილება განსაზღვრავს მხოლოდ არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელ ადგილს, შესაბამისად, გადაწყვეტილების მცნობი სასამართლო ვერ გასცდება საცნობი გადაწყვეტილების ფარგლებს და ვერ დაადგენს ახალ სამართლებრივ შედეგს. მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ გადაწყვეტილების ცნობის საკითხის განხილვისას, არასრულწლოვანი ბავშვი ცხოვრობს საქართველოში მამასთან ერთად, საცნობი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში არ არის მითითებული, რომ არასრულწლოვანი ბავშვი არის არამართლზომიერად დაკავებული ან გადაადგილებული

და რომ უნდა დაბრუნდეს უკრაინის ტერიტორიაზე, შესაბამისად, შუამდგომლობა არასრულწლოვანი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში უკრაინის... სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად, რადგან შინაარსობრივად არ წარმოადგენს იმ სახის გადაწყვეტილებას, რომლიც საჭიროებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ აღსრულების შესახებ რაიმე აქტის (განჩინება, გადაწყვეტილება) გამოტანას.

სხვა საქმეში, შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების, ნიუ ჯერსის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა.<sup>27</sup>

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ნიუ ჯერსის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, მხარეთა შორის 2009 წლის 10 ოქტომბერს რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა.

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 6 იანვრის ბრძანებულების თანახმად, შუამდგომლობის ავტორს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვებასთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მართალია, შუამდგომლობის ავტორი ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეა, მაგრამ ქორწინებისას იგი საქართველოს მოქალაქე იყო, რაც შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველია.

ერთ საქმეში,<sup>28</sup> შუამდგომლობა მარცვლეულითა და საკვებით ვაჭრობის ასოციაციის (GAFTA) გადაწყვეტილების ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ დაკმაყოფილდა სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, ხოლო შუამდგომლობა საარბიტრაჟო მოპასუხისათვის არბიტრაჟის ხარჯების დაკისრების ნაწილში დარჩა განუხილველად.

<sup>27</sup> სუსგ №ა-1128-შ-28-2020, 8 ივნისი, 2020.

<sup>28</sup> სუსგ №ა-1741-შ-42-2020, 21 ივლისი, 2020, ანალოგიურ საქმეზე, იხ. ასევე №ა-1493-შ-39-2020, 21 ივლისი, 2020.

სპეციალური კანონის 73<sup>1</sup> მუხლით, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

სსსკ-ის 356<sup>13</sup> მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ასევე, არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ საქმეს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე კოდექსის 356<sup>20</sup> მუხლის თანახმად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე გადაწყვეტილება გამოიტანება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.

ნიუ-იორკის კონვენცია გამოიყენება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებიც მიღებულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მოითხოვება ასეთ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ისეთ დავათა გამო, რომელთა მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

ნიუ-იორკის კონვენციის მიზანია საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო დავების არბიტრაჟის გზით მოგვარების განვითარება. იგი მიზნად ისახავს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის და აღსრულების და საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულების გამარტივებას.

ნიუ-იორკის კონვენციის მე-4 მუხლი ადგენს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შუამდგომლობის წარდგენის წესს:

კერძოდ, მხარემ, რომელიც ითხოვს ცნობასა და აღსრულებას, აღნიშნული მოთხოვნით მიმართვისას, უნდა წარადგინოს: (a) სათანადო წესით დამოწმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანი ან მისი სათანადო წესით დამოწმებული ასლი; (b) მეორე მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების (საარბიტრაჟო შეთანხმების) დედანი ან მისი სათანადო წესით დამოწმებული ას-

ლი. წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს.

ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ყოველი ხელშემკვერელი სახელმწიფო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს ცნობს როგორც სავალდებულოს და აღსრულებს მათ იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმებით, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოთ ჩამოთვლილ მუხლებში ჩამოყალიბებული პირობებით. იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებისთვისაც გამოიყენება ეს კონვენცია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არსებითად უფრო მძიმე პირობები ან უფრო მაღალი ბაჟი ან მოსაკრებლები იმასთან შედარებით, რომლებიც არსებობს შიდა გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისათვის.

ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს. მოპასუხეს ეკისრება მტკიცების ტვირთი და მხოლოდ მაშინ აღუდგება წინ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას, თუ არსებობს კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს, რომლებიც სასამართლომ საკუთარი ინიციატივით (*ex officio*) უნდა წამოსწიოს. კერძოდ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შეიძლება უარის თქმა, თუ იმ ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლება, სადაც მოითხოვება ცნობა და აღსრულება, ჩათვლის, რომ: ა) ამ ქვეყნის კანონით, დავის ობიექტი არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო გარჩევის საგანი, ან ბ) ამ გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის საჯაროობის წესს.

ნიუ-იორკის კონვენციის დებულებებიდან კერძოდ, მისი მე-5 მუხლიდან გამომდინარეობს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები. აღნიშნული ნორმის თანახმად, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მხარეს შეიძლება უარი ეთქვას



ამ გადანყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე თუ: ა) მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადანყვეტილება, სასამართლოს განცხადებით მიმართავს და დაამტკიცებს, რომ: ა.ა) საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდაჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადანყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია; ა.ბ) იგი არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები; ა.გ) საარბიტრაჟო გადანყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს ან საარბიტრაჟო გადანყვეტილება შეიცავს გადანყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადანყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნას იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადანყვეტილება შეიძლება ცნობილ და აღსრულებულ იქნეს ნაწილობრივ მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში მოქცეულ საკითხებზე გადანყვეტილებას შეიცავს; ა.დ) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონის მოთხოვნებს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა; ა.ე) საარბიტრაჟო გადანყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადანყვეტილება იქნა გამოტანილი ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადანყვეტილება გამოტანილი; ბ) სასამართლო დაადგენს, რომ: ბ.ა) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი; ბ.ბ) საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობა

და აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

**საკასაციო სასამართლომ წარდგენილი შუამდგომლობისა და საქმის მასალების მიხედვით მიიჩნია, რომ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი საფუძველი, რადგან საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დავა წარმოადგენდა საარბიტრაჟო განხილვის საგანს, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.**

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მარცვლეულითა და საკვებით ვაჭრობის ასოციაციის (GAFTA) 11.10.2019. გადაწყვეტილებით, მატერიალური მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან ერთად, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საარბიტრაჟო მოპასუხისთვის არბიტრაჟის ხარჯების დაკისრების თაობაზე, თუმცა, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს მითითებას, კონკრეტულად რა ოდენობის საარბიტრაჟო ხარჯი დაეკისრა მოპასუხეს, რაც ამ ნაწილში საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ბუნდოვანს ხდის. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში შუამდგომლობა უნდა დარჩეს განუხილველად. ამასთან, საკასაციო სასამართლომ შუამდგომლობის ავტორს განუმარტა, რომ სსსკ-ის 186-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მითითებული საფუძვლებით მოსამართლის მიერ სარჩელის/შუამდგომლობის მიღებაზე უარის თქმა ხელს არ უშლის პირს, განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით/შუამდგომლობით, თუ აცილებული იქნება დაშვებული დარღვევა. შესაბამისად, იმ შეთხვევაში, თუ დავის განმხილველი არბიტრაჟის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება ამ ბუნდოვანების თუ უსწორობის აღმოფხვრის თაობაზე, შუამდგომლობის ავტორს ექნება უფლება არბიტრაჟის ხარჯის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შუამდგომლობით კვლავ მიმართოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>29</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მოითხოვა შვილად აყვანის შესახებ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს

<sup>29</sup> სუსგ №ა-1159-გან-2-2019, 5 აპრილი, 2019, იხ. ანალოგიურ საქმეზე სუსგ №ა-4500-გან-8-2019, 18 ოქტომბერი, 2019.

სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების განმარტება, კერძოდ, ექვემდებარება თუ არა იგი საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, მიუხედავად იმისა, რომ განჩინებაში არ არის მითითებული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების თაობაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ წარდგენილი განცხადებით მხარე მოითხოვდა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას და სასამართლომაც, სსსკ-ის 248-ე მუხლის შესაბამისად, შუამდგომლობის საფუძვლიანობაზე იმსჯელა მხოლოდ მოთხოვნის ფარგლებში. სასამართლომ მიუთითა, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებით, რომლითაც საბერძნეთის მოქალაქემ შვილად აიყვანა საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქე, რაიმე ქონების მიკუთვნება ან მოვალისაგან იმგვარი ქმედების განხორციელება, რომელიც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროცესის დაწყებას მოითხოვდა – არ დადგენილა, შესაბამისად, შუამდგომლობის საფუძვლიანობის შემოწმება სპეციალური კანონის 70-ე და 71-ე მუხლების ფარგლებში, იურიდიულად გაუმართლებელია.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლზე, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო თავის გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ უგზავნის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით, ხოლო გადაწყვეტილებას შვილად აყვანის ბათილად ცნობის/შვილად აყვანის გაუქმების შესახებ – სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს შვილად აყვანის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს სასამართლოს გადაწყვეტილება ეგზავნება მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. ამავე კანონის 45-ე მუხლი ადგენს სპეციალურ წესს სხვა სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შვილად აყვანის ფაქტის რეგისტრაციისათვის და განსაზღვრავს, რომ **შვილად აყვანის რეგისტრაცია სხვა სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილების ცნობის შემდეგ, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.**

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ **უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, პირის შვილად აყვანის ფაქტის რეგისტრაციისათვის საკმარისია ამ გადაწყვეტილების საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და სხვა რაიმე იძულებითი ღონისძიების გატარება საჭირო არ არის.** შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება არ შეიცავს ბუნდოვან და/ან ორაზროვან დებულებებს, რაც მისი განმარტების თაობაზე მოთხოვნის უარყოფის საფუძველია.

ერთ საქმეში,<sup>30</sup> საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შუამდგომლობა ავსტრიის რესპუბლიკის ქ. ლინცის სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილებით, არასრულწლოვანებზე მზრუნველობის უფლება მთლიანად დაეკისრა მხოლოდ ზემო ავსტრიის ფედერალური მიწის ბავშვებზე და არასრულწლოვანებზე მზრუნვის უწყებას, რომლის წარმომადგენელიც არის ლინცის მუნიციპალიტეტის სოციალური, ახალგაზრდობისა და ოჯახის საკითხების უწყება.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ავსტრიის მეურვეობის ორგანო უფლებამოსილი იქნება წარმომადგენლობა გაუწიოს არასრულწლოვან სამეურვეო პირებს საქართველოს შესაბამის სამსახურებთან და უწყებებთან პასპორტის გაცემა-მიღების საქმეზე, შესაძლებელი გახდება მონესრიგდეს როგორც არასრულწლოვანების პირადი დოკუმენტაცია, ისე – დადგინდეს მათი მოქალაქეობრივი კუთვნილების საკითხი და განხილულ იქნას ბავშვების მუდმივი, დროებითი ან სხვა ლეგიტიმური სტატუსით ბავშვების ცხოვრების საკითხები. აგრეთვე, მიეცემათ შესაძლებლობა, საჭიროების შემთხვევაში, დაუბრკოლებლად გადაკვეთონ სახელმწიფო საზღვრები და ისარგებლონ შესაბამის სახელმწიფოში კანონმდებლობით გათვალისწინებული მატერიალური და არამატერიალური სიკეთეებით, რაც მათი საუკეთესო ინტერესების დაცვას მოემსახურება.

<sup>30</sup> სუსგ №ა-4791-შ-150-2019, 26 სექტემბერი, 2019.

ბავშვთა კონვენციის 25-ე და 28-ე მუხლების თანახმად, იმ სახელმწიფოს ორგანო, სადაც იგზავნება მოთხოვნა შემოიფარგლება ფაქტის დადგენით, რომლის საფუძველზე იმ სახელმწიფოს ორგანო, სადაც მიღებულია ზომა, ახორციელებდა თავის იურისდიქციას. ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოში მიღებული და შესრულებას დაქვემდებარებული ან დარეგისტრირებული ზომები სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში გამოყენების მიზნით, სრულდება უკანასკნელ სახელმწიფოში ისე, როგორც ისინი მიღებული რომ ყოფილიყო ამ სახელმწიფოს ორგანოების მიერ. შესრულება ხორციელდება მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად ასეთი სამართლის მიერ გათვალისწინებულ ფარგლებში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

საკასაციო პალატამ მიუთითა ბავშვთა კონვენციის 23-ე მუხლზე, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელშემკვრელი სახელმწიფოების ორგანოების მიერ მიღებული ზომები აღიარებულია კანონის შესაბამისად ყველა სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში. შუამდგომლობის დაკმაყოფილებას საფუძველად დაედო ის გარემოება, რომ არ არსებობდა ბავშვთა კონვენციის 23-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული ცნობაზე უარის თქმის გარემოებები.

სხვა საქმეში,<sup>31</sup> საკასაციო სასამართლომ ცნო საქართველოს ტერიტორიაზე საფრანგეთის...სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ქ. თბილისში დაბადებული არასრულწლოვანის მიმართ მშობლის უფლების გამოყენების ნებართვა ერთპიროვნულად მიენიჭა დედას და მისივე საცხოვრებელი განისაზღვრა ბავშვის საცხოვრებლად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამდგომლობის საგანს მონინა-ალმდეგე მხარისათვის მშობლის უფლების შეზღუდვა და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის დედის საცხოვრებლით განსაზღვრა წარმოადგენს. მსგავსი საკითხის გადაწყვეტის წინაპირობას ადგენს სსკ-ის 1198.3 და 1205-ე მუხლები, რომელთა თანახმადაც, მშობლებს უფლება აქვთ, განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა. მშობლის უფლებები და მოვალეობები შე-

<sup>31</sup> სუსგ №ა-5291-შ-131-2018, 22 თებერვალი, 2019.

იძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად. მეურვეობა ან მზრუნველობა დგინდება იმ ბავშვის მიმართ, რომლის ორივე მშობელს შეეზღუდა მშობლის უფლება ან მოვალეობა ამ კოდექსის შესაბამისად. რამდენადაც ეს შესაძლებელია, მშობელს უნარჩუნდება ბავშვის რჩენის ვალდებულება, როცა მშობლის უფლება შეზღუდულია, ამ კოდექსით გათვალისწინებული საალიმენტო მოვალეობების შესაბამისად. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, დადგენილია ზემოხსენებულ ნორმათა წინაპირობები, არც საფრანგეთში და არც საქართველოში მიმდინარე სამართალწარმოებისას მოპასუხეს დასაბუთებული პრეტენზია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით არ წარუდგენია. ამდენად, საკასაციო პალატამ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა დასაბუთებულად მიიჩნია და ჩათვალა, რომ არ არსებობს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების ხელის შემშლელი რომელიმე საკანონმდებლო წინაპირობა. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგი სრულიად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით საკითხის გადაწყვეტისათვის განსაზღვრულ წინაპირობებს.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>32</sup> საკასაციო სასამართლომ ცნო და აღსასრულებლად მიაქცია საქართველოს ტერიტორიაზე ყაზახეთის რესპუბლიკის...სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხისათვის თანხის დაკისრების შესახებ. მოპასუხის მოსაზრებით, შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან იგი კანონის დარღვევით არ ყოფილა მიწვეული საქმის განხილვაზე.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო უწყების ჩაბარების საკითხი რეგულირდება იმ ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც განიხილავს მხარეთა შორის წარმოშობილ დავას. აღნიშნულზე ასევე პირდაპირ მიუთითებს ორმხრივი ხელშეკრულება.

<sup>32</sup> სუსგ №ა-5274-შ-130-2018, 11 ივნისი, 2019.

მოცემულ შემთხვევაში საქმის განმხილველმა ყაზახეთის რესპუბლიკის სასამართლომ საკუთარი საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე შეამოწმა მოპასუხის უკანასკნელი ცნობილი მისამართის მიხედვით უწყების ჩაბარების საკითხი და საცნობი გადაწყვეტილება კანონიერად მიიჩნია, რაც ქმნის პრეზუმფციას, რომ მონინალმდეგე სათანადო წესით იყო ინფორმირებული სასამართლოს სხდომაზე გამოძახების თაობაზე.

მოპასუხემ ვერ დაამტკიცა, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ დაარღვია ყაზახეთის რესპუბლიკის ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული უწყების ჩაბარების წესები. მონინალმდეგე მხარემ ვერ მიუთითა ყაზახეთის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კონკრეტულად რომელი ნორმა იქნა დარღვეული მისთვის უწყების ჩაბარებისას. პირიქით, მის მიერ ყაზახეთის რესპუბლიკის ჩრდილოეთ ყაზახეთის საოლქო სასამართლოში წარდგენილი სააპელაციო საჩივრის განხილვისას, დადგენილია ამ ნაწილში საცნობი გადაწყვეტილების კანონიერება.

სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის შედაგება, რომ ვალის აღების შესახებ ხელწერილი, რომელიც საფუძვლად დაედო საცნობ გადაწყვეტილებას, გაყალბებულია. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ საერთაშორისო სამართლებრივ ბრუნვაში მრავალი ქვეყანა მისდევს revizion au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს, რომელიც უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საკითხის გადაწყვეტისას, არ ხდება საცნობი გადაწყვეტილების სამართლებრივი გამართულობის შემოწმება და მხარეთა შორის წარმოშობილი დავის ხელმეორედ არსებითი განხილვა. სასამართლო ამოწმებს მხოლოდ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა-არარსებობის საკითხს.

კონკრეტულ საქმეში,<sup>33</sup> საკასაციო სასამართლომ საქართველოს

<sup>33</sup> სუსგ №ა-1379-შ-29-2018, 4 იანვარი, 2019.

ტერიტორიაზე ცნო და მიაქცია აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის... სასამართლოს გადაწყვეტილება ფიზიკური პირისათვის სანარმოს სასარგებლოდ თანხის დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამდგომლობას ერთვის მინსკის კონვენციის 53-ე მუხლით დადგენილი ყველა ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღიარებისა და აღსრულების წინაპირობების შემოწმების საკითხის გადასაწყვეტად, ასევე, არ არსებობს ამავე კონვენციის 55-ე მუხლით დადგენილი რომელიმე წინაპირობა წარდგენილი შუამდგომლობით მოთხოვნილი სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და მის აღსრულებაზე უარსაყოფად.

სასამართლომ არ გაიზიარა მოწინააღმდეგე მხარის პრეტენზია თავდებობისგან გათავისუფლებაზე, ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა რუსეთის ფედერაციის სასამართლომ და აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, იმაზე მითითება, რომ იგი უნდა გათავისუფლდეს თავდებობისგან უსაფუძვლოა.

**საკასაციო პალატამ განმარტა, რომ დავის განმხილველი სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედი სამართლით არის მიღებული უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღიარება და აღსრულებაც მოთხოვნილი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არსებითად ვერ იმსჯელებს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების სამართლებრივ გამართულობაზე. საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და საქართველოს უზენაესი სასამართლო მხოლოდ ამ გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და აღსრულების საკითხზე მსჯელობს.**

სხვა საქმეში,<sup>34</sup> საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა შვილად აყვანის შესახებ, უცხო ქვეყნის სასამართლოს საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ შუამდგომლობის

<sup>34</sup> სუსგ №ა-2218-შ-58-2019, 4 ივლისი, 2019.



საგანს სრულწლოვანი პირის შვილად აყვანა წარმოადგენს, ასევე, უდავოა, რომ შვილად ასაყვანი საქართველოს მოქალაქეა. მსგავსი საკითხის გადაწყვეტის წინაპირობას ადგენს სსკ-ის 1239-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, სრულწლოვანი პირის შვილება შესაძლებელია, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, იგი არ ენიშნა აღმდგეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და შვილება ზნეობრივად გამართლებულია. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებით, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, დადგენილია, რომ სრულწლოვანი პირის შვილად აყვანა ზნეობრივად გამართლებულია და არ იკვეთება მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების ხელის შემშლელი რომელიმე საკანონმდებლო დანაწესის არსებობა. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგი სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით საკითხის გადაწყვეტისათვის განსაზღვრულ წინაპირობებს.

კონკრეტულ საქმეში,<sup>35</sup> საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და საქართველოს ტერიტორიაზე ცნო უკრაინის... სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც რაიონული სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს მოპასუხის მიმართ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალის ამოღების შესახებ სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

საქმის მასალების მიხედვით, უცხო ქვეყნის რაიონული სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც უკვე გაუქმებულია უცხო ქვეყნის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით ცნობილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე, მიექცა აღსასრულებლად და შუამდგომლობის ავტორის წინააღმდეგ სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს.

შუამდგომლობის ავტორი უცხო ქვეყნის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების, საქართველოს ტერიტორიაზე ცნო-

<sup>35</sup> სუსგ №ა-3249-2018, 16 ივლისი, 2019.

ბასაც ითხოვს და აღსრულებასაც. საკასაციო სასამართლომ განმარტა, თუ რატომ ვერ მოხდება დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულება.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უცხო ქვეყნის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა, მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა და მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯის გადახდა დაეკისრა. სპეციალური კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. „აღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღსრულებას ექვემდებარება უცხო ქვეყნის სასამართლოს აგრეთვე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. უცხო ქვეყნის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულებაუნარიანია მხოლოდ მოსარჩელისათვის სასამართლო ხარჯის დაკისრების ნაწილში, ხოლო ვინაიდან მოსარჩელე უცხო ქვეყნის მოქალაქე და უცხო ქვეყანაში მცხოვრები პირია, გადაწყვეტილება ამ ნაწილში უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა აღსრულდეს. **რაც შეეხება უცხო ქვეყნის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების იმ ნაწილს, რომლითაც კრედიტორის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მისი აღსრულება ვერ მოხდება იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო.** სსსკ-ის 180-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორს არ აქვს იმის იურიდიული ინტერესი, რომ უცხო ქვეყნის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე, აღსრულება მოხდეს.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, შუამდგომლობის ავტორის მიზანია მის წინააღმდეგ დაწყებული აღსრულების შეწყვეტა. იმისათვის, რომ მოპასუხემ ამ მიზანს მიაღწიოს, უნდა გაუქმდეს ის განჩინება, რომლის საფუძველზეც აღსრულება მიმდინარეობს. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების/განჩინების გაუქმება და საქმისწარმოების განახლება დასაშვებია თუ არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (სსსკ-ის 422-ე მუხ-

ლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლების საფუძვლები (სსსკ-ის 423-ე მუხლი).

საკასაციო სასამართლომ შუამდგომლობის ავტორს მიუთითა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა (სსსკ-ის 423.1-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი). უცხო ქვეყნის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ უცხო ქვეყნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა (გადაწყვეტილება, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებას), თუმცა იმისათვის, რომ უცხო ქვეყნის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების გაუქმების საფუძველი გახდეს, ის საქართველოს ტერიტორიაზე უნდა იქნეს ცნობილი.

ერთ საქმეში,<sup>36</sup> საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა საწარმოს შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე მოპასუხე საწარმოს სასარგებლოდ თანხის დაკისრების შესახებ, ქ. მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საფუძვლები შეაფასა მინსკის კონვენციის 55-ე მუხლით. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ ხელმძღვანელობს გაეროს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციით, რადგან უცხო ქვეყნის სასამართლო რუსეთის ფედერაციის საერთო სასამართლოების შემადგენლობაშია და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ საარბიტრაჟო ინსტიტუტს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი შუამდგომლობისა და მასზე დართული დოკუმენტებით არ ვლინდება უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილე-

<sup>36</sup> სუსგ №ა-3603-შ-90-2018, 25 იანვარი, 2019.

ბის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, ამასთან, არც მოპასუხეს წარუდგენია მინსკის კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე გარემოების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>37</sup> მამამ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა მეუღლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება. შუამდგომლობის ავტორის განცხადებით, ცოლ-ქმარს ჰყავთ საერთო არასრულწლოვანი შვილი. მამა აპირებს არასრულწლოვანი შვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მიზნით, იუსტიციის სამინისტროსთვის მიმართვას, რისთვისაც საჭიროებს დედის თანხმობას. ვინაიდან დედა დონეცკის ოლქის... სასამართლოს მიჩნეული იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად, მამას იუსტიციის სამინისტროში წარსადგენად ესაჭიროება ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა. სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

სხვა საქმეში,<sup>38</sup> საკასაციო სასამართლომ საქართველოს ტერიტორიაზე ცნო და აღსასრულებლად მიაქცია აზერბაიჯანის... სასამართლოს გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების შესახებ.

ბავშვის მამის განცხადებით, ის უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებას განქორწინების ნაწილში ეთანხმება, ხოლო ალიმენტის დაკისრების ნაწილში – არა. მას ალიმენტის ნაწილი უკვე გადახდილი აქვს და, შესაძლებლობის ფარგლებში, დარჩენილ ნაწილსაც გადაიხდის. მოწინააღმდეგე მხარემ აღნიშნა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას, მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა არ გაითვალისწინა და ბავშვის მამას იმაზე მეტი ოდენობით ალიმენტის გადახდა დააკისრა, ვიდრე ის ამას შეძლებდა.

მოპასუხის წერილობითი პრეტენზიის პასუხად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედი სამართლით არის მიღებული უცხო ქვეყნის სა-

<sup>37</sup> სუსგ №ა-3941-შ-99-2018, 8 იანვარი, 2019.

<sup>38</sup> სუსგ №ა-5450-შ-134-2018, 8 თებერვალი, 2019.

სამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულებაა მოთხოვნილი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში დადგენილ საარსებო მინიმუმზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დანაწესის მიხედვით.

საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრება მასზე დაკისრებული აღიშენების ოდენობის სადავოობაზე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვის დროს ვერ შეფასდება. მოცემული საკითხი უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ არსებითი განხილვის შედეგად არის გადაწყვეტილი, საქართველოს უზენაესი სასამართლო კი, **გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ შუამდგომლობაზე მსჯელობისას, გადაწყვეტილებას არსებითად არ გადასინჯავს, არამედ საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად არკვევს საკითხს ცნოს და აღასრულოს თუ არა უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიაზე.**

უზენაესი სასამართლოს განჩინებით შუამდგომლობა<sup>39</sup> თანხის დაკისრების შესახებ უკრაინის, დონეცკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამდგომლობის ავტორის მოწინააღმდეგე მხარე არ ეთანხმება მის წინააღმდეგ წარდგენილ მოთხოვნას და ძირითადად, საკუთარ პოზიციას აფუძნებს იმაზე, რომ ის სათანადოდ არ იყო მიწვეული საქმის განხილვაზე, ასევე, დაირღვა სხვა პროცედურული წესები. სასამართლომ მიუთითა, რომ მხარის პოზიცია ამ მხრივ წინააღმდეგობრივია, ერთი მხრივ, ის სადავოდ ხდის დოკუმენტების ჩაბარებას, ასევე, უწყების გადაცემას, ხოლო მეორე მხრივ, ადასტურებს, რომ ეს დოკუმენტები ჩაბარდა, თუმცა არა ქართულ, ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ საკომუნიკაციო – ინგლისურ ენაზე, არამედ უკრაინულ ენაზე. გარდა ამისა, საქმის ზეპირი განხილვისას მხარის წარმომადგენელმა დაადასტურა სადავო დოკუმენტაციის

<sup>39</sup> სუსგ №ა-2333-შ-59-2018, 20 ივლისი, 2018.

მიღების ფაქტი.

პალატამ მინსკის კონვენციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით, რომლითაც განსაზღვრულია დოკუმენტების გადაცემის წესი, მიუთითა, რომ ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეს შესაძლოა, დოკუმენტაცია არასახელმწიფო ენაზეც გადაეცეს. იგი ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ ადრესატი უარს არ განაცხადებს არასახელმწიფო ენაზე შედგენილი დოკუმენტის მიღებაზე. მოცემულ შემთხვევაში, რომც გავიზიაროთ მოწინააღმდეგე მხარის მტკიცება, რომ მას არც ქართულ და არც ინგლისურ ენაზე ნაწარმოები დოკუმენტაცია არ ჩაბარებია, არამედ ჩაბარდა უკრაინულ ენაზე შედგენილი მასალები, მაინც არ იარსებებს მისი მოსაზრებების გაზიარების წინაპირობა, რადგანაც თავად მხარემაც დაადასტურა მათი ნებაყოფლობით მიღების ფაქტი.

მინსკის კონვენციის 51-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობებით აღიარებს და აღასრულებს სხვა ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიაზე იუსტიციის დაწესებულებების მიერ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ გადანყვეტილებებს, ამავე კონვენციის 53-ე მუხლის თანახმად კი, შუამდგომლობა გადანყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადანყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება...

საკასაციო პალატამ დამატებით მოიშველია პრეცედენტული სამართლით დადგენილი პრინციპებიც: ერთ-ერთ საქმეზე (*Avotins v. Latvia* [GC]), ადამიანის უფლებათა ევროსასამართლომ ევროკონვენციის მე-6 მუხლი დარღვეულად არ მიიჩნია. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას არ გაიზიარა მომჩივნის პრეტენზია, რომლის თანახმადაც, დაირღვა კონვენციის 6.1 მუხლით უზრუნველყოფილი საქმის სამართლიანი განხილვის უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ არსებობდა ხარვეზები უზენაესი სასამართლოს მხრიდან მომჩივნის მიერ წარდგენილი „prima facie“ სერიოზული საკითხის განხილვის ფორმის გამო. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა ხარვეზმა არ განაპირობა კონვენციის 6.1 მუხ-

ლის დარღვევა, ვინაიდან მომჩივანს ჰქონდა რეალური შესაძლებლობა, მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება კვიპროსში გაესაჩივრებინა.

უზენაესმა სასამართლომ ცნო და საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიაქცია<sup>40</sup> უკრაინის, ხმელნიცკის ოლქის სამეურნეო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოში რეგისტრირებული სანარმოსათვის თანხის დაკისრების შესახებ.

შუამდგომლობის ავტორმა, სანარმომ წერილობით მიმართა უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საქმის ზეპირი განხილვა იმ საფუძვლით, რომ უკრაინის სასამართლომ საქმე არსებითი ხასიათის საპროცესო ნორმათა დარღვევით განიხილა, რაც გამოორიცხავდა შუამდგომლობის დაკმაყოფილებას. მოწინააღმდეგე მხარის განმარტებით, უკრაინაში საქმის განხილვაში მონაწილეობდა პროკურორი. უკრაინის სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ შეისწავლა, არ შეაფასა შპს-ს სააპელაციო საჩივარი და საქმეში არსებული მასალები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორმა ისარგებლა, როგორც შეგებებული სარჩელის უფლებით, ისე – გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრების შესაძლებლობით. მართალია, ის პრეტენზიას აცხადებს მტკიცებულებათა არასათანადო კვლევაზე, თუმცა, გაურკვეველია, რატომ არ გაასაჩივრა უკრაინის ეროვნული სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება საკასაციო წესით. ის გარემოება, რომ მხარემ ამონწურა უცხო ქვეყნის სასამართლოს ტერიტორიაზე სამართლებრივი დაცვის საშუალებები, მისი წერილობითი პოზიციებიდან არ დასტურდება, შესაბამისად, მხარის პრეტენზიის შესწავლა მტკიცებულებათა კვლევის თაობაზე, სცდება საკასაციო სასამართლოს კომპეტენციას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო პალატამ დამატებით განმარტა, რომ ზემოთ განვითარებული მსჯელობა არც ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება. ერთ-ერთ საქმეზე (*Avotins v. Latvia* [GC]) ადამიანის უფლებათა ევროსასამართლომ ევრო-

<sup>40</sup> სუსგ №ა-3679-შ-102-2017, 8 იანვარი, 2018.

კონვენციის მე-6 მუხლი დარღვეულად არ მიიჩნია უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას. ხსენებული გადაწყვეტილების თანახმად: კვიპროსის სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მომჩივანს, ლატვიის მოქალაქეს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კომპანიისთვის დავალიანების გადახდა დააკისრა. მომჩივნის განცხადებით, მას სათანადოდ არ შეატყობინეს კვიპროსში მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ. მოსარჩელემ მოითხოვა კვიპროსის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ლატვიის ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ბრიუსელის I რეგულაციის შესაბამისად. აპლიკანტი შეეცადა ლატვიის სასამართლოებისთვის ხელი შეეშალა გადაწყვეტილების აღსრულებაში იმ საფუძვლით, რომ კონვენციის სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოში მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ცნობა ვერ მოხდება თუ მოპასუხეს დროულად არ ჩაბარდა სარჩელი და მას არ მიეცა საპასუხო არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობა. თუმცა, ლატვიის უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტი და განაცხადა, რომ ვინაიდან მომჩივანმა გადაწყვეტილების წინააღმდეგ საჩივარი არ წარადგინა კვიპროსში, მისი პრეტენზიები იმ დროისთვის აღარ იყო რელევანტური. მომჩივანი დავობდა, რომ დაირღვა კონვენციის 6.1 მუხლით უზრუნველყოფილი საქმის სამართლიანი განხილვის უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 6.1 მუხლის დარღვევა არ დაადგინა. მან მიიჩნია, რომ არსებობდა ხარვეზები უზენაესი სასამართლოს მხრიდან მომჩივნის მიერ წარდგენილი „prima facie“ მნიშვნელოვანი საკითხის განხილვის ფორმის გამო. მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა ხარვეზმა არ განაპირობა კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მომჩივანს ჰქონდა რეალური შესაძლებლობა, მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება კვიპროსში გაესაჩივრებინა.

შუამდგომლობა<sup>41</sup> ქორწინების შეწყვეტის შესახებ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის... პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა

<sup>41</sup> სუსგ №ა-2323-შ-58-2018, 13 ივლისი, 2018, ასევე იხ. სუსგ №ა-4371-შ-111-2018, 26 ოქტომბერი, 2018.



და აღსრულების შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის საკითხს არეგულირებს სპეციალური კანონის 70-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. განსახილველ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორი გადაწყვეტილების აღსრულებას ასაბუთებს განქორწინების მოწმობის აღების სურვილით, რაც საკასაციო სასამართლოს მხრიდან ვერ იქნა მიჩნეული ნამდვილ იურიდიულ ინტერესად (სსსკ-ის 180-ე მუხლი), რადგანაც ზემოხსენებული კანონის 69-ე მუხლით მოწესრიგებულია ქორწინების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი და ნორმის მე-2 პუნქტით დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლომ გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა. მოცემულ შემთხვევაში, რადგანაც განქორწინების თაობაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის... პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობით მიიღწევა ის იურიდიული შედეგი, რომლის დადგომაც სურს მხარეს. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნის მიმართ მხარეს არ გააჩნია ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რაც ამ ნაწილში შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა<sup>42</sup> რუსეთის ფედერაციის... საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ. შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის მეორე მხარისთვის დაკისრების თაობაზე, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ რუსეთის ფედერაციის... საარბიტრაჟო სასამართლო არ წარმოადგენს კერძო არბიტრაჟს, იგი საერთო სასამართლოების სისტემაში შედის, შესაბამისად, მისთვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების სა-

<sup>42</sup> სუსგ №ა-5073-შ-129-2017, 20 ივნისი, 2018. ასევე, სუსგ №ა-3101-შ-81-2018, 26 ოქტომბერი, 2018.

კანონმდებლო საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან უცხო სახელმწიფოს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობაზე სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება არ წარმოებს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ცნო და აღსასრულებლად მიაქცია უკრაინის... ეკონომიკური სასამართლოს გადაწყვეტილება მინსკის კონვენციის 54 ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.<sup>43</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამდგომლობა აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და, ამასთან, არც კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველები არსებობს.

სასამართლოს მითითებით, მინსკის კონვენციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს შეუძლიათ განიხილონ საქმეები სხვა შემთხვევებშიც, თუ არსებობს მხარეთა წერილობითი შეთანხმება სასამართლოებისთვის დავის გადაცემის შესახებ. ამასთან, განსაკუთრებული კომპეტენცია, რომელიც გამომდინარეობს მე-20 მუხლის მე-3 პუნქტიდან და ამ კარის II-V ნაწილებით დადგენილი ნორმებიდან, აგრეთვე შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის შიდა კანონმდებლობიდან, არ შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაზე მითითებით აღნიშნა, რომ მხარეები შეთანხმებული იყვნენ დავის წარმოშობის შემთხვევაში, უკრაინის... ეკონომიკური სასამართლოს განსჯადობასა და ასევე, უკრაინის კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე. ამასთან, საკასაციო პალატის განმარტებით, მხარეთა შორის წარმოშობილ დავაზე არ ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია.

კონკრეტულ საქმეში,<sup>44</sup> უზენაესმა სასამართლომ შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს... რაიონული სა-

<sup>43</sup> სუსგ №ა-5105-შ-134-2017, 26 მარტი, 2018.

<sup>44</sup> სუსგ №ა-1071-შ-29-2017, 9 იანვარი, 2018.

სამართლოს განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დააკმაყოფილა.

საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი განჩინებიდან ირკვევა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევას, რომლის შედეგადაც წარმოიშვა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ადგილი ჰქონდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შესაბამისად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასამართლო უფლებამოსილი იყო დაზარალებულის სარჩელის საფუძველზე, განეხილა მხარეთა შორის წარმოშობილი დავა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მინსკის კონვენციის 42-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებები, იმათ გარდა, რომლებიც გამომდინარეობენ ხელშეკრულებებიდან და სხვა მართლზომიერი მოქმედებებიდან, განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა. აღნიშნულ საქმეებში კომპეტენტურია იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა. აგრეთვე, დაზარალებულს შეუძლია სარჩელი წარუდგინოს იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც საცხოვრებელი ადგილი აქვს მოპასუხეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით,<sup>45</sup> შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს... სასამართლოს გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს... სასამართლოს გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ ქორწინების შეწყვეტის ნაწილში დაკმაყოფილდა, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

---

<sup>45</sup> სუსგ №ა-1090-შ-22-2018, 4 ივნისი, 2018.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სპეციალური კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ მეუღლეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

სპეციალური კანონის მე-13 მუხლის თანახმად კი, მშობლებსა და შვილებს შორის პირადი ურთიერთობების, შვილების წარმოშობის, მამობის დადგენისა და მათთან დაკავშირებული დავების საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ პროცესის ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

მონინააღმდეგე მხარეს საქართველოს ტერიტორიაზე აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე საქართველოს სასამართლოს გააჩნია საერთაშორისო კომპეტენცია.

მინსკის კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილებათა ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის შესახებ, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში, თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

განქორწინების ნაწილში, გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევისას, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა სპეციალური კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას.

უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, განქორწინების თაობაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ ბაქოს...სასამართლოს გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობით მიიღწევა ის იურიდიული

შედეგი, რომლის დადგომაც სურს მხარეს. შესაბამისად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობის ავტორს ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის მოთხოვნის მიმართ, არ გააჩნია სსსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ნამდვილი იურიდიული ინტერესი, რაც ამ ნაწილში შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

უზენაესი სასამართლოს განჩინებით,<sup>46</sup> შუამდგომლობა ქორწინების შეწყვეტის შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის შტატის, ნიუ-იორკის ოლქის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარდგენილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წერილითა და ქორწინების მოწმობის ასლით დასტურდება, რომ **შუამდგომლობის ავტორი ქორწინებისას, საქართველოს მოქალაქე იყო შესაბამისად, საქართველოს სასამართლოს, სპეციალური კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოცემულ დავაზე გააჩნია საერთაშორისო კომპეტენცია.**

საქმის მასალებში წარდგენილია მოპასუხის აპოსტილით დამოწმებული განცხადება, სადაც იგი აცხადებს, რომ მისთვის ცნობილია ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის შტატის, ნიუ-იორკის ოლქის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე შუამდგომლობის შესახებ და აღნიშნულთან მიმართებით მას პრეტენზია არ გააჩნია.

სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2 პუნქტით. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ

<sup>46</sup> სუსგ №ა-1830-შ-41-2018, 5 ივნისი, 2018.

მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმებში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით,<sup>47</sup> საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებულ იქნა და აღსრულდა რუსეთის ფედერაციის... სასამართლოს გადაწყვეტილება, თანხის დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამდგომლობას ერთვის მინსკის კონვენციის 53-ე მუხლით დადგენილი ყველა ის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც საჭიროა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღიარებისა და აღსრულების წინაპირობების შემონახვის საკითხის გადასაწყვეტად, ასევე, არ არსებობს ამავე კონვენციის 55-ე მუხლით დადგენილი რომელიმე წინაპირობა წარმოდგენილი შუამდგომლობით მოთხოვნილი სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და მის აღსრულებაზე უარსაყოფად.

სასამართლო სხდომაზე მოპასუხის მიერ გაჟღერებული პრეტენზიის პასუხად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღიარება და აღსრულებაცაა მოთხოვნილი, მიღებულია დავის განმხილველი სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედი სამართლით, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არსებითად ვერ იმსჯელებს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების სამართლებრივ გამართულობაზე. საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და საქართველოს უზენაესი სასამართლო მხოლოდ ამ გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და აღსრულების საკითხზე მსჯელობს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით,<sup>48</sup> საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებულ იქნა და აღსრულდა რუსეთის ფედერაციის ქალაქ მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება.

<sup>47</sup> სუსგ №ა-3533-შ-93-2017, 14 მარტი, 2018.

<sup>48</sup> სუსგ №ა-4744-შ-119-2017, 30 მაისი, 2018, ასევე, №ა-5069-შ-130-2017, 26 აპრილი, 2018.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ ხელმძღვანელობს გაეროს ნიუ-იორკის 1958 წლის კონვენციით, რადგან უცხო ქვეყნის სასამართლო რუსეთის ფედერაციის საერთო სასამართლოების შემადგენლობაშია და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ საარბიტრაჟო ინსტიტუტს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს მტკიცების ტვირთი ეკისრება მონინალმდევე მხარეს. მან არა მარტო უნდა მიუთითოს საკასაციო სასამართლოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებზე, არამედ უნდა წარუდგინოს კიდევ სასამართლოს შესაბამისი მტკიცებულებები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე, განსახილველი შუამდგომლობის დასაბუთებულობის კვლევის დროს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოება, მხარისათვის უწყების ჩაბარების თაობაზე, ქმნის გაქარწყლებად პრეზუმფციას, რომლის გაბათილება, ამ შემთხვევაში, სტანდარტული მტკიცებულებით ვერ მოხდება. მნიშვნელოვანია, რომ მონინალმდევე მხარეს მიეცეს საკუთარი პოზიციის დამტკიცების ანუ პრეზუმფციის, როგორც ვარაუდის, გაქარწყლების შესაძლებლობა, რაც მოცემულ შემთხვევაში, სრულად იქნა უზრუნველყოფილი მოპასუხისათვის, თუმცა, მან ვერ უზრუნველყო მტკიცების ტვირთის შუამდგომლობის ავტორისათვის გადაკისრება.

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხზე მსჯელობისას, სასამართლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას არსებითად არ განიხილავს.

სასამართლომ მიუთითა, რომ სხდომის დანიშვნის თაობაზე მოვალის მიერ საკასაციო სასამართლოში წარდგენილი დადგენილება უტყუარად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოპასუხისათვის ცნობილი იყო კრედიტორის მიერ აღძრული სარჩელისა და სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის თაობაზე. მოპასუხეს სარჩელის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა, მას ჰქონდა შესაძლებლობა შენინალმდეგებოდა სარჩელს და კრედიტორის მოთხოვნის სა-

წინააღმდეგო არგუმენტები წარედგინა, რაც მოვალეს არ განუხორციელებია. მყიდველი აცხადებს, რომ მან უცხო ქვეყნის სასამართლოში მოსაზრებები გაგზავნა, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულება საკასაციო სასამართლოსათვის არ წარუდგენია. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოვალის მიერ საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ დადგენილებაში მითითებულია, რომ საქმის მსვლელობის შესახებ ყველა ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იყო უცხო ქვეყნის სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.msk.arbitr.ru](http://www.msk.arbitr.ru)). ამასთან დაკავშირებით, მოწინააღმდეგე მხარემ სადავოდ გახადა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად იყო ვალდებული სცოდნოდა ინტერნეტის გამოყენება და რუსული ენა. აღნიშნული მოსაზრება საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა, რადგან სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების თანახმად, იურიდიული პირი ვალდებულია სარჩელში ელექტრონული ფოსტის მისამართი მიუთითოს, რაც შეეხება რუსული ენის ცოდნას – ამ არგუმენტის იმ მხარის სასარგებლოდ გაზიარება, რომელიც რუსულ ენაზე საუბრობს და საქართველოში გამართულ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად თარჯიმნის მომსახურება სჭირდება, შეუძლებელია.

სასამართლო სხდომაზე მოპასუხის მიერ გაჟღერებული პრეტენზიის პასუხად, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე აღიარება და აღსრულებაცაა მოთხოვნილი, მიღებულია დავის განმხილველი სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით მოქმედი სამართლით, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არსებითად ვერ იმსჯელებს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების სამართლებრივ გამართულობაზე. საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და საქართველოს უზენაესი სასამართლო მხოლოდ ამ გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღიარებისა და აღსრულების საკითხზე მსჯელობს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ვერც წერილობით და ვერც ზეპირი ახსნა-განმარტებების დროს სასამართლოს ვერ წარუდგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხე სათანადო წესით არ იყო ინფორმირებული უცხო ქვეყანაში წარმოებული საქმის თაობაზე.



შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მონინა-ალმდეგე მხარის პრეტენზია საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ საპროცესო კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე, დაუსაბუთებელია.

საკასაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა, რასაც ხელმონერით ადასტურებს უცხო ქვეყნის სასამართლოს მოსამართლე. ამგვარი ჩანაწერი იმდენად მაღალი ლეგიტიმაციის მქონეა, რომ მართოდენ მონინაალმდეგე მხარის განმარტება მას ვერ გააბათილებს. კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ სასამართლო ჩანაწერის გაქარწყლებას დასაბუთებული მტკიცებულება სჭირდება, რაც მოპასუხეს არ წარუდგენია.

საკასაციო სასამართლომ შუამდგომლობით მოთხოვნილ საადვოკატო ხარჯთან – 12 500 აშშ დოლართან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს თანხა მოიცავს საადვოკატო მომსახურებას, როგორც უცხო ქვეყნის სასამართლოში, ასევე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხსაც. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს უცხო ქვეყნის სასამართლოში განეული საადვოკატო ხარჯის ანაზღაურება უცხო ქვეყნის სასამართლოში უნდა მოეთხოვა და არა გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების ეტაპზე. შესაბამისად, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა მონინაალმდეგე მხარისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 12 500 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 1000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, ეს თანხა ადვოკატის მიერ განეული სამუშაოს ადეკვატურია, რაც უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხს უკავშირდება.

უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ განჩინებაში<sup>49</sup> მოპასუხის სათანადო წესით მონვევასთან მიმართებით აღნიშნა, რომ, როდესაც შუამდგომლობას თან ერთვის მოპასუხის მონვევის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, წარმოიშობა გაბათილებადი პრეზუმფცია (rebuttable presumption), რომ მოპასუხე მონვეული

<sup>49</sup> სუსგ №ა-5069-შ-130-2017, 26 აპრილი, 2018.

იყო სასამართლო განხილვაზე. მოპასუხეს აქვს შესაძლებლობა, წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები, რათა ეს პრეზუმფიცია გააბათილოს და მტკიცების ტვირთი კვლავ მოსარჩელეზე გადაიტანოს“ (საერთაშორისოსამართლებრივი ურთიერთდახმარება სამოქალაქო საქმეებზე, პრაქტიკული სახელმძღვანელო, თბილისი, 2018.110).

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა,<sup>50</sup> რომ საპროცესო კოდექსით დადგენილი მოწესრიგება, რომელიც იმპერატიულად ადგენს ფორმალურ წესებსა და ვადებს, სავალდებულოა არა მხოლოდ მხარეებისათვის, არამედ სასამართლოსათვისაც და ამ რეგულაციების შეცვლა ან განსხვავებული ინტერპრეტაცია მხარეთა ნებაზე დამოკიდებული ვერ იქნება.

---

<sup>50</sup> სუსგ №ას-299-284-2016.

## 2. შუამდგომლობა უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, არ დაკმაყოფილდა

საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ, საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ.

საქმის საკუთარი ქვეყნის სამართლის მიხედვით, განხილვა არ შეესაბამება მინსკის კონვენციის 42-ე მუხლისა და შეთანხმების მე-2 მუხლის მოთხოვნებს და ამით არღვევს აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა აღსრულების შესახებ.<sup>51</sup> საცნობი გადანყვეტილებით დასაქმებულის სასარჩელო მოთხოვნები დამსაქმებლის მიმართ პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო, დახმარების გადახდევინებისა და მორალური ზიანის კომპენსაციის თაობაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. სასამართლომ გადანყვეტილების მიღებისას გამოიყენა მინსკის კონვენციის „უფლებათა ურთიერთცნობის შესახებ მუშაკთათვის დასახიჩრების, პროფესიული დაავადების ან მათი შრომითი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე“ შეთანხმებისა და სპეციალური კანონის დებულებები (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 14 იანვრის №3245-რს დადგენილებით, შემდეგში: შეთანხმება).

მინსკის კონვენციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი-

<sup>51</sup> სუსგ №ა-5115-შ-135-2017, 15 ივნისი, 2021, ასევე №ა-712-შ-15-2018, 31 მაისი, 2021.

დან გამომდინარეობს, რომ ამ კონვენციის 42-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები განეკუთვნება ხელშემკვრელ მხარეთა სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციას, რაც იმავე კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შესაძლებელია სხვა ქვეყნის გადანყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი გახდეს.

თუმცა, აღნიშნული წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს შეთანხმებით გათვალისწინებული შემთხვევები, რომელთა მიმართაც დადგენილია სპეციალური მონესრიგება. კერძოდ, შეთანხმების მე-8 მუხლის თანახმად, „წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებულ საქმეებზე კომპეტენტურია იმ მხარის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა ქმედებას, რომელიც გახდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი ან იმ მხარის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობენ ზარალის ანაზღაურების უფლების მქონე პირები, დაზარალებულის არჩევით.“ ამრიგად, აღნიშნული მუხლი მოსარჩელეს სხვადასხვა წევრი სახელმწიფოების სასამართლოთა არჩევის შესაძლებლობას აძლევს, რაც რომელიმე ქვეყნის სასამართლოს განსაკუთრებულ კომპეტენციას გამოორიცხავს.

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციის სასამართლომ განიხილა საქმე ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა) ჰქონდა ადგილი. თუმცა გამომდინარე იქედან, რომ მოსარჩელე ამჟამად რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრობს, სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობს მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

ამასთან, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ სასამართლომ წარდგენილი სარჩელი რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით განიხილა, კერძოდ, მოსარჩელისათვის გადასახდელი ყოველთვიური დახმარების ოდენობის გაანგარიშება რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის საფუძველზე განახორციელა და ამასთან, მოსარჩელის მეორე მოთხოვნა, რომელიც ეხება მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს, ასევე, რუსეთის ფედერაციის სამართლის შესაბამისად გადანყვიტა.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა შეთანხმების მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, „მუშაკათავის შრომითი დასახიჩრების, პროფესიული დაავადების ან მისი შრომითი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანების ან სიკვდილის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას (მათ შორის, მუშაკთა მიერ შრომით ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებული შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში ნარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად, დაზარალებულის მეორე მხარის ტერიტორიაზე გადასახლების შემდეგ) ახორციელებს იმ მხარის დამსაქმებელი, რომლის კანონმდებლობაც ვრცელდებოდა მუშაკზე დასახიჩრების ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანების ან სიკვდილის მომენტში. ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებელი დამსაქმებელი ანაზღაურებს მას თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.“

დამატებით, საკასაციო სასამართლომ მიუთითა მინსკის კონვენციის 42-ე მუხლზე, რომლის თანახმად, „ზიანის ანაზღაურების ვალდებულებები, მათ გარდა, რომლებიც გამომდინარეობენ ხელშეკრულებებიდან და სხვა მართლზომიერი მოქმედებებიდან, განისაზღვრება იმ ხელშეკრული მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა ქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა.“

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებელი დამსაქმებელი იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და იმ ქმედებას ან გარემოებას, რომელიც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა, ასევე ადგილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში), საიდანაც გამომდინარეობს, რომ მოპასუხე დამსაქმებელმა ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა განახორციელოს.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ რუსეთის ფედერაციის ...სასამართლოს მიერ მოცემული საქმის საკუთარი ქვეყნის სამართლის მიხედვით, განხილვა არ შეესაბამება მინსკის კონვენციის 42-ე მუხლისა და შეთანხმების მე-2 მუხლის მოთხოვნებს და ამით არღვევს აღნიშნული საერთაშორისო ხელ-

შეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

**შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეთა ავტონომიურობასა და თვითპასუხისმგებლობას განსაზღვრავს, რომელიც რაიმე ფორმით, მათ შორის, საქმის განხილვაზე მიუღწევლობით არ შეიძლება შეეზღუდოთ სამართალწარმოებაში მონაწილე სუბიექტებს.**

ერთ-ერთ საქმეში,<sup>52</sup> სადაც მოსარჩელე, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებას ითხოვდა, საკასაციო სასამართლომ **შუამდგომლობა უარყო**. სასამართლომ აღნიშნა, რომ როგორც მინსკის კონვენცია, ისე ქვეყნის შიდა კანონმდებლობა, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას ერთ ერთ წინაპირობად მიიჩნევს საქმის განხილვასთან დაკავშირებით მხარის ინფორმირებულობას.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე სასამართლოს სხდომის თაობაზე სათანადოდ არ იყო ინფორმირებული, რამდენადაც მისთვის გაგზავნილ უწყებაში სხდომის თარიღად მითითებულია 2020 წლის 24 ივნისი, საცნობი გადაწყვეტილება კი, 2020 წლის 26 ივნისის სხდომაზეა მიღებული. ასეთ პირობებში კი, მარტოოდენ შუამდგომლობის ავტორის ზეპირი ახსნა-განმარტებით მოპასუხის სათანადოდ ინფორმირების საკითხის დადგენა შეუძლებელია. აღნიშნული მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს აღნიშნული კონვენციის ხელშემკვრელი მხარის, მოცემულ შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის უპირობო საფუძველს.

საკასაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა სპეციალური კანონის 68-ე მუხლზე, რომლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს და განმარტა, რომ სასამართლო პროცესის თაობაზე მოპასუხის ინფორმირებულობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტის – შე-

<sup>52</sup> სუსგ №ა-840-შ-16-2021, 20 მაისი, 2021.

ჯიბრეხითი სამართალწარმოების წინაპირობაა. შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეთა ავტონომიურობასა და თვითპასუხისმგებლობას განსაზღვრავს, რომელიც რაიმე ფორმით მათ შორის, საქმის განხილვაზე მიუღწევლობით არ შეიძლება შეეზღუდოთ სამართალწარმოებაში მონაწილე სუბიექტებს.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს ზოგადი კონცეფცია მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს (საქმე, რუიზ-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ (*Ruiz-Mateos v. Spain*), 23/06/1993, § 63, Series A no. 262). ამასთან, სამართლიანი სამართალწარმოება მოითხოვს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა მხარე ინფორმირებული იყოს და შესაძლებლობა ჰქონდეს გამოთქვას მოსაზრება წარდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე, რათა გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (**საქმე, ლობო მაჩადო პორტუგალიის წინააღმდეგ (*Lobo Machado v. Portugal*), 20/02/1996, §31, ანგარიშები 1996-1**). უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული საკითხი გულისხმობს, რომ პირი ინფორმირებული უნდა იყოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ (**საქმე, „დილიპაკი და კარაკაია თურქეთის წინააღმდეგ“ (*Dilipak and Karakaya v. Turkey*), nom. 7942/05 და 24838/05, §77, 04/03/2014**). თუ სასამართლო დოკუმენტები, მათ შორის, სასამართლო სხდომის უწყებები არ ჩაბარდა მხარეს პირადად, მაშინ განმცხადებელს შეიძლება ხელი შეეშალოს საკუთარი თავის დაცვის განხორციელებაში, სამართალწარმოების პროცესას (**საქმე, ოზგურ-კარადუმანი გერმანიის წინააღმდეგ (განჩინება) (*Ozgur-Karaduman v. Germany (dec.)*, no. 4769/02, 26/06/2007; საქმე ვებერი გერმანიის წინააღმდეგ (განჩინება), (*Weber v. Germany (dec.)*, no. 30203/03, 02/10/2007; საქმე ზადოვნიკი სლოვენის წინააღმდეგ, (*Zavodnik v. Slovenia*), no. 53723/13, § 70, 21/05/2015**).

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, არსებობს მინსკის კონვენციის 55-ე მუხლითა და „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით გათვალისწინებული უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა აღსრულების დამატკიცებელი კიდევ ერთი გარემოება.

სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება, თუ ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი.

მოცემულ შემთხვევაში დასტურდება, რომ ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოშობილ დავას თბილისის საქალაქო სასამართლო არსებითად იხილავს. მონინალმდეგე მხარის მითითებით, შუამდგომლობის ავტორს რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე პროცესის შესახებ საქალაქო სასამართლოსათვის არ უცნობებია, აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგო მტკიცებულება შუამდგომლობის ავტორს არ წარუდგენია.



### **3. შუამდგომლობას, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, უარი ეთქვა განსახილველად მიღებაზე**

სხვა საქმეში,<sup>53</sup> საკასაციო სასამართლომ არ მიიღო შუამდგომლობა განსახილველად და განმარტა, რომ მინსკის კონვენციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შუამდგომლობას თან უნდა ერთვოდეს გადაწყვეტილება ან მისი დამონმებული ასლი, აგრეთვე ოფიციალური დოკუმენტი იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და ექვემდებარება აღსრულებას ან იმის თაობაზე, რომ იგი აღსრულებას ექვემდებარება კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ ეს არ გამომდინარეობს თვით ხელშეკრულებიდან.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობისა და საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევასთან დაკავშირებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას სასამართლო ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით. სსსკ-ის 135-ე მუხლის თანახმად კი წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წარდგენილია საბუთის ასლი, სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. პირი შეიძლება განთავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა გარკვეული მიზეზით, რომელსაც სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს, შეუძლებელია. საბუთის ასლისათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობის მინიჭება დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.

სასამართლოს დასკვნით, განსახილველ შემთხვევაში, მართალია შუამდგომლობას ერთვის რუსეთის ფედერაციის ...საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის ცნობასაც მოით-

<sup>53</sup> სუსგ №ა-3031-შ-78-2021, 22 ივნისი, 2021.

ხოვს მხარე, ასევე ამავე სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი და ცნობები, მაგრამ მითითებული დოკუმენტები ზემოხსენებული წესის შესაბამისად არ არის წარდგენილი, არც დედნების და არც მათი სათანადო წესით დამონმებული ასლების სახით. გარდა ამისა, არც მხარე უთითებს დოკუმენტების სათანადო წესით წარმოუდგენლობის მიზეზებზე.

შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს შუამდგომლობის განსახილველად მიღების წინაპირობები, ვინაიდან შუამდგომლობას არ ერთვის კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სათანადო წესით დამონმებული ან დედანი დოკუმენტები. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში კი, მხარე არ კარგავს უფლებას, ამავე შუამდგომლობით კვლავ მიმართოს სასამართლოს.

კონკრეტულ საქმეში,<sup>54</sup> საკასაციო სასამართლომ შუამდგომლობის ავტორს უარი უთხრა უცხო ქვეყნის, კერძოდ, დანიის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა აღსრულების თაობაზე შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე, იმ საფუძვლით, რომ წარდგენილი მტკიცებულება – საცნობი სასამართლო გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს, კერძოდ, იგი არ არის დამონმებული სათანადო წესით – აპოსტილით.

საკასაციო სასამართლომ უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შესაბამისად, მისი/დამონმების ნამდვილობის საკითხი შეაფასა კონვენციის ფარგლებში, რომელიც აუქმებს უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნას. ხსენებული კონვენციის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ოფიციალურ დოკუმენტად მიიჩნევა მათ შორის, სასამართლო აქტები, რომლებზეც ხელმოწერის ნამდვილობა, ამავე კონვენციის მე-2-მე-4 მუხლების შესაბამისად, შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ დოკუმენტის აპოსტილით დამონმების გზით. შესაბამისად, სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის, სსსკ-ის პირველი, 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის, 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტისა და 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის

<sup>54</sup> სუსგ №ა-1063-შ-21-2021, 15 მარტი, 2021.

თანახმად, შუამდგომლობას უარი ეთქვა განსახილველად მიღებაზე.

შუამდგომლობის ავტორს, რომელიც ითხოვდა ქორწინების შეწყვეტის შესახებ აშშ-ის ნიუ იორკის კინგსის შტატის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობას, შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე ეთქვა უარი.<sup>55</sup>

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულების საკითხის განხილვამდე აუცილებელია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეამოწმოს მისი დასაშვებობა, კონკრეტულ შემთხვევაში კი, შედის თუ არა შუამდგომლობაში დასმული საკითხის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში, **გააჩნია თუ არა შუამდგომლობის ავტორს იურიდიული ინტერესი და ა. შ.**

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სსსკ-ის 180-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის (შუამდგომლობის ავტორის) იურიდიული ინტერესი.

განსახილველ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორი, საქართველოს ტერიტორიაზე აშშ-ის ნიუ იორკის შტატის კინგსის ოლქის გადაწყვეტილების ცნობასთან დაკავშირებით სამართლებრივი ინტერესის არსებობის შესახებ არ უთითებს და მას ვერ ასაბუთებს.

სსსკ-ის 396-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, წარმომადგენლის მიერ შეტანილ საკასაციო საჩივარს (შუამდგომლობას) უნდა დაერთოს მინდობილობა, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას საკასაციო საჩივრის შეტანაზე, თუ ასეთი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი არ არის საქმეში.

სსსკ-ის 98-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესით: უფლებამოსილება სასამართლოში საქმისწარმოების შესახებ უფლებას აძლევს წარმომადგენელს, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა **სარჩელის აღძვრისა**, არ-

<sup>55</sup> სუსგ №ა-1800-შ-46-2021, 19 აპრილი, 2021.

ბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევენებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. **წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედების შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.**

სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველი საქმის მასალებში წარდგენილია მინდობილობა, რომლითაც მ. თ-ძემ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გადასცა კ. თ-ძეს. აღნიშნული მინდობილობით მ. თ-ის მარწმუნებლებს მინიჭებული აქვთ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მესამე პირებზე გადადობის უფლებაც.

ასევე, საქმის მასალებში წარდგენილია ორდერი, რომლითაც ადვოკატი უფლებამოსილია იყოს მ. თ-ძისა და კ. თ-ძის წარმომადგენელი საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოხსენებულ ორდერში, სსსკ-ის 98-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური უფლებამოსილება სარჩელის აღძვრის შესახებ აღნიშნული არ არის და შესაბამისად, ორდერის შინაარსიდან არ იკვეთება **სარჩელის (შუამდგომლობის) აღძვრის** უფლებამოსილება კ-ძემ, როგორც მ. თ-ძის მარწმუნებელმა, გადასცა თუ არა ადვოკატს. ამავე მსჯელობის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ორდერის საფუძველზე ადვოკატი არაა უფლებამოსილი მ. თ-ძის სახელით აღძრას განცხადება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

ვინაიდან, სსსკ-ის 178-ე, 186-ე მუხლების შესაბამისად, შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, შუამდგომლობის ავტორს უარი უნდა ეთქვას მის განსახილველად მიღებაზე.

სხვა საქმეში,<sup>56</sup> საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მინსკის კონვენციის 52-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილებების აღია-

<sup>56</sup> სუსგ №ა-1902-შ-43-2021, 28 აპრილი, 2021, ასევე იხ. სუსგ №ა-1332-შ-36-2020, 30 მარტი, 2020.

რებაზე და იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შუამდგომლობის ავტორს შეიძლება უარი ეთქვას, თუკი: ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც გამოტანილია გადაწყვეტილება, იგი არ შესულა კანონიერ ძალაში ან არ ექვემდებარება აღსრულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას კანონიერ ძალაში შესვლამდე. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დგინდება რუსეთის ფედერაციის სასამართლოს საცნობი გადაწყვეტილება შესულია თუ არა კანონიერ ძალაში. ასევე, არ დგინდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილება არ არის აღსრულებული, რაც შუამდგომლობის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს წარმოადგენს. შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძვლად სასამართლომ მიუთითა სპეციალური კანონის 68-ე, მინსკის კონვენციის 53-ე, 54-ე და 55-ე და სსსკ-ის 186-ე, 187-ე, 284-ე, 285-ე მუხლებზე.

ანალოგიურად,<sup>57</sup> სასამართლომ უარი თქვა შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე, იმ საფუძვლით, რომ საქმის მასალებით არ დგინდება ის გარემოება, **შესულია თუ არა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში** მაშინ, როდესაც სპეციალური კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისათვის სავალდებულოა, რომ იგი შესული იყოს კანონიერ ძალაში. კანონის იმპერატიულ მოთხოვნას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისათვის წარდგენილი უნდა იყოს უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ვერ შეცვლის მხოლოდ მხარის წერილობითი მითითება აღნიშნულის თაობაზე.

კანონის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლი და დამონმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე **ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა** და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, თუ ეს შუამდგომლობის ტექსტიდან არ გამომდინარეობს.

სსსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალ-

<sup>57</sup> სუსგ №ა-1332-შ-36-2020 , 30 მარტი, 2020.

დებულება, სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია ამის შესახებ სარჩელში მიუთითოს. მოსარჩელე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

შუამდგომლობა საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ არ იქნა მიღებული განსახილველად.<sup>58</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებში წარდგენილია ფედერალური სასამართლოს ცენტრალური კანცელარიის ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს საცნობი გადაწყვეტილება, არ არის გასაჩივრებული.

საქმეში წარდგენილ დოკუმენტებში არ არის აღნიშნული საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები. საკასაციო პალატის განმარტებით, ხსენებული დოკუმენტი არ არის საკმარისი აღსასრულებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საკითხის უტყუარად დასადგენად.

საკასაციო სასამართლომ ასევე, მიუთითა ცნობის შინაარსზე, რომელიც ასახავს მხოლოდ მისი მომზადების პერიოდისთვის არსებულ მონაცემებს და მისი შინაარსიდან არ ირკვევა **ამონურულია თუ არა გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, შესაბამისად, შეუძლებელია დადგინდეს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საკითხიც.**

სსსკ-ის 96-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მინდობილობას ორგანიზაციის სახელით გასცემს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი.

საქმეში არსებული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა) გაცემულია საწარმოს გენერალური მენეჯერის მიერ. **თუმცა, მხარეს არ წარუდგენია მინდობილო-**

<sup>58</sup> სუსგ №ა-1356-2020, 26 მარტი, 2020.

## **ბის გამცემი პირის, როგორც სანარმოს ხელმძღვანელის, უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი (სამენარმეო რეესტრის ამონაწერი).**

ერთ საქმეში,<sup>59</sup> საკასაციო სასამართლომ უარი თქვა შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე იმ საფუძველით, რომ შუამდგომლობას ავტორი ხელს არ აწერს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულების საკითხის განხილვამდე აუცილებელია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეამოწმოს, არსებობს თუ არა განცხადების წარმოებაში მიღების წინაპირობები, რა დროსაც ამონებებს არა მხოლოდ სპეციალური კანონით გათვალისწინებულ საფუძველებს, არამედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნებთან განცხადების შესაბამისობასაც.

სსსკ-ის 178-ე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, სარჩელს ხელს აწერს მოსარჩელე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

კანონის მითითებული დანაწესი სარჩელის, მოცემულ შემთხვევაში კი, განცხადების განსახილველად მიღების წინაპირობად ითვალისწინებს მოსარჩელისა თუ განმცხადებლის ხელმოწერის არსებობის აუცილებლობას. იმის გამო, რომ შუამდგომლობას ავტორი ხელს არ აწერს სსსკ-ის 178-ე, 186-ე და 187-ე მუხლების შესაბამისად, შუამდგომლობას უარი ეთქვა განსახილველად მიღებაზე.

სხვა საქმეში,<sup>60</sup> შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვა შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე, იმ საფუძველით, რომ უცხო ქვეყანაში მისი *სარჩელი განხილულია მონინალმდევე მხარის ინფორმირების და შესაბამისად, მონანილეობის გარეშე*. აღნიშნული მეტყველებს მასზე, რომ რუსეთის ფედერაციის ...სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება (მისი მიღების პროცედურა) ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში ასახულ ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

<sup>59</sup> სუსგ №ა-28-შ-63-2020, 7 სექტემბერი, 2020.

<sup>60</sup> სუსგ №ა-2748-შ-57-2020, 7 სექტემბერი, 2020.

სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით კი, თუ უცხო ქვეყნის გადანყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი გადანყვეტილების ცნობა არ მოხდება.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ წარდგენილი შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს მინსკის კონვენციის 53-ე და 55-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შესაბამისად, იკვეთება შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი.

ერთ საქმეში,<sup>61</sup> შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვა უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე.

სასამართლომ მიუთითა, რომ სპეციალური კანონის 68-ე მუხლით მონესრიგებულია კანონიერ ძალაში შესული უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასთან დაკავშირებული საკითხები, ხოლო ამავე კანონის 70-ე და 71-ე მუხლებით რეგულირდება უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების პროცედურა.

უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სპეციალური კანონის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში გადანყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს, იძულებით აღსასრულებელ ჩანანერს არ შეიცავს (გადანყვეტილება შეეხება ქორწინების შეწყვეტას) და საკასაციო სასამართლოსთვის გაურკვეველია გადანყვეტილების რა ნაწილი უნდა დაექვემდებაროს იძულებით აღსრულებას საქართველოს ტერიტორიაზე, მაშინ როცა ზემოხსენებული **გადანყვეტილება აღსრულებაუნარიანი არ არის.**

<sup>61</sup> სუსგ ა-3136-შ-65-2020, 11 სექტემბერი, 2020.



სხვა საქმეში,<sup>62</sup> შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე. საქმის მასალებით დადგენილია, რომ **შუამდგომლობის ავტორს შუამდგომლობაში არ მიუთითებია მონინალმდევე მხარის მისამართი (ძირითადი/ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).**

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში (მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობაში) უნდა აღინიშნოს მოსარჩელის, მისი წარმომადგენლის (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს), სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი მათ შორის, მობილურის, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსი.

ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან წარდგენილი შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს კანონის ფორმალურ მოთხოვნებს, მის ავტორს უარი უნდა ეთქვას შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე.

სხვა საქმეში,<sup>63</sup> სადაც შუამდგომლობის ავტორს ასევე, უარი ეთქვა გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე, იმ საფუძვლით, რომ შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმომადგენლის სახელზე გაცემული მინდობილობით, ამ უკანასკნელს სარჩელის (განცხადების/შუამდგომლობის) სასამართლოში წარდგენის უფლებამოსილება არ აქვს მინიჭებული. ამასთან, საკასაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 440-ე მუხლზე, რომლის თანახმად, *პირებს, რომლებსაც არ გაუფლიათ ადვოკატთა ტესტირება და არ არიან გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლე-*

<sup>62</sup> სუსგ №ა-3269-შ-77-2020, 17 სექტემბერი, 2020.

<sup>63</sup> სუსგ №ა-39-შ-2-2020, 15 იანვარი, 2020.

ბის ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლებისა – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, შუამდგომლობაზე ხელმოწერი პირი შუამდგომლობის ავტორის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ სუბიექტად ვერ განიხილება, ვინაიდან გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ამ უკანასკნელის განვევრიანების დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში წარდგენილი არ არის. ასევე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.gba.ge](http://www.gba.ge)) არსებულ ადვოკატთა რეესტრის მონაცემებში – ნევრთა ერთიან სიაში შუამდგომლობაზე ხელმოწერი პირი არ მოიძებნა.

სასამართლომ განჩინება დააფუძნა სსსკ-ის პირველი მუხლის პირველ ნაწილს, 93.2.-ე, 96.1.-ე, 98.1.-ე, 178-ე მუხლის მეორე ნაწილს, 396-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტს.

მხარეს უარი ეთქვა, ქორწინების შეწყვეტის შესახებ, უკრაინის ...სასამართლოს საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე.<sup>64</sup>

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დგინდება უკრაინის ...სასამართლოს გადაწყვეტილება ქორწინების შეწყვეტის შესახებ, შესულია თუ არა კანონიერ ძალაში. ამასთან, შუამდგომლობას ერთვის გადაწყვეტილების ქსეროასლი, რომელიც არ არის გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს მიერ სათანადოდ დამონმებული (გაცემული) ასლი და გაურკვეველია მისი ნამდვილობა. გარდა ამისა, შუამდგომლობაში არ არის მითითებული მონინაალმდევე მხარის ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი) (განცხადება შეიცავს მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის პერიოდისათვის არსებულ – მოწინააღმდევე მხარის რეგისტრირებულ მისამართს) და სხვა, სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემები, რაც აუცილებელია სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე.

<sup>64</sup> სუსგ №ა-5832-შ-179-2019, 3 იანვარი, 2020.

ერთ საქმეში,<sup>65</sup> საკასაციო სასამართლომ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა, რომ საქმეში წარდგენილია უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი და მისი სანოტარო წესით დამონმებული ქართულენოვანი თარგმანი.

საკასაციო პალატამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სადავო მტკიცებულება წარმოადგენს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, მისი/დამონმების ნამდვილობის საკითხი შეაფასა კონვენციის ფარგლებში, რომელიც აუქმებს უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნას. ხსენებული კონვენციის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ოფიციალურ დოკუმენტად მიიჩნევა მათ შორის, სასამართლო აქტები, რომლებზეც ხელმოწერის ნამდვილობა, ამავე კონვენციის მე-2-მე-4 მუხლების შესაბამისად, შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ დოკუმენტის აპოსტილით დამონმების გზით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილი მტკიცებულება არ აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს, მართალია, ირკვევა აპოსტილით მისი დამონმების ფაქტი, თუმცა, როგორც მთლიანად გადაწყვეტილება, ისე – აპოსტილი წარმოდგენილია არა დედნის, არამედ – ქსეროასლის სახით, რაც გამორიცხავს ამ მტკიცებულების გაზიარებას.

სხვა საქმეში,<sup>66</sup> საკასაციო სასამართლომ სპეციალური კანონის 68.5, 70.3 მუხლებსა და სსსკ-ის 186-ე, 187-ე მუხლებზე დაყრდნობით, უარი თქვა შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე იმ საფუძველზე, რომ მხარის შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, შესაბამისად, არ არსებობს მისი განსახილველად მიღების წინაპირობები.

წარდგენილ შუამდგომლობას სპეციალური კანონის 68-ე და 71-ე მუხლების თანახმად, არ ერთვის ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ; ასევე, ცნობა, რომ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე.

<sup>65</sup> სუსგ №ა-2577-შ-54-2020, 28 ივლისი, 2020.

<sup>66</sup> სუსგ №ა-2347-შ-50-2020, 20 ივლისი, 2020.

სასამართლომ აღნიშნა, რომ არც აპოსტილით დამონმებული სასამართლო გადაწყვეტილებით და სასამართლოს უფლებამოსილი მოხელის მიერ გაცემული რაიმე დოკუმენტით არ დგინდება ის ფაქტი, რომ იგი შესულია კანონიერ ძალაში. გარდა ამისა, გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადებულა საქმის განხილვაზე, თუმცა, დაცული იყო თუ არა საქმის განხილველი ქვეყნის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული მოპასუხის შეტყობინება-დაბარების წესები – არ ჩანს.

ერთ საქმეში,<sup>67</sup> საკასაციო სასამართლომ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა, რომ საქმის მასალების შესწავლის შედეგად, სასამართლო მოკლებულია იმის შესაძლებლობას, გაარკვიოს გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მოითხოვს შუამდგომლობის ავტორი, მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არის თუ არა აღსრულებული. შუამდგომლობის ავტორის მიერ საქმის მასალები არასრულად არის წარმოდგენილი.

სპეციალური კანონის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლი და დამონმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ.

დასახელებული ნორმა ადგენს, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისათვის მას უნდა ერთვოდეს გადაწყვეტილების მიმღები კომპეტენტური სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომლითაც დადასტურდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა და მისი **აღსრულება სწორედ საქართველოს ტერიტორიაზეა სავალდებულო მხარისათვის სასამართლო წესით მინიჭებული უფლებისა თუ სამართლებრივი სიკეთის რეალიზაციისათვის.**

<sup>67</sup> სუსგ №ა-573-2020, 20 თებერვალი, 2020.

სპეციალური კანონის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას.

მოსარჩელის განცხადებიდან იკვეთება, რომ საცნობი გადაწყვეტილების საფუძველზე შეწყდა მხარეთა მიერ თურქეთის რესპუბლიკაში რეგისტრირებული ქორწინება. შესაბამისად აშკარაა, რომ გადაწყვეტილების აღსრულება რაც მდგომარეობს მხარეთა მიერ რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტის რეგისტრაციაში, იმავე მარეგისტრირებელი ორგანოს მიმართვის შედეგად უნდა განხორციელდეს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეებმა განქორწინების რეგისტრაციის მიზნით, უნდა მიმართონ თურქეთის რესპუბლიკის სათანადო სამსახურს და საკასაციო სასამართლოსთვის გაურკვეველია რა ფორმით უნდა განხორციელდეს დასახელებული გადაწყვეტილების აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე, რაც წარმოადგენს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსასრულებლად დაშვების აუცილებელ წინაპირობას.

ერთ საქმეში,<sup>68</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე, საპროცესო საკითხები განიხილება სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

სსსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს (*შუამდგომლობას*) დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში. მოსარჩელე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

<sup>68</sup> სუსგ №ა-1321-შ-35-2020, 6 აპრილი, 2020.

საკასაციო პალატის მითითებით, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხებს არეგულირებს სპეციალური კანონი, რომლის 68-ე და 71-ე მუხლების თანახმად, შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს:

- ა) სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლი და დამონმებული ქართული თარგმანი;
- ბ) ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ;
- გ) ცნობა იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოცხების თაობაზე.

განსახილველ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს ერთ-ერთი მშობლისათვის ბავშვზე უფლებების ერთპიროვნულად მინიჭების შესახებ, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით აღსასრულებლად მიქცევას.

საკასაციო პალატის განმარტებით, გადაწყვეტილების/განჩინების იძულებით აღსრულების საკითხს არეგულირებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი და მისი მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება, **გარდა ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისა.** დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ დაასკვნა, რომ **უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება ოჯახის ერთ-ერთი წევრის ურთიერთობის უფლებას არასრულწლოვანთან იძულებით აღსრულებას, დაქვემდებარებული არ არის და მხარეს შუამდგომლობით მომართვისას დასახული მიზნის მიღწევა შეუძლია ხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მოთხოვნით,**

რაც ამ ნაწილში შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის კიდევ ერთი საფუძველია.

კონკრეტულ საქმეში,<sup>69</sup> შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვა რუმინეთის კონსტანცას სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე, იმ საფუძველით, რომ **საქმის მასალებით არ დგინდება ის გარემოება, შესულია თუ არა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში** მაშინ, როდესაც სპეციალური კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისათვის სავალდებულოა, რომ იგი შესული იყოს კანონიერ ძალაში. კანონის იმპერატიულ მოთხოვნას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისათვის წარდგენილი უნდა იყოს უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ვერ შეცვლის მხოლოდ მხარის წერილობითი მითითება აღნიშნულის თაობაზე.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>70</sup> საკასაციო პალატამ საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნია, რომ მხარის შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, შესაბამისად, არ არსებობს მისი განსახილველად მიღების წინაპირობები შემდეგ გარემოებათა გამო:

სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, **სარჩელში (შუამდგომლობაში) უნდა აღინიშნოს ... მოპასუხის ... ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)**, აგრეთვე, არსებობის შემთხვევაში, **ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მათ შორის, მობილურის, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსი. სარჩელში შესაძლოა მოსარჩელემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე, მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები. თუ სარჩელი შეაქვს იურიდიულ პირს, ინდივიდუალურ მენარმეს ან წარმომადგენელს (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა), იგი ვალ-**

<sup>69</sup> სუსგ №ა-1332-შ-36-2020, 30 მარტი, 2020, ამ განჩინებაში მითითებული დარღვევის გამოსწორების შემდეგ სუს-ს №ა-1920-შ-45-2020, 2020 წლის 20 ივლისის განჩინებით, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება ცნობილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე.

<sup>70</sup> სუსგ №ა-571-შ-19-2019, 12 თებერვალი, 2019.

დებულება მიუთითოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი. მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარდგენილი მასალების შესწავლით ირკვევა, რომ მოპასუხე ცხოვრობს ქ. ბაქოში და არც გადანყვეტილება და არც სხვა რომელიმე დოკუმენტი არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ალიმენტვალდებული პირი არის საქართველოს მოქალაქე, აქვს საქართველოში მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ქონება, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, მინსკის კონვენციის მე-2 კართა და სპეციალური კანონის მე-2 თავის გათვალისწინებით, დაედგინა საქმის განხილვის საერთაშორისო კომპეტენცია. სასამართლომ აღნიშნა, რომ სააღსრულებო დანესებულების მიერ გაცემული ცნობით, რომლის თანახმადაც, გადანყვეტილების იძულებითი აღსრულება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე აღარ მიმდინარეობს, ირკვევა, რომ შუამდგომლობის ავტორმა სააღსრულებო დოკუმენტი გამოითხოვა იმ მოტივით, რომ ვალდებული პირი არის საქართველოს მოქალაქე, თუმცა, როგორც ითქვა, ეს ფაქტი მტკიცებულებებით არ დასტურდება.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, შუამდგომლობის ავტორი ვალდებულია, მიუთითოს საკუთარი მოთხოვნა. ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელე მართალია, მოითხოვს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სასამართლოს ზემოხსენებული გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას, თუმცა, **ვინაიდან დავა თანხის (ალიმენტის) დაკისრებას შეეხება, გადანყვეტილების მხოლოდ ცნობა მხარის მიერ დასახული მიზნის მიღწევის საკმარისი საშუალება ვერ გახდება, ვინაიდან თანხის გადახდის შესახებ გადანყვეტილების იძულებით აღსრულებისათვის სავალდებულოა მხარე მოითხოვდეს ასევე, უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევასაც.**

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმგვარი სამართალწარმოება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს უფლებადარღვეული პირის რესტიტუციას და არ არის სამართლებრივი ეფექტის მომგანი მხარისათვის, ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრაქტი-



კით, ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) მიზნებს ეწინააღმდეგება (Apostol v. Georgia; Hornsby v. Greece; IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia; Burdov v. Russia; Hornsby v. Greece).

შესაბამისად, სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის, 178-ე მუხლის (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი), 187-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სასამართლომ უარი უთხრა შუამდგომლობის ავტორს შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე.

სხვა საქმეში,<sup>71</sup> საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის, 178-ე მუხლის (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი), 187-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარი თქვა. უარის თქმის საფუძვლად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სსსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში (შუამდგომლობაში) უნდა აღინიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებს, ხოლო მე-3 მუხლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში. მოსარჩელე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობას არ ერთვის მტკიცებულება, რომელიც უცხო ქვეყნის კომპეტენტური სასამართლოს დეკრეტის კანონიერ ძალაში შესვლის ფაქტს დაადასტურებდა, ასევე, არ არის წარდგენილი ის კონტრაქტები, რომელთა თაობაზეც მითითებულია შუამდგომლო-

<sup>71</sup> სუსგ №ა-652-შ-20-2019, 18 თებერვალი, 2019.

ბაში და რომლების მეშვეობითაც მხარეს სურს ხსენებული დეკრეტის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიმართ იურიდიული ინტერესის დადასტურება, ისევე, როგორც არ არის წარდგენილი შუამდგომლობა ამ დოკუმენტების საპატიო მიზეზით წარუდგენლობისა და მათ წარსადგენად საპროცესო ვადის განსაზღვრის თაობაზე.

კონკრეტულ საქმეში,<sup>72</sup> საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის, 178-ე მუხლის (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი), 187-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მე-2 ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, შუამდგომლობის ავტორს უარი უთხრა შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ ბელარუსის რესპუბლიკის კომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების მარეგულირებელ მატერიალური სამართლის ნორმებს განსაზღვრავს მინსკის კონვენციის ნორმები, რომლებიც სპეციალურ წინაპირობებს ადგენენ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით სისრულეში მოყვანისათვის. კონვენციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების შესახებ შუამდგომლობას მათ შორის, უნდა დაერთოს დოკუმენტი, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილი იყო გადაწყვეტილება და რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია პროცესში, სათანადო წესით და დროულად გამოძახებულ იქნა სასამართლოში. თავის მხრივ, კონვენციის მიზნებისათვის მისი მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ხელშემკვრელ მხარეთა ვალდებულებას, სხვა ქვეყნის მოქალაქეს შეტყობინება ჩააბარონ არა ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით, არამედ ამავე კონვენციით განსაზღვრული წესების შესაბამისად (მაგ: მე-6 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული დოკუმენტების გადაცემა სამოქალაქო საქმეებზე).

<sup>72</sup> სუსგ №ა-2447-შ-66-2019, 28 მაისი, 2019.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხის ინფორმირების ფაქტის დადასტურებას, ამავე კონვენციის მიზნებისათვის არა ფორმალური, არამედ არსებითი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან მისი 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ეს გარემოება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს (52-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ცნობისა და მისი იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე არ მონაწილეობდა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის რწმუნებულს დროულად ან ჯეროვნად არ გადაეცა სასამართლოში გამოცხადება).

მოცემულ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ შუამდგომლობას არ ერთვის უშუალოდ მოპასუხის ინფორმირების დამადასტურებელი დოკუმენტი და არც შუამდგომლობაში აღნიშნული ამ მტკიცებულების საპატიო მიზეზით წარუდგენლობის თაობაზე, შუამდგომლობის განხილვაზე უარის თქმის საფუძველია.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>73</sup> შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვა შპს-ს მიმართ ლონდონის უმაღლესი სასამართლოს დედოფლის პალატის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხებს არეგულირებს სპეციალური კანონი, რომლის 68-ე და 71-ე მუხლების თანახმად, შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს:

- ა) სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლი და დამონმებული ქართული თარგმანი;
- ბ) ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ;
- გ) ცნობა იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოცხადების თაობაზე.

<sup>73</sup> სუსგ №ა-2916-შ-83-2019, 24 ივნისი, 2019.

წარდგენილ შუამდგომლობას არც ერთი ზემოხსენებული დოკუმენტი არ ერთვის, არამედ მასში მხოლოდ სიტყვიერადაა განმარტებული საკანონმდებლო მოთხოვნებთან შუამდგომლობის შესაბამისობის ფაქტი. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის, მოპასუხის დადგენილი წესით ინფორმირებისა და სხვა მსგავსი საპროცესო საკითხების თაობაზე, როგორც წესი, **ცნობას გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო გასცემს და მას ვერ შეცვლის მოსარჩელის ყოფილი ადვოკატის მიერ ნოტარიუსის წინაშე ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენება, ისევე, როგორც ადვოკატის მიერ წარდგენილი გადაწყვეტილების ასლის ნამდვილობას არ ადასტურებს ნოტარიუსი, რომელმაც, როგორც დამონმების ტექსტიდან ირკვევა, მხოლოდ ადვოკატის ხელმოწერა დაადასტურა აპოსტილით და არა დოკუმენტების ან მათი შინაარსის ნამდვილობა.**

სხვა საქმეში,<sup>74</sup> შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვა რუსეთის ფედერაციის როსტოვის ოლქის ...სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე.

საკასაციო პალატამ საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნია, რომ მხარის შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, შესაბამისად, არ არსებობს მისი განსახილველად მიღების წინაპირობები შემდეგ გარემოებათა გამო:

მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებათა ცნობასა და მათი აღსრულების ნებართვის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამ კონვენციის დებულებათა თანახმად, ხოლო კონვენციით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში – იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, **საქმე განეკუთვნება მისი დანესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას.**

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანაზე უფლებამოსილ ორგანოს, კერ-

<sup>74</sup> სუსგ №ა-3942-შ-106-2019, 16 სექტემბერი, 2019. ასევე, ანალოგიური საქმე №ა-4513-შ-141-2019, 15 ოქტომბერი, 2019.

ძოდ, კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოთა უფლებამოსილებებია სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა. ამავდროულად კანონის 76-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის საფუძველია უფლებამოსილი პირის განცხადება და ამ კანონის 78-ე-80-ე მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოების არსებობა.

ამდენად, მინსკის კონვენციისა და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ.

შესაბამისად, სასამართლომ შუამდგომლობის ავტორს განუმარტა, რომ სააქტო ჩანაწერებში ცვლილების შეტანის მოთხოვნით მას შეუძლია მიმართოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს.

სხვა საქმეში,<sup>75</sup> შუამდგომლობას უარი ეთქვა საბერძნეთის რესპუბლიკის ათენის მომრიგებელი სასამართლოს ანდერძების განყოფილების გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე, იმ საფუძველით, რომ მოთხოვნის (*ინტერესის*) დაკმაყოფილება სანოტარო ორგანოს და არა სასამართლოს კომპეტენციაა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამდგომლობის ავტორის იურიდიული ინტერესს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიმართ სამკვიდროს საკუთრებაში მიღება წარმოადგენს.

სსსკ-ის მე-11 მუხლი ადგენს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ განსახილველ საქმეთა ზოგად ჩამონათვალს, რომელთა შორის არის, როგორც ქონებრივი, ისე – საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავები, ასევე, დავები,

<sup>75</sup> სუსგ №ა-6048-შ-20-2018, 8 იანვარი, 2019.

როგორც საქართველოს, ისე – უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მონაწილეობით. თუმცა, ნორმის მე-3 ნაწილის თანახმად, მასში ჩამოთვლილ საქმეებს სასამართლოები განიხილავენ, თუ მათი განხილვა კანონის თანახმად, სხვა ორგანოს კომპეტენციაში არ შედის.

სასამართლომ მიუთითა, რომ სსკ-ის 1421-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამავე კოდექსის 1499-ე მუხლის პირველი ნაწილით კი, დადგენილია, რომ მემკვიდრეებად მოწვეულ პირებს შეუძლიათ სანოტარო ორგანოსგან მოითხოვონ სამკვიდრო მოწმობა. „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანების 77-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, ნოტარიუსი გასცემს სამკვიდრო მოწმობას, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში იღებს ზომებს სამკვიდრო ქონების დასაცავად, აღწერს სამკვიდრო ქონებას, ნიშნავს სამკვიდროს მმართველს. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ფუნქციებს ასრულებს ნოტარიუსი სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობისა და სამკვიდროს გახსნის ადგილის მიუხედავად. ამავე ბრძანების 91-ე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულია შემდეგი: თუ მამკვიდრებელი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე (*მინსკის კონვენციის წევრი სახელმწიფოს მოქალაქის გარდა*) და სამკვიდრო მასაში არის ქონება, რომლის ადგილსამყოფელი არის საქართველო, ნოტარიუსი სამკვიდრო მოწმობას გასცემს შესაბამისი ქვეყნის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობის (*ან სხვა დოკუმენტის, რომელიც სამკვიდრო მოწმობას ცვლის*) საფუძველზე. ამ შემთხვევაში ნოტარიუსს უნდა წარედგინოს მამკვიდრებლის გარდაცვალების მოწმობა და საქართველოში შესაბამისი ქონების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ნოტარიუსთან წარდგენილი დოკუმენტები უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს შუამდგომლობის განსახილველად მიღების წინაპირობები, რადგანაც საკითხის გადაწყვეტა (სამკვიდროს მიღება) სანოტარო ბიუროს და არა სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს, ხოლო სამართლებრივი შედეგის გარეშე (საკუთრების მოპოვება სამკვიდროზე), შუამდგომლობის ავტორს (მემკვიდრეს) წინამდებარე შუამდგომლობის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიმართ არ შეიძლება გააჩნდეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი.

სხვა საქმეში,<sup>76</sup> საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა, მინსკის კონვენციის 55 ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით, საქართველოს სსსკ-ის 399-ე, 396-ე, 372-ე, 284-ე, 187 ე, 186-ე მუხლებით, შუამდგომლობა, რუსეთის ფედერაციის... სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, არ მიიღო განსახილველად. საცნობი გადაწყვეტილებით დადგინდა პირთა ნათესაური კავშირი.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს მამკვიდრებლის, დედის სამკვიდროს მიღება; სამკვიდროს მიღებისას წარმოიშვა პრობლემა, რადგან დაბადების მოწმობაში მემკვიდრის სახელად მითითებულია „ვალოდია“, ხოლო დანარჩენ სხვა პირად დოკუმენტებში – „ვლადიმერი“.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მინსკის კონვენციისა და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებათა ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოთხოვნა ექვემდებარება არა სასამართლოს, არამედ – სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ განხილვას, რის გამოც არ არსებობს მისი წარმოებაში მიღების წინაპირობები.

<sup>76</sup> სუსგ №ა-5294-შ-158-2019, 29 ნოემბერი, 2019.

საკასაციო პალატამ კონკრეტული საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნია, რომ მხარის შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, შესაბამისად, არ არსებობს მისი განსახილველად მიღების წინაპირობები. ამიტომ მიუხეხენის პირველი ინსტანციის სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარი თქვა.<sup>77</sup>

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დგინდება ის გარემოება, შესულია თუ არა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში მაშინ, როდესაც სპეციალური კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისათვის სავალდებულოა, რომ იგი შესული იყოს კანონიერ ძალაში. კანონის იმპერატიულ მოთხოვნას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისათვის წარდგენილი უნდა იყოს უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, ვერ შეცვლის ამ საკითხის თაობაზე მხოლოდ მხარის წერილობითი მითითება.

საკასაციო სასამართლომ უარი უთხრა მხარეს<sup>78</sup> დიდი ბრიტანეთის ლიანელის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე, იმ საფუძვლით, რომ არ დგინდება საქართველოს სასამართლოებს აქვთ თუ არა მოცემულ დავაზე საერთაშორისო კომპეტენცია.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალებით არ დგინდება და არც შუამდგომლობას ერთვის შესაბამისი მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა მოცემული დავის მიმართ საქართველოს საერთო სასამართლოების კომპეტენციის არსებობა, კერძოდ: სპეციალური კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ:

<sup>77</sup> სუსგ №ა-4111-შ-112-2019, 16 სექტემბერი, 2019.

<sup>78</sup> სუსგ №ა-4151-შ-115-2019, 16 სექტემბერი, 2019.



- ა) ერთ-ერთი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო;
- ბ) მეუღლეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს;
- გ) ერთ-ერთი მეუღლე მოქალაქეობის არმქონე პირია და ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

ამავე ნორმის მე-2 პუნქტით კი, დადგენილია, რომ ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებში იგულისხმება განქორწინება, ქორწინების შეწყვეტა ან ბათილად ცნობა, ქორწინების ან მეუღლეთა თანაცხოვრების ფაქტის დადგენა.

სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, **საქმის მასალებით არ დგინდება საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრისათვის გათვალისწინებული რომელიმე ზემოხსენებული გარემოების არსებობა, ხოლო ის ფაქტი, რომ ქორწინება საქართველოშია რეგისტრირებული, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს შუამდგომლობის განსახილველად მიღებისათვის.**

ერთ საქმეში,<sup>79</sup> განმცხადებელს უარი ეთქვა საფრანგეთის ...სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე. საცნობი გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მეუღლეთა არასრულწლოვანი შვილის მიმართ მშობლის უფლებებს ექსკლუზიურად განახორციელებს დედა და ბავშვის მუდმივ საცხოვრებლად განისაზღვრა მისი საცხოვრებელი ადგილი.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა მას სურს იმ საფუძველით, რომ საელჩოში წარადგინოს არასრულწლოვნის საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ასევე, მოიპოვოს ბავშვის ქვეყნიდან გასვლის კანონიერი უფლება.

შუამდგომლობის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ შუამდგომლობაში არ არის მითითებული მონინააღმდეგე მხარის მისამართი და სხვა კანონით გათვალის-

<sup>79</sup> სუსგ №ა-250-შ-3-2018, 23 იანვარი, 2018.

წინებული საკონტაქტო მონაცემები, უფრო მეტიც, განმცხადებელმა წერილობით განმარტა, რომ მოწინააღმდეგე მხარის მისამართს მოგვიანებით აცნობებს სასამართლოს, თუმცა, ამგვარი განცხადებით მას საკასაციო პალატისათვის არ მიუშართავს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, უცხო ქვეყნის გადანყვეტილებაში აღნიშნულია მოპასუხის მისამართი, თუმცა, თავად გადანყვეტილებიდან ირკვევა, რომ მხარეს არ აქვს მოგვარებული საფრანგეთის ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საკითხი და ეს მისამართი არ არის მისი საცხოვრებელი ადგილის განმსაზღვრელი.

რუსეთის ფედერაციის ...სასამართლოს გადანყვეტილებით,<sup>80</sup> დედას ჩამოერთვა მშობლის უფლება და იგი გადაეცა მეურვეობის ორგანოს, ამავე გადანყვეტილებით დადგინდა ალიმენტის გადახდის ვალდებულება არასრულწლოვნის რჩენა აღზრდის მიზნით.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მამამ და მოითხოვა ხსენებული გადანყვეტილებისა და განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა მას სურს იმ საფუძვლით, რომ შვილის საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის მიზნით ესაჭიროება საქართველოს მოქალაქის პასპორტის მიღება, რაც ორივე მშობლის თანხმობას მოითხოვს.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობების ასლით, სასამართლოს ბეჭდით დამოწმებული უცხო ქვეყნის გადანყვეტილებით, განჩინებითა და მათი სანოტარო წესით დადასტურებული ქართულენოვანი თარგმანის შესწავლით ირკვევა, რომ: მხარეები დადგენილი წესით იყვნენ ინფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, გადანყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და შუამდგომლობის ავტორი, ასევე, არასრულწლოვანი შვილი საქართველოს მოქალაქეები არიან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობაში არ არის მითითებული მოწინააღმდეგე მხარის – არას-

<sup>80</sup> სუსგ №ა-505-შ-11-2018, 7 თებერვალი, 2018.

რულნლოვნის დედის მისამართი და სხვა კანონით გათვალისწინებული საკონტაქტო მონაცემები, უფრო მეტიც, უცხო ქვეყნის გადანყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მონინალმდეგე რეგისტრირებულ მისამართზე არ ცხოვრობს. ასევე, არ დადასტურდა მისი განმარტება, რომ ცხოვრობდა ნაქირავებ ოთახში.

შესაბამისად, შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვა გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე.

შუამდგომლობას უარი ეთქვა განსახილველად მიღებაზე<sup>81</sup> შემდეგი არგუმენტაციით:

შუამდგომლობას არ ერთვის უშუალოდ მოპასუხის ინფორმირების დამადასტურებელი დოკუმენტი (ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ დანიშნა ადვოკატი, ვერ იქნება მიჩნეული კონვენციით მოთხოვნილი წინაპირობების დაცვად) და არც შუამდგომლობა ამ მტკიცებულების საპატიო მიზეზით ნარუდგენლობის თაობაზე.

საკასაციო პალატამ შენიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის კომპეტენტური სასამართლოს მიერ გამოტანილი გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების მარეგულირებელ მატერიალური სამართლის ნორმებს განსაზღვრავს მინსკის კონვენციის ნორმები, რომლებიც სპეციალურ წინაპირობებს ადგენენ უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების იძულებით სისრულეში მოყვანისათვის. კონვენციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ გადანყვეტილების იძულებით აღსრულების შესახებ შუამდგომლობას მათ შორის, უნდა დაერთოს დოკუმენტი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილი იყო გადანყვეტილება და რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია პროცესში, სათანადო წესით და დროულად გამოძახებულ იქნა სასამართლოში. თავის მხრივ, კონვენციის მიზნებისათვის მისი მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ხელშემკვრელ მხარეთა ვალდებულებას, სხვა ქვეყნის მოქალაქეს შეტყობინება ჩააბარონ არა ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით, არამედ ამავე კონვენციით განსაზღვრუ-

<sup>81</sup> სუსგ №ა-1091-შ-23-2018, 12 მარტი, 2018.

ლი წესების შესაბამისად (მაგ: მე-6 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული დოკუმენტების გადაცემა სამოქალაქო საქმეებზე).

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხის ინფორმირების ფაქტის დადასტურებას, ამავე კონვენციის მიზნებისათვის არა ფორმალური, არამედ არსებითი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან მისი 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ეს გარემოება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს (52-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ცნობისა და მისი იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე არ მონაწილეობდა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის რწმუნებულს დროულად ან ჯეროვნად არ გადაეცა სასამართლოში გამოცხადება).

საკასაციო პალატამ საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნია, რომ მხარის შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, შესაბამისად, არ არსებობს მისი განსახილველად მიღების წინაპირობები<sup>82</sup> შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, რადგანაც იძებნება, როგორც უგზო-უკვლოდ დაკარგული. ამ ფაქტის დასადასტურებლად წარდგენილია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ მომსახურების სააგენტოს ცნობა და იგი ასახავს არა შუამდგომლობის წარდგენის დროისათვის – 2018 წლის, არამედ 2014 წლისათვის არსებულ მდგომარეობას. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების წესს ადგენს მოქმედი კანონმდებლობა (სკ-ის 21-ე მუხლი, ასევე, სსსკ-ის 317-ე-321<sup>1</sup> მუხლები) და იმ შემთხვევაში, თუ პირი დადგენილი წესით იქნება უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნეული, სასამართლოში საქმის განხილვა ხდება მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით (სსსკ-ის 101-ე (3) მუხლი). ამასთან, საკასაციო პალატამ გაითვალისწინა შუამდგომლობის ავტორის მიერ წარდგენილი ცნობის მონაცემები (პირი იძებნება 2013 წლიდან) და განვლილი დროის გათვალისწინე-

<sup>82</sup> სუსგ №ა-1657-შ-35-2018, 10 აპრილი, 2018. ასევე, №ა-3417-შ-86-2018, 19 ივლისი, 2018.

ბით, სავალდებულოდ მიიჩნია იმ საკითხის დაზუსტება, მოპასუხე გარდაცვლილად ხომ არ არის გამოცხადებული (სსკ-ის 22-ე მუხლი, რამდენადაც ამავე კოდექსის 1122<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, პირის გარდაცვლილად გამოცხადება ქორწინების შეწყვეტის დამოუკიდებელი კანონისმიერი საფუძველია და ასეთ შემთხვევაში აღარ იარსებებს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის იურიდიული ინტერესი).

ასევე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ წარდგენილ შუამდგომლობას არ ერთვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა შუამდგომლობის აღძვრის დროისათვის მოწინააღმდეგე მხარის ძეხვის მიმართ არის თუ არა მიღებული რაიმე გადაწყვეტილება. მხარე არც ამ მტკიცებულების საპატიო მიზეზით წარუდგენლობის თაობაზე აკეთებს განმარტებას, ხოლო 2014 წელს გაცემული ცნობა არ არის საკმარისი მოწინააღმდეგე მხარის სამართლებრივი მდგომარეობის განსასაზღვრად.

უარი ეთქვა შუამდგომლობის, რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსასრულებლად მიქცევის შესახებ, განსახილველად მიღებაზე.<sup>83</sup>

შუამდგომლობას არ ერთვის მასში მითითებული გარემოების – მოპასუხის ჯეროვანი წესით ინფორმირების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო წარდგენილი საფოსტო მასალებით ირკვევა, რომ მოპასუხე სანარმოს საქმის განხილვის თაობაზე გაგზავნილი კორესპონდენცია არ ჩაბარებია, გარდა ამისა, მხარეს არ დაუყენებია შუამდგომლობა ამ მტკიცებულების საპატიო მიზეზით წარუდგენლობის თაობაზე.

მინსკის კონვენცია სპეციალურ წინაპირობებს ადგენს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით სისრულეში მოყვანისათვის. კონვენციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების შესახებ შუამდგომლობას უნდა დაერთოს დოკუმენტი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მხარე, რომლის

<sup>83</sup> სუსგ №ა-3144-შ-83-2018, 6 ივლისი, 2018.

წინააღმდეგაც გამოტანილი იყო გადაწყვეტილება და რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია პროცესში, სათანადო წესით და დროულად გამოძახებულ იქნა სასამართლოში. თავის მხრივ, კონვენციის მიზნებისათვის მისი მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ხელშემკვრელ მხარეთა ვალდებულებას, სხვა ქვეყნის მოქალაქეს (იურიდიულ პირს) შეტყობინება ჩააბარონ არა ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით, არამედ ამავე კონვენციით განსაზღვრული წესების შესაბამისად (მაგ: მე-6 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული დოკუმენტების გადაცემა სამოქალაქო საქმეებზე).

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხის (რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება) ინფორმირების ფაქტის დადასტურებას, ამავე კონვენციის მიზნებისათვის არა ფორმალური, არამედ არსებითი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან მისი 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ეს გარემოება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს (52-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ცნობისა და მისი იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე არ მონაწილეობდა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის რწმუნებულს დროულად ან ჯეროვნად არ გადაეცა სასამართლოში გამოცხადება). ამ თვალსაზრისით პალატამ მიუთითა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაზე. ერთ ერთ საქმეზე, რომელიც სომხეთის რესპუბლიკის კომპეტენტური სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა აღსრულებას შეეხებოდა და მოპასუხეს არ ჰქონდა ჩაბარებული სასამართლოში გამოძახების შესახებ შეტყობინება, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ დასაბუთებით, რომ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირისათვის სასამართლოში მიწვევის შესახებ შეტყობინება უნდა გაგზავნილიყო არა საქმის განმხილველი სასამართლოს შიდა კანონმდებლობით დადგენილი წესით, არამედ ორმხრივი შეთანხმებით დადგენილი წესით (იხ.: ვებ-გვერდი [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge) სუსკ №ა 2257-შ-73-09, 2 მარტი, 2010)

სასამართლომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შუამდგომლობის გან-

სახილველად მიღებაზე უარის<sup>84</sup> საფუძვლად მიუთითა შუამდგომლობის სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან შეუსაბამობა. ამ მუხლის მიხედვით, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისათვის სავალდებულოა, დასტურდებოდეს ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოპასუხე კანონით დადგენილი წესით იყო ინფორმირებული უცხო ქვეყანაში მიმდინარე სამართალწარმოების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, არც შუამდგომლობაზე დართული მასალებით და არც თავად უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დგინდება საქმის განხილვის თაობაზე მოპასუხის ინფორმირების საკითხი.

უზენაესი სასამართლოს განჩინებით,<sup>85</sup> შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვა შვედეთის... სასამართლოს განაჩენის (გადაწყვეტილების) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე.

წარდგენილი მასალების შესწავლით ირკვევა, რომ მოპასუხე არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, თუმცა, საქმის მასალებით არ ირკვევა მისი საკონტაქტო რეკვიზიტები, გარდა ამისა, საქმის მასალებით არ დგინდება ის გარემოება, შესულია თუ არა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში, მაშინ, როდესაც სპეციალური კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისათვის სავალდებულოა, რომ იგი შესული იყოს კანონიერ ძალაში.

---

<sup>84</sup> სუსგ №ა-3879-შ-98-2018, 20 სექტემბერი, 2018.

<sup>85</sup> სუსგ №ა-5018-შ-124-2018, 6 ნოემბერი, 2018

## **4. შუამდგომლობა, უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, განუხილველად იქნა დატოვებული**

საქმის ფაბულის მიხედვით,<sup>86</sup> მხარემ შუამდგომლობით მოითხოვა ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს განჩინების ცნობა-აღსრულება. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა რა, საქმის მასალებში წარდგენილ განჩინების თარგმანზე აღნიშნა, რომ მასში არ არის მოცემული სარეზოლუციო ნაწილი, რომელშიც ასახული იქნება სასამართლოს დასკვნა სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ (დადგენილებითი ნაწილი), რაც შეიძლება გახდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მისი ცნობის და აღსრულების საფუძველი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ განჩინება, შუამდგომლობის ავტორის მიერ წარდგენილი ფორმით, მიიჩნევა ცნობასა და აღსრულებას დაქვემდებარებულ სასამართლოს აქტად, არ დასტურდება მისი კანონიერ ძალაში შესვლის ფაქტი. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ შუამდგომლობაზე თანდართული მემორანდუმი ვერ შეფასდება განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებად. კერძოდ, მემორანდუმი შედგენილია არა სასამართლოს, არამედ ადვოკატის მიერ. ასეთ მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა ვერც კომპანიის მმართველი პარტნიორის დასკვნა. ამდენად, წარდგენილი არ არის ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ-იორკის შტატის უზენაესი სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ და მისი სათანადო წესით დამონშებული ქართული თარგმანი. შუამდგომლობის განუხილველად დატოვებას საფუძველად დაედო „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>87</sup> შუამდგომლობის განუხილველად დატოვე-

<sup>86</sup> სუსგ №ა-420-შ-11-2020, 23 აპრილი, 2021.

<sup>87</sup> სუსგ №ა-2062-შ-45-2021, 6 ივლისი, 2021.



ბის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ შუამდგომლობის ავტორმა ხარვეზის გამოსწორების ვადის განმავლობაში მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ვერ ახერხებდა ხარვეზის შევსებას და მოითხოვა შუამდგომლობის განუხილველად დატოვება.

ერთ საქმეში,<sup>88</sup> მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლომ რამდენჯერმე გაუგრძელა შუამდგომლობის ავტორს ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა (შუამდგომლობის ავტორს დაევალა, საქართველოს უზენაეს სასამართლოში განჩინების ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში წარედგინა ესპანეთის, ქ. ბარსელონას ქალთა მიმართ ძალადობის სასამართლოს გადაწყვეტილების დედანი, ან ამავე სასამართლოს მიერ სათანადოდ დამონმებული ასლი და ცნობა, რომ დასახელებული გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა). მას ხარვეზი არ შეუვსია, რის გამოც სასამართლომ შუამდგომლობა განუხილველი დატოვა.

სხვა საქმეში,<sup>89</sup> შუამდგომლობის ავტორს სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაევალა ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების ჩაბარებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარედგინა: ა) სათანადო წესით დამონმებული, ისრაელის სახელმწიფოს ...ოჯახური საქმეების სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ და მისი სათანადო წესით დამონმებული ქართული თარგმანი; ბ) შუამდგომლობის ავტორის საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; გ) ისრაელის სახელმწიფოს ...ოჯახური საქმეების სასამართლოს გადაწყვეტილების სათანადო წესით დამონმებული ასლი. ხარვეზის განჩინებით განსაზღვრულ ვადაში შეუვსებლობის გამო, საკასაციო სასამართლომ შუამდგომლობა განუხილველად დატოვა.

<sup>88</sup> სუსგ №ა-886-შ-20-2020, 29 იანვარი, 2021. ანალოგიურ საკითხზე ასევე, იხ. სუსგ №ა-1675-შ-37-2021, 2 ივნისი, 2021. სუსგ №ა-2368-შ-56-2021, 26 ივლისი, 2021. სუსგ №ა-842-შ-29-2019, 28 მარტი, 2019.

<sup>89</sup> სუსგ №ა-3198-შ-89-2019, 9 სექტემბერი, 2019.

სხვა საქმეში,<sup>90</sup> საკასაციო სასამართლომ შუამდგომლობა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ, განუხილველად დატოვა. განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა ხარვეზის შეუესებლობა. შუამდგომლობის ავტორს (მოსარჩელეს) დაევალა ხარვეზის დადგენის თაობაზე განჩინების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში მოპასუხის საქართველოსთან შემხებლობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტის, რომლის საფუძველზეც დადგინდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია განსახილველ საქმეზე, წარდგენა და მოპასუხის საცხოვრებელი მისამართის დაზუსტება. მოსარჩელის წარმომადგენელმა მოითხოვა ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადის 2 თვით გაგრძელება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობის ავტორს გონივრული ვადა ჰქონდა მიცემული ხარვეზის გამოსასწორებლად, შესაბამისად, ვადის გაგრძელების შუამდგომლობა უარყო.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>91</sup> საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების შესახებ განუხილველად დატოვა, იმ საფუძველით, რომ საქმის მასალებში მითითებული მისამართი არასწორია. სასამართლომ გადაწყვეტილების საფუძველად მიუთითა სპეციალური კანონის 68.5-ე, 63-ე მუხლებზე, ასევე, სსსკ-ის 399-ე, 372-ე, 187.2.-ე, 275.2.-ე მუხლებზე.

სხვა საქმეზე,<sup>92</sup> საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე შეწყვიტა საქმის წარმოება ბელარუსის სატრანსპორტო დაზღვევის ბიუროს შუამდგომლობაზე, მინსკის მოსკოვის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის განჩინებით (საქმე №ა-4937-შ-119-2020) ირკვევა, რომ საკასაციო სასამართლომ განიხილა და და-

<sup>90</sup> სუსგ №ა-2753-შ-56-2020, 5 თებერვალი, 2021.

<sup>91</sup> სუსგ №ა-3209-შ-72-2020, 10 თებერვალი, 2021, ასევე, სუსგ №ა-3218-შ-74-2020, 28 იანვარი, 2020.

<sup>92</sup> სუსგ №ა-4825-შ-116-2020, 15 აპრილი, 2021, იხ. ასევე №ა-5466-შ-162-2019, 18 მაისი, 2020.

აკმაყოფილა ბელარუსის სატრანსპორტო დაზღვევის ბიუროს შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის ქალაქ მინსკის მოსკოვის რაიონული სასამართლოს ზემოთ მითითებული საცნობი გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე. შესაბამისად, სსსკ-ის 266-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ შუამდგომლობის ავტორს არ შეუძლია ხელახლა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ბელარუსის რესპუბლიკის ქალაქ მინსკის მოსკოვის რაიონული სასამართლოს გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>93</sup> უზენაესმა სასამართლომ განუხილველად დატოვა შუამდგომლობა შუამდგომლობის ავტორის თხოვნით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის განმცხადებლის თხოვნით განუხილველად დატოვების შესაძლებლობას, საკასაციო პალატამ უნდა იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმებით, რომლებიც არეგულირებენ სარჩელის გამოხმობის სამართლებრივ შედეგებს. ამასთან, სასამართლომ გამოიყენა სსსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილი (თუ არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, რომელიც არეგულირებს სასამართლო წარმოების დროს წარმოშობილ ურთიერთობას, სასამართლო იყენებს საპროცესო სამართლის იმ ნორმას, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი ნორმაც არ არსებობს, სასამართლო ემყარება სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია)).

კონკრეტულ საქმეში,<sup>94</sup> საკასაციო სასამართლომ შუამდგომლობის ავტორს, რომელიც ითხოვდა შვილად აყვანის თაობაზე, აშშ-ის ნიუ ჯერსის უმაღლესი სასამართლოს გადანყვეტილების ცნობას საქართველოს ტერიტორიაზე, დაუდგინა ხარვეზი სსსკ-ის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. კერძოდ, დაევალა ხარ-

<sup>93</sup> სუსგ №ა-1187-შ-23-2021, 16 აპრილი, 2021, ასევე, სუსგ-ები: №ა-1255-შ-27-2021, 23 აპრილი, 2021, №ა-3577-შ-82-2020, 13 ნოემბერი, 2020.

<sup>94</sup> სუსგ №ა-4304-შ-129-2019, 13 იანვარი, 2020.

ვეზის დადგენის შესახებ განჩინების ჩაბარებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარედგინა: 1. ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ ჯერსის უმაღლესი სასამართლოს, კანცელარიის განყოფილების მიერ საცნობი გადანყვეტილების სათანადო წესით დამონმებული ასლი; 2. იმის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ ჯერსის უმაღლესი სასამართლოს, კანცელარიის განყოფილების, მორისის გადანყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული და აღნიშნული დოკუმენტის სათანადო წესით დამონმებული ქართული თარგმანი; 3. იმ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ნიუ ჯერსის უმაღლესი სასამართლოს გადანყვეტილებაში მითითებული მშვილბედი წარმოადგენს შუამდგომლობის ავტორს; 4. ბავშვის ბიოლოგიური მშობლების მისამართები (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი). ხარვეზის ვადის ერთი თვით გაგრძელების მიუხედავად, შუამდგომლობის ავტორს ხარვეზი არ შეუვსია, რაც შუამდგომლობის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა.

კონკრეტულ საქმეში,<sup>95</sup> შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის ...საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩა განუხილველად.

განჩინებაში აღნიშნულია, რომ შუამდგომლობა, მასზე თანდართული მასალებისა და საკასაციო სასამართლოს განჩინების ასლები მონინაალმდეგე მხარეს ორჯერ გაეგზავნა შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებულ მისამართზე, რაც ვერ ჩაბარდა [ფოსტიდან დაბრუნებული შეტყობინებიდან ირკვევა, რომ მითითებულ მისამართზე არავინ იყო/ასევე არასრული მისამართის გამო ადრესატის მოძიება ვერ მოხერხდა]. მონინაალმდეგის მოძიება და მისთვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება ასევე, შეუძლებელი აღმოჩნდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის მეშვეობითაც, რადგან პოლიციის მიერ ბინაზე შემონმების ოქმიდან ირკვევა, რომ მოპასუხე მითითებულ მისამართზე აღარ ცხოვრობს.

<sup>95</sup> სუსგ №ა-429-შ-13-2020, 15 ივლისი, 2020.

სსსკ-ის 71-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული თავისი ან მოპასუხის მისამართი არასწორი აღმოჩნდა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. ანალოგიურ დანაწესს შეიცავს ამავე კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილი. რადგან განსახილველ შემთხვევაში, შეუძლებელი აღმოჩნდა მოპასუხის შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებულ მისამართზე მოძიება, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოცემული დროისათვის მითითებული მისამართი არასწორია.

კონკრეტულ საქმეში,<sup>96</sup> საკასაციო სასამართლომ შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ. მოსკოვის ...სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის და აღსრულების შესახებ განუხილველად დატოვა.

გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის საკასაციო სასამართლოში განსახილველად მიღების შემდეგ, უზენაეს სასამართლოში წარდგენილი იქნა გარდაცვალების მოწმობა, რომლითაც დგინდება, რომ მოწინააღმდეგე მხარე გარდაიცვალა. იგი გარდაცვლილი იყო შუამდგომლობის წარდგენის მომენტში.

იმის გამო, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას საკასაციო პალატა ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი წესრიგის გადასინჯვას ვერ განახორციელებს, პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს სასამართლოს მიერ უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მხარის უფლებამონაცვლეობის საფუძვლების არსებობა-არარსებობის დადგენა, ისევე როგორც მაგალითად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება და დამატებითი გადაწყვეტილების მიღება, **წინააღმდეგობაში მოდის revision au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპთან, რომელიც კრძალავს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას.**

**საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ უფლებამონაცვლეობის საფუძვლების არსებობა-არარსებობის საკითხის კვლე-**

<sup>96</sup> სუსგ №ა-5936-შ-181-2019, 21 თებერვალი, 2020.

ვა იმავე ქვეყნის სასამართლოს განხილვის საგანია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას და აღსრულებასაც ითხოვს შუამდგომლობის ავტორი. უფლებამონაცვლეობის დადგენა, ასეთი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, უკავშირდება მემკვიდრეობის მიღების საკითხებს, რა დროსაც შესაძლოა წარმოიშვას ისეთი პრობლემები, როგორცაა ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობის მნიშვნელოვანი განსხვავება მემკვიდრეობის სამართლის სფეროში.

სასამართლომ მიუთითა, რომ თუ მოსარჩელეს მიაჩნია, რომ უფლებამონაცვლეობის საფუძველი არსებობს, მან უფლებამონაცვლის დადგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. ხოლო თუ უშუალოდ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო დაადგენს უფლებამონაცვლეობას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, შუამდგომლობის ავტორს შეეძლება მოითხოვოს უფლებამონაცვლის მიმართ გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებს არც შუამდგომლობით მომართვის საფუძველი.

სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). ამავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარჩელში უნდა აღინიშნოს მოპასუხის სახელი, გვარი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული მონინააღმდეგე მხარე გარდაცვლილია და გადაწყვეტილების გამომტან უცხო ქვეყნის სასამართლოს არა აქვს დადგენილი უფლებამონაცვლეობა (ასეთი დოკუმენტი წარდგენილი არ არის), შუამდგომლობა სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დატოვებულ უნდა იქნას განუხილველად.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>97</sup> შუამდგომლობა განქორწინების, მშობლის უფლებების ჩამორთმევისა და ალიმენტის დაკისრების შესახებ, რუსეთის ფედერაციის ...სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დარჩა განუხილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, შუამდგომლობის ავტორს ხარვეზი დაუდგინდა შუამდგომლობაზე და დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში დაეზუსტებინა მოპასუხის საცხოვრებელი მისამართი.

ხარვეზის შეუვსებლობის გამო, სპეციალური კანონის 68-ე მუხლისა და სსსკ-ის 63 ე მუხლის თანახმად, შუამდგომლობა განუხილველად იქნა დატოვებული.

ერთ-ერთ საქმეში,<sup>98</sup> შპს-ის შუამდგომლობა უკრაინის, ქ. კიევის სამეურნეო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, დარჩა განუხილველად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით სპეციალური კანონის 71 ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შუამდგომლობის ავტორს შუამდგომლობაზე ხარვეზი დაუდგინდა და დაევალა, ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოედგინა ცნობა იმის თაობაზე, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა. ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში შუამდგომლობის ავტორს ხარვეზი არ შეუვსია და საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს. აღნიშნული კი, სსსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, შუამდგომლობის განუხილველად დატოვებას დაედო საფუძვლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინებით, შუამდგომლობა ბელარუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის პირველი მაისის რაიონის სასამართლოს დაუსრულებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩა განუხილ-

<sup>97</sup> სუსგ №ა-1061-შ-26-2020, 11 მაისი, 2020.

<sup>98</sup> სუსგ №ა-5663-შ-169-2019, 10 თებერვალი, 2020.

ველად.<sup>99</sup>

განსახილველ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად და აღნიშნული განჩინება მის ნოტარიულად დამონმებულ თარგმანთან, შუამდგომლობასა და მასზე თანდართულ მასალებთან ერთად მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნა, მაგრამ ვერ ჩაბარდა. ინფორმაცია დადასტურებულია პოლიციის უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი აქტებით.

სსსკ-ის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს, თუ მოსარჩელემ სარჩელში არასწორად მიუთითა თავისი ან მოპასუხის მისამართი.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, მოწინააღმდეგე მხარის ინფორმირებულობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სუბიექტის დავაში ჩაბმის, არამედ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებადობის თვალსაზრისითაც, რამდენადაც მოწინააღმდეგე მხარის საქმის განხილვაში რეალურად ჩაბმა უკავშირდება მის წინააღმდეგ სააღსრულებო პროცესის დაწყების შესაძლებლობასაც, მეტიც, სსსკ-ის 404-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს გააჩნია კონკრეტულ დავაზე საერთაშორისო კომპეტენციის არსებობის შემომხმების ვალდებულება, რომელიც მშობლებისა და შვილების ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეზე სპეციალური კანონის მე-13 მუხლის თანახმად, უკავშირდება პროცესის ერთ-ერთი მხარის საქართველოს მოქალაქეობას ან მის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელს საქართველოში.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლომ სრულად განკარგა სსსკ-ის 70-78 ე მუხლებით გათვალისწინებული რესურსი, თუმცა მოწინააღმდეგე მხარის მოძიება ვერ მოხერხდა, ამასთან, ამ განჩინების სამოტივაციო ნაწილში აღწერილი სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ არა მხო-

<sup>99</sup> სუსგ №ა-4275-შ-109-2018, 27 მაისი, 2019.



ლოდ ფორმალური თვალსაზრისით იხელმძღვანელა სსსკ-ის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილით, არამედ ამ გზით დაიცვა მოდავე მხარეების ინტერესთა ბალანსი, რადგანაც ამავე კოდექსის 278-ე მუხლის თანახმად, იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით.

კონკრეტულ საქმეში,<sup>100</sup> საკასაციო სასამართლომ განუხილველად დატოვა შუამდგომლობა შემდეგი მოტივაციით:

სასამართლომ მიუთითა, რომ ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს ცნობს როგორც სავალდებულოს და აღასრულებს მათ იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმებით, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოთ ჩამოთვლილ მუხლებში ჩამოყალიბებული პირობებით.

დასახელებული ნორმით გათვალისწინებულია კონვენციაზე ხელმომწერი სახელმწიფოს ვალდებულება, საქმის განხილვისას იხელმძღვანელოს კონვენციით დადგენილი ნორმების შესაბამისად, თუმცა, ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელებისას გამოიყენება საქმის განმხილველი სასამართლოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო ნორმები.

სსსკ-ის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო საჩივრის ავტორს განუსაზღვრავს ვადას და დაუდგენს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომლებიც აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებისთვის

<sup>100</sup> სუსგ №ა-3421-შ-93-2019, 12 ნოემბერი, 2019.

უნდა შესრულდეს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ შუამდგომლობის ავტორს ხარვეზის დადგენის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით დაევალა წარედგინა საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი და ქართულ ენაზე ამ საბუთის სათანადოდ დამოწმებული თარგმანი. დირექტორის განმარტება და მითითება უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, არასაკმარისია.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შუამდგომლობის ავტორმა უნდა წარადგინოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლი. იმავე შინაარსის ნორმას შეიცავს ნიუ-იორკის კონვენციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ პუნქტი. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ საარბიტრაჟო შეთანხმების დედნისა ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლის წარდგენა არის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების განხილვის ფორმალური წინაპირობა, რომელიც მიუხედავად სამოქალაქო საქმეთა პალატის არაერთგზის მითითებისა, შუამდგომლობის ავტორმა არ დააკმაყოფილა.

სხვა საქმეში,<sup>101</sup> სასამართლომ შუამდგომლობის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით შუამდგომლობის ავტორს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარედგინა განქორწინების თაობაზე, თურქეთის რესპუბლიკის ...სასამართლოს გადაწყვეტილების სათანადო წესით დამოწმებული ასლი, რაც მან არ განახორციელა.

ერთ საქმეში,<sup>102</sup> საკასაციო სასამართლომ დედის შუამდგომლო-

<sup>101</sup> სუსგ №ა-3692-შ-97-2019, 17 სექტემბერი, 2019.

<sup>102</sup> სუსგ №ა-3968-შ-107-2019, 9 სექტემბერი, 2019.

ბა მამისათვის არასრულწლოვანი შვილის საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის აკრძალვის შესახებ განუხილველად დატოვა, ხოლო დროებითი განკარგულების მიღების თაობაზე მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

უკრაინის ...სასამართლოს გადანყვეტილებით, დედის საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრა არასრულწლოვანი შვილების საცხოვრებელ ადგილად, ხოლო მამას განესაზღვრა ბავშვებთან ურთიერთობის დრო.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ევროკონვენციის მე-8 მუხლის, სსკ-ის 1197-ე, 1198-ე მუხლების ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნაა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადანყვეტილებისას, უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმისი უაღტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადანყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის განვითარებაში.

სასამართლომ ასევე მიუთითა, სსკ-ის 355-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს დროებითი განკარგულება, რათა მოანესრიგოს ბავშვის აღსაზრდელად გადაცემა ერთ-ერთი მშობლისათვის. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, აღნიშნულ საკითხებზე სასამართლოს განჩინება შეიძლება გამოტანილ იქნას საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. კანონის მითითებული დანაწესი ითვალისწინებს სასამართლოს საგამონაკლისო უფლებამოსილებას, ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, არ დაელოდოს ბავშვის ამა თუ იმ მშობლისათვის მიკუთვნების შესახებ გადანყვეტილების მიღებას და დროებითი ღონისძიების სახით გადასცეს არასრულწლოვანი კონკრეტულ მშობელს აღსაზრდელად. აღნიშნულის საჭიროება შეიძლება არსებობდეს ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა ბავშვის მცირე ასაკი, განსაკუთრებული მიჯაჭვულობა მშობლის მიმართ და სხვა ობიექტური ფაქტორები, რომლებიც ყოველ კონკრეტულ

შემთხვევაში სასამართლოს მიერ შეფასდება.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი შუამდგომლობის ავტორმა საკმარისად ვერ დაასაბუთა ზემოაღნიშნული ნორმის გამოყენების წინაპირობა, კერძოდ, წარმოადგენს თუ არა ბავშვის უპირატეს ინტერესს მისი აღსაზრდელად დედისათვის – შუამდგომლობის ავტორისათვის მყისიერად გადაცემა მაშინ, როდესაც წლების განმავლობაში დედა-შვილს მჭიდრო ურთიერთობა არ გააჩნდა და არასრულწლოვანი ბავშვი მამასთან იზრდებოდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამდგომლობის ავტორმა ასევე, ვერ დაასაბუთა, მამისათვის შვილის საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის აკრძალვის, ალტერნატიული მოთხოვნის იურიდიული ინტერესი. ამ უკანასკნელმა შუამდგომლობაში აღნიშნა, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მიერ მიღებული ღონისძიებების შედეგად, მამა ბავშვთან ერთად საქართველოს ტერიტორიას ვერ დატოვებს.

ამდენად, მიღწეულია შუამდგომლობის ავტორის მიზანი, რომ მისმა არასრულწლოვანმა შვილმა, დედის ნებართვის გარეშე, არ დატოვოს საქართველოს ტერიტორია, შესაბამისად, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით მოთხოვნილი აკრძალვის დაწესების შუამდგომლობის ავტორს იურიდიული ინტერესი არ გააჩნია.

შუამდგომლობა<sup>103</sup> აღიშენების ოდენობის გაზრდის შესახებ, აზერბაიჯანის რესპუბლიკის რაიონული სასამართლოს დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დარჩა განუხილველად.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა აღსრულების საკითხის განხილვისას, სასამართლო შემოიფარგლება სახელმწიფოთა შორის ორმხრივი და/ან მრავალმხრივი ხელშეკრულებით მომწესრიგებელი ნორმების დაცვის ფორმალური თვალსაზრისით შემონეშებით (*მინსკის კონვენციის 53-ე-55-ე მუხლები*). ამ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ მოწინააღმდეგე მხარე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებაზე

<sup>103</sup> სუსგ №ა-4222-შ-118-2016, 9 ივლისი, 2018.

აცხადებდა პრეტენზიას, რაც მისთვის ამ ვალდებულების განმეორებით იძულებით დაკისრების შესაძლებლობას გამორიცხავს, ის სადავოდ ხდიდა ასევე, კონვენციის 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევას, რაც შუამდგომლობის დაკმაყოფილებას გამორიცხავს), თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის მომწესრიგებელი მატერიალური სამართლის დანაწესის მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო პროცესუალური მოქმედებების განხორციელების თვალსაზრისით, ხელმძღვანელობს ამავე კოდექსით, რომლის მე-4 მუხლი ადგენს მხარეთა შეჯიბრებითობის წარმართვის ვალდებულებას, ხოლო მე-5 მუხლი – საქმის **თანასწორობის საწყისზე განხილვის აუცილებლობას**.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სწორედ იმ საფუძვლით, რომ მინსკის კონვენციის 53 ე 55-ე მუხლების წინაპირობები ხსენებული პრინციპების დაცვით შემონმებულიყო, ამასთან, სასამართლოს დაეცვა, როგორც მხარეთა, ისე – არასრულწლოვნის ინტერესებს შორის გონივრული ბალანსი, სავალდებულოდ იქნა მიჩნეული მონინაალმდევე მხარის მხრიდან წამოჭრილი საკითხების თაობაზე შუამდგომლობის ავტორის ინფორმირება და მისი პოზიციის მიღება. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლომ ვერ ჩააბარა შუამდგომლობის ავტორს მონინაალმდევე მხარის შეპასუხება ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვინაიდან მის მიერ მითითებული მისამართი არასწორია. რაც შეეხება კონვენციით განსაზღვრულ ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები მხარის მისამართის მოძიება-დადგენასა და მისთვის დოკუმენტების ჩაბარებას, საკასაციო სასამართლომ ყველა ღონე იხმარა, თუმცა, თითქმის ორწლიანი მცდელობის მიუხედავად, გაურკვეველი მიზეზით არ იქნა დახმარება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის მხრიდან აღმოჩენილი.

ასეთ ვითარებაში კი, ვინაიდან შეუძლებელია საქმის მხარეთა თანასწორობის საწყისზე გადაწყვეტა, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად (სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად, უბრუნდება მის მიერ შეტანილი დოკუმენტები. თუ სარჩელის მი-

ლებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმისწარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები)), სასამართლო უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს ამავე კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილით (სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი განუხილველად დატოვოს, თუ მოსარჩელემ სარჩელში არასწორად მიუთითა თავისი ან მოპასუხის მისამართი) და ვინაიდან შუამდგომლობის ავტორმა საკასაციო სასამართლოს მიუთითა არასწორი მისამართი, ზემოხსენებული რეგულაციიდან გამომდინარე, განუხილველად დატოვოს წარდგენილი შუამდგომლობა.

შუამდგომლობა განქორწინების თაობაზე, ისრაელის სახელმწიფოს ...საოჯახო საქმეთა სასამართლოს გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დარჩა განუხილველად.<sup>104</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მეხუთე ნაწილისა და სსსკ-ის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, შუამდგომლობის ავტორს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში საცნობი გადანყვეტილების კანონიერებაში შესვლის თაობაზე ცნობისა და მონინაალმდგეგის მისამართის წარდგენა. შუამდგომლობის ავტორის მიერ ხარვეზის შეუვსებლობა გახდა შუამდგომლობის განუხილველად დატოვების საფუძველი.

სხვა საქმეში,<sup>105</sup> თანხის დაკისრების შესახებ უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობა განუხილველად იქნა დატოვებული, იმ საფუძველით, რომ მოპასუხეს არ გააჩნია ქონება საქართველოში.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განცხადების დასაშვებობისათვის აუცილებელია გადანყვეტილება ექვემდებარებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას. საკასაციო სა-

<sup>104</sup> სუსგ №ა-749-შ-17-2018, 10 აპრილი, 2018.

<sup>105</sup> სუსგ №ა-1377-შ-28-2018, 26 მარტი, 2018.

სამართლომ მიუთითა, რომ სპეციალური კანონის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. ამ კანონის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ობიექტად მოიაზრება არა კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება, არამედ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ შუამდგომლობაზე დართული მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ განცხადების შემოტანის მომენტისათვის მოპასუხეს საქართველოში გააჩნია რაიმე ქონება, რაც მითითებული გადაწყვეტილების ცნობის შემთხვევაში გამორიცხავს საქართველოს ტერიტორიაზე მისი აღსრულების შესაძლებლობას.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შუამდგომლობა თანხის დაკისრების შესახებ, გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე უკრაინის პოლტავის ოლქის სააპელაციო სასამართლოს საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე, განუხილველად დატოვა.<sup>106</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, შუამდგომლობის ავტორს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში წარედგინა: ა) გადაწყვეტილების დედანი ან მისი სათანადო წესით დამონმებული ასლი; ბ) გადაწყვეტილების სათანადო წესით დამონმებული თარგმანი; გ) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი; დ) წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი დედნის ან სათანადოდ დამონმებული ასლის სახით; ე) ინფორმაცია მოწინააღმდეგე მხარის ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის) თაობაზე.

შუამდგომლობის ავტორის წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, შუამდგომლობის ავტორს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადა 20 დღით.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამ-

<sup>106</sup> სუსგ №ა-1218-შ-26-2018, 23 მაისი, 2018.

დგომლობის ავტორს მიეცა გონივრული ვადა ხარვეზის შესავსებად, რაც მან მიუხედავად საპროცესო ვადის გაგრძელებისა, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ განახორციელა, ხოლო მის მიერ წარდგენილი განცხადება საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე არ არის სათანადოდ არგუმენტირებული. შესაბამისად, აღარ არსებობს საპროცესო ვადის კიდევ გაგრძელების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების წინაპირობები.

შუამდგომლობის ავტორს განემარტა, რომ თუ ხარვეზი დადგენილ ვადაში არ გამოსწორდებოდა, შუამდგომლობა განუხილველად დარჩებოდა. შესაბამისად, ვინაიდან შუამდგომლობის ავტორმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დაკისრებული საპროცესო მოქმედება არ განახორციელა, შუამდგომლობა განუხილველად დარჩა.

ერთ საქმეში,<sup>107</sup> უზენაესი სასამართლოს განჩინებით შუამდგომლობის ავტორს დაევალა უზენაეს სასამართლოში წარედგინა საბერძნეთის რესპუბლიკის სასამართლოს ...გადანწყვეტილების დამონმებული ქართული თარგმანი, რომლითაც დადასტურდებოდა მხარეთა შორის საქართველოში, ქალაქ რუსთავში რეგისტრირებული ქორწინების შეწყვეტის ფაქტი. შუამდგომლობის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ შუამდგომლობის ავტორმა განჩინებით განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეავსო.

კონკრეტულ საქმეში,<sup>108</sup> უზენაესმა სასამართლომ განჩინებით ხარვეზი დაუდგინა შუამდგომლობის ავტორს წარდგენილი დოკუმენტების სპეციალური კანონის 71-ე მუხლის პირველ პუნქტთან შეუსაბამობის გამო. აღნიშნული ნორმის თანახმად, შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლი და დამონმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, თუ ეს შუამდგომლობის ტექსტიდან არ გამომდინარეობს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით კონ-

<sup>107</sup> სუსგ №ა-4600-შ-120-2018, 19 ნოემბერი, 2018.

<sup>108</sup> სუსგ №ა-713-შ-14-2018, 7 მაისი, 2018.



კრეტულ შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და სპეციალური კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაევალა წარედგინა ცნობა როსტოვის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თაობაზე აგრეთვე, ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი გადაწყვეტილება არის აღუსრულებელი. ხარვეზის გამოსწორებისათვის დადგენილ ვადაში შუამდგომლობის ავტორს ხარვეზი არ შეუვსია და საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შუამდგომლობის ავტორს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დაკისრებული საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია, საკასაციო პალატამ შპს-ის შუამდგომლობა როსტოვის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ განუხილველად დატოვა.

სხვა საქმეში,<sup>109</sup> იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებული მისამართი, საფოსტო შეტყობინების თანახმად არასრულია, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ შუამდგომლობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ...საქალაქო სასამართლოს საოჯახო დავების პალატის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დარჩეს განუხილველად, სპეციალური კანონის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

---

<sup>109</sup> სუსგ №ა-3453-შ-88-2017, 20 აპრილი, 2018

## 5. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის უზრუნველყოფა

ერთ-ერთ საქმეში,<sup>110</sup> საკასაციო სასამართლომ თანხის დაკისრების შესახებ შპს-ს შუამდგომლობა უკრაინის სამრეწველო-სავაჭრო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სამართლოს გადაწყვეტილების უზრუნველყოფის თაობაზე, ნაწილობრივ დააკმაყოფილა. კერძოდ, ყადაღა დაადო მოპასუხე შპს-ს საბანკო საკორესპონდენციო ანგარიშს – **დავის საგნის ღირებულების ფარგლებში.**

სასამართლომ მიუთითა, რომ ნიუ იორკის 1958 წლის კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კონვენცია გამოიყენება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებიც მიღებულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, და არა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მოითხოვება ასეთ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, და გამოტანილია ისეთ დავათა გამო, რომელთა მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. იგი გამოიყენება აგრეთვე, იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა მიმართ, რომლებიც არ ითვლება იმ სახელმწიფოს ადგილობრივ გადაწყვეტილებებად, სადაც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება. კონვენციის მესამე მუხლის თანახმად, ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია ცნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონედ და აღასრულოს ისინი იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოთ მოცემულ მუხლებში დადგენილი პირობების გათვალისწინებით. დაუშვებელია იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისათვის, რომელთა მიმართაც გამოიყენება ეს კონვენცია, დაწესებულ იქნას არსებითად უფრო რთული პირობები ან უფრო მაღალი გადასახადი ან სახელმწიფო ბაჟი, ვიდრე დაწესებულია ადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობი-

<sup>110</sup> სუსგ №ა-1133-შ-29-2020, 6 ივლისი, 2020.

სა და აღსრულებისათვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობას საქართველოს უზენაესი სასამართლო ეროვნული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით განიხილავს.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული. ამავე კანონის 23-ე მუხლის თანახმად, მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, **მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა**, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სსსკ-ის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი პროცესუალური შედეგის საქართველოს სახელმწიფოს მიერ მარტოოდენ ცნობამ შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში აზრი დაკარგოს, თუკი მხარე, რომლის სასარგებლოდაც ეს გადაწყვეტილება გამოვიდა, საპროცესო უზრუნველყოფის ბერკეტის გარეშე აღმოჩნდება. შედეგად, ასეთი მხარის კანონიერი უფლებები და ინტერესები მნიშვნელოვნად დაზიანდება, რაც კანონმდებლის ინტერესს ეწინააღმდეგება.

სასამართლომ მიუთითა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის მიხედვით, სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფა წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების მნიშვნელოვან ინსტიტუტს და ემსახურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას. იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად, სამოქალაქო პროცესი საკმა-

ოდ ხანგრძლივ პროცედურებთან არის დაკავშირებული, არსებობს რისკი, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დავის საგანი განადგურდეს, გასხვისდეს, უფლებრივად დაიტვირთოს ან სხვაგვარად შეეშალოს ხელი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სწორედ ამ საფრთხეების პრევენციას ემსახურება. სამოქალაქო საქმეზე მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელება მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს წარმოადგენს, ამავე დროს, მართლმსაჯულების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე, შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული მექანიზმები, რომლებიც ემსახურება სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფას, ემსახურება უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ მიზანს – მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების უზრუნველყოფას.<sup>111</sup>

შუამდგომლობის ავტორების წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფის მის მიერ მოთხოვნილი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა გამონვეულია მოწინააღმდეგე მხარის მიერ ამ ქონების გასხვისების საშიშროებით, რაც ხელს შეუშლის აღნიშნული გადაწყვეტილებების აღსრულებას. ამდენად, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილებების აღსრულებას (*შდრ. სუსგ ა-3226-შ-82-2017, 14.11.17 წ.*).

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, კანონიერ ძალაში

<sup>111</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუნცებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-52.

შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითად დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.<sup>112</sup> სხვა საქმეში ევროსასამართლომ ასევე განმარტა, რომ სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ – ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება.<sup>113</sup>

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, სარჩელის დავის საგანია თანხის დაკისრება. ასეთი სარჩელი კი არის მიკუთვნებითი ანუ აღსრულებითი სარჩელი. ეს ნიშნავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლაზე, არამედ ასევე, მოპასუხის ნებაზე – განახორციელოს გარკვეული მოქმედება, გადაიხადოს დაკისრებული თანხა. თანხის გადახდის თაობაზე ნების არარსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებული ხდება ისეთ საშუალებაზე, როგორიცაა იძულებითი აღსრულება.

სასამართლოს მითითებით, თუკი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის არ იარსებებს ქონება, რომელზედაც შესაძლოა მიქცეული იყოს იძულებითი აღსრულება, გადაწყვეტილება იქცევა აღუსრულებელ გადაწყვეტილებად, ხოლო სარჩელის მიზანი მიღწეული ვერ იქნება. შესაბამისად, განცხადება შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის თაობაზე.

სსსკ-ის 198.1-ე მუხლის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხს სასამართლო წყვეტს იმის მიხედვით, თუ როგორია სასარჩელო მოთხოვნის ხასიათი და შინაარსი. საქმის გარემოებების და სასარჩელო მოთხოვნის გათვალისწინებით, სასამართლომ მართებულად მი-

<sup>112</sup> შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ“.

<sup>113</sup> Hornsby, cited above, §§ 40 and seq.

იჩნია საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ მოთხოვილი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რამდენადაც ამგვარი შეზღუდვით უზრუნველყოფილი იქნება საარბიტრაჟო მოსარჩელისათვის სავარაუდო გადაწყვეტილების აღსრულება.

სხვა საქმეში,<sup>114</sup> მოსარჩელე საწარმომ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ყაზახეთის რესპუბლიკის...სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების მოთხოვნით. ამავე საწარმომ მოგვიანებით განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მოითხოვა მითითებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებში მოპასუხის სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებზე ყადაღის დადება, გარკვეული თანხის ფარგლებში.

საკასაციო სასამართლომ კანონიერ ძალაში შესული უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა განახორციელა, კერძოდ, ყადაღა დაადო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებში მოპასუხის სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს შუამდგომლობაში მითითებული თანხის ფარგლებში.

სასამართლომ განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა მინსკის კონვენციის 53-ე, 63-ე, სსსკ-ის 399-ე, 372-ე, 271-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

ამდენად, საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობ-

<sup>114</sup> სუსგ №ა-2968-შ-77-2021, 24 ივნისი, 2021.

დეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა ინვევედეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური წინაპირობაა. მართლმსაჯულების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალწარმოებაში პოვებს გამოხატულებას.<sup>115</sup> როგორი სწრაფიც არ უნდა იყოს მართლმსაჯულება, როგორი სამართლიანი და კანონიერიც არ უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილება, მართლმსაჯულების მიზნები და ამოცანები განუხორციელებელი რჩება, თუ არ მოხდება გადაწყვეტილების აღსრულება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და განმარტავს, რომ „სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე, შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება.“<sup>116</sup>

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი რეგულაციის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიან აღსრულებას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება... უნდა იყოს არა ილუზორული, არამედ ქმნიდეს პირის უფლებებში ჯეროვნად აღდგენის რეალურ შე-

<sup>115</sup> შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013, 3.

<sup>116</sup> იხ.: „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“, განაცხადი №40765/02; Burdov v. Russia, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; Hornsby v. Greece, judgment of 19 March 1997, Reports of Judgments and Decisions 1997-II, p. 510, §40 Hornsby; Mutishev and Others v. Bulgaria, 18967/03, §129, 3 December 2009; Antonetto v. Italy, no. 15918/89, §28, 20 July 2000.

საძლებლობას და წარმოადგენდეს უფლების დაცვის ეფექტურ საშუალებას.<sup>117</sup>

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების, თუნდაც კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ, აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე, ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულებული გახდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. „მიუხედავად სამართლიანი სასამართლოს უფლების უდიდესი მნიშვნელობისა, იგი არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას და შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით.“<sup>118</sup> „უფლების მზლუდავი საკანონმდებლო რეგულირება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავდროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია, ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.“<sup>119</sup> სასამართლო მხოლოდ ამონიშნებს, რამდენად შეუწყობს ხელს უზრუნველყოფის ღონისძიება გადაწყვეტილების დაცვას შესაძლო დაბრკოლებებისაგან, აღსრულების ეტაპზე.<sup>120</sup>

სხვა ანალოგიურ საქმეში,<sup>121</sup> სასამართლომ დააკმაყოფილა რა, განცხადება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე და ყადაღა დაადო საქარ-

<sup>117</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება, II-30.

<sup>118</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: №1/2/466.

<sup>119</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე: №3/1/512.

<sup>120</sup> Beck'sche Kurz-Kommentare Band1, Zivilprozessordnung mit Gerichtsverfassungsgesetz und anderen Nebengesetzen. Begründet von Dr. Adolf Baumbach, Professor Dr. Wolfgang Lauterbach, Dr. Jan Albers, Dr. Dr. Peter Hartmann. Verlag C.H. Beck, München 2003, 2375.

<sup>121</sup> სუსგ №ა-65-შ-1-2021, 17 მარტი, 2021.



თველოში მოქმედ ყველა კომერციულ ბანკში მოპასუხის საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს გარკვეული თანხის ფარგლებში. სასამართლომ აღნიშნა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების თაობაზე შუამდგომლობის წარმოებაში მიღებიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე შესაძლებელია საჭირო გახდეს მითითებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა, რაც სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლისა და ამავე კოდექსის XXIII თავით დადგენილი ნესების შესაბამისად უნდა შესრულდეს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობის ავტორმა მიუთითა იმ კონკრეტული გარემოებების არსებობის თაობაზე, რომლებიც ადასტურებს ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის უცხო ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საქართველოში აღსრულებას. საკასაციო პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ამართლებს ასევე მოსარჩელის ლეგიტიმური მოლოდინი, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება სასამართლო პროცესის განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.<sup>122</sup> ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც.<sup>123</sup>

<sup>122</sup> საქმე შპს „იზა“ და მაკრაზიძე საქართველოს წინააღმდეგ.

<sup>123</sup> სუსგ-ები: №ა-3283-შ-79-2020, 18 სექტემბერი, 2020, №ა-1133-შ-29-2020, 6 ივლისი, 2020, №ა-704-შ-24-2019, 14 თებერვალი, 2019.

კონკრეტულ საქმეში,<sup>124</sup> უცხო ქვეყნის განჩინების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო მოპასუხის 100%-იან წილს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში. შუამდგომლობის ავტორმა მიუთითა იმ გარემოებების არსებობის თაობაზე, რომლებიც ქმნის ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის უცხო ქვეყნის სასამართლოს განჩინების საქართველოში აღსრულებას. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ამართლებს შუამდგომლობის ავტორის ლეგიტიმური მოლოდინი, რომ განჩინება აღსრულდება.

სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში ხაზს უსვამს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების/განჩინების აღსრულების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.<sup>125</sup> სხვა საქმეში ევროსასამართლომ ასევე, განმარტა, რომ სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე, შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება.<sup>126</sup>

ერთ-ერთ საქმეში,<sup>127</sup> საკასაციო სასამართლომ განცხადება საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე ნაწი-

<sup>124</sup> სუსგ №ა-3503-შ-97-2021, 29 ივლისი, 2021.

<sup>125</sup> „შპს „იზა“ და მაკრაზიძე საქართველოს წინააღმდეგ.

<sup>126</sup> Hornsby, cited above, §§ 40 and seq.

<sup>127</sup> სუსგ №ა-3947-შ-93-2020, 26 ოქტომბერი, 2020.

ლობრივ დააკმაყოფილა, ხოლო განმცხადებლის მოთხოვნის ნაწილში შეწყვიტა საქმის წარმოება. განცხადების ავტორმა მოითხოვა მოპასუხის კუთვნილ სამ უძრავ ნივთზე და სამენარმეო საზოგადოების წილზე ყადაღის დადება. სასამართლომ სსსკ-ის 356<sup>18</sup> მუხლის პირველი ნაწილისა და 271-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნა, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მსგავსად, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების უზრუნველყოფაც შესაძლებელია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის აუცილებლობა შეიძლება იმ შემთხვევაში წარმოიშვას, თუ საარბიტრაჟო მოსარჩელეს დავის დასრულებამდე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა არ გაუკეთებია და, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხის გადაწყვეტამდე (სააღსრულებო ფურცლის გაცემამდე) ამ გადაწყვეტილების აღსრულების საჭიროება წარმოიშვა.

სასამართლომ მიუთითა, რომ საპროცესო კანონში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება გულისხმობს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების დაწესებას ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც იგი გამართლებულია, ხოლო არის თუ არა გამართლებული, ამის შესახებ სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ მოვალის ქონებაზე აკრძალვის დაწესება გადაწყვეტილების ეფექტური და დაუბრკოლებელი აღსრულების აუცილებელი და ერთადერთი საშუალებაა **(სუსგ, № ას-1477-2018, 31 იანვარი, 2019)**.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის/გადაწყვეტილების უზრუნველყოფა წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების მნიშვნელოვან ინსტიტუტს და ემსახურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას. იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად სამოქალაქო პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ პროცედურებთან არის დაკავშირებული, არსებობს რისკი, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დავის საგანი განადგურდეს, გასხვისდეს, უფლებრივად დაიტვირთოს ან სხვაგვარად შეეშალოს ხელი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სწორედ ამ საფრთხეების პრევენციას ემსახურება. სამოქალაქო საქმეზე მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელება მნიშვნელო-

ვან საჯარო ინტერესს წარმოადგენს, ამავე დროს, მართლმსაჯულების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე, შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული მექანიზმები, რომლებიც ემსახურება სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფას, ემსახურება უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ მიზანს – მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფას.<sup>128</sup>

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შუამდგომლობის ავტორმა მიუთითა იმ კონკრეტული გარემოების არსებობის თაობაზე, რომელიც ადასტურებს ვარაუდს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საქართველოში აღსრულებას. შესაბამისად, სასამართლომ ყადაღა დაადო მოპასუხის საკუთრებაში არსებულ ორ უძრავ ნივთს, ხოლო ერთ უძრავ ნივთსა და საწარმოს წილზე ყადაღის დადების მოთხოვნის ნაწილში, სსსკ-ის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეწყვიტა საქმის წარმოება.

კონკრეტულ საქმეში,<sup>129</sup> საკასაციო სასამართლომ საწარმოს განცხადება უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ არ დააკმაყოფილა შემდეგი მოტივაციით.

ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს ცნობს როგორც სავალდებულოს და მათ აღასრულებს იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმებით, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოთ ჩამოთვლილ მუხლებში ჩამოყალიბებული პირობებით.

დასახელებული ნორმით გათვალისწინებულია კონვენციაზე ხელმოწერი სახელმწიფოს ვალდებულება, საქმის განხილვისას

<sup>128</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამა-უნყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-52.

<sup>129</sup> სუსგ №ა-3421-მ-93-2019, 25 ოქტომბერი, 2019.

იხელმძღვანელოს კონვენციით დადგენილი ნორმების შესაბამისად, თუმცა ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელებისას გამოიყენება საქმის განმხილველი სასამართლოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო ნორმები.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოს რაიმე სახით ჩარევა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ამ კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული. ამავე კანონის 23-ე მუხლის თანახმად, მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, **მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა**, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

**საცნობი გადაწყვეტილებით, მოპასუხეს (მოვალეს) წარმოადგენს საწარმო და არა კომპანიის დირექტორი.** აღნიშნულის თაობაზე სასამართლომ მხარეს მიუთითა ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებაში და განუმარტა, რომ შეეძლო მოეთხოვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სათანადო მოპასუხის მიმართ (სსსკ-ის 85-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე), თუმცა განმცხადებელს არ მოუთხოვია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საწარმოს ქონებაზე, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს.

## სამართლებრივი დასკვნა

სამართლებრივ დასკვნაში მოცემულია უცხო სახელმწიფოთა სა-სამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსარულებლად მიქცევის სამართლებრივი საფუძ-ვლები. ასევე, ცალკეულ კონკრეტულ შუამდგომლობებზე მიღე-ბულ განჩინებებში მითითებული არსებითი განმარტებები, რომ-ლებიც ხელს შეუწყობს და გააადვილებს საკვლევ თემაზე საქარ-თველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის უკეთ აღქმას და უზრუნველყოფს დაინტერესებულ პირთათვის ამ პრაქტიკის გამჭვირვალობას.

- **საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტი-ლების ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი წინა-პირობები სპეციალური კანონის მიხედვით:**

სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უც-ხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო ამავე კა-ნონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სა-სამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება. სპეციალური კანო-ნის 68-ე და 71-ე მუხლების თანახმად, შუამდგომლობას თან უნ-და დაერთოს: სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ას-ლი და დამონმებული ქართული თარგმანი; ცნობა გადაწყვეტი-ლების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ ცნობა და იმის თაობაზე, რომ გადაწყვეტილების გამომ-ტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩა-ბარების გზით იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძა-ხების თაობაზე.

თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის პირველი მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, საქარ-თველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განი-ხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. ამდენად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრუ-ლების საკითხის განხილვა ხდება ყველა იმ საპროცესო პრინცი-პის დაცვით, რაც ეროვნული საპროცესო კანონმდებლობითაა

დადგენილი.

ხშირად შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს კანონის ფორმალურ მოთხოვნებს.

სსსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს (*შუამდგომლობას*) დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში. მოსარჩელე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

შუამდგომლობა ასევე, უნდა აკმაყოფილებდეს სპეციალური კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებსაც და არ უნდა არსებობდეს ამავე კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები. ამ პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

სპეციალური კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ. მოპასუხეს შუამდგომლობის გადაცემისას უნდა განემარ-

ტოს, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. მას აგრეთვე, უნდა განემარტოს, რომ საქმის ზეპირი განხილვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ის ამას მოითხოვს.

სპეციალური კანონის მე-3 მუხლის თანახმად, უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენებისას, საქართველოს სასამართლო იღებს საჭირო ზომებს მისი ნორმების არსის დასადგენად შესაბამის ქვეყანაში მათი ოფიციალური განმარტების, გამოყენების პრაქტიკისა და დოქტრინის გათვალისწინებით.<sup>130</sup>

- სპეციალური კანონის 70-ე მუხლის მიხედვით 1. სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების **აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას.** 2. აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ. 3. **შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.**
- საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოება, მხარისათვის უწყების ჩაბარების თაობაზე, ქმნის გაქარწყლებად პრეზუმფციას, რომლის გაბათილება ამ შემთხვევაში, სტანდარტული მტკიცებულებით ვერ მოხდება.<sup>131</sup>
- როდესაც შუამდგომლობას თან ერთვის მოპასუხის მონვევის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, წარმოიშობა გაბათილებადი პრეზუმფცია (rebuttable presumption), რომ მოპასუხე მონვეული იყო სასამართლო განხილვაზე. მოპასუხეს აქვს შესაძლებლობა, წარმოადგინოს დამატებითი მტკიცებულებები, რათა ეს პრეზუმფცია გააბათილოს და მტკიცების ტვირთი კვლავ მოსარჩელეზე გადაიტანოს.<sup>132</sup>

<sup>130</sup> სუსგ №ას-392-2021, 29 სექტემბერი, 2021.

<sup>131</sup> სუსგ №ა-4227-შ-98-2020, 28 ივნისი, 2021.

<sup>132</sup> სუსგ №ა-5069-შ-130-2017, 26 აპრილი, 2018.



- **მინსკის კონვენციის მიხედვით უცხო ქვეყნის გადანყვეტილების ცნობისა და აღსრულების წინაპირობები:**

კონვენციის პირველი მუხლის პირველი ნაწილით, სამართლებრივი დაცვით სარგებლობენ კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეები, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, ყველა სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიებზე თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებების მიმართ სარგებლობენ ისეთივე სამართლებრივი დაცვით, როგორც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები. დასახელებული ნორმის მე-2 ნაწილით კი, თითოეული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეებს, ასევე, მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს, უფლება აქვთ, თავისუფლად და დაუბრკოლებლივ მიმართონ სხვა ხელშემკვრელი მხარეების სასამართლოებს, პროკურატურას და სხვა დანესებულებებს (შემდეგში – იუსტიციის დანესებულებები), რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეები, შეუძლიათ გამოვიდნენ იქ, იშუამდგომლონ, წარადგინონ სარჩელები და განახორციელონ სხვა პროცესუალური ქმედებები იმავე პირობებით, რითაც მოცემული ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეები სარგებლობენ.

მინსკის კონვენციის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობით აღიარებს და აღასრულებს შემდგომ გადანყვეტილებებს, გამოტანილთ სხვა ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიაზე სამოქალაქო და საოჯახო საქმეთა იუსტიციის დანესებულებების გადანყვეტილებებს, მათ შორის სასამართლოს მიერ ასეთ საქმეებზე დამტკიცებულ შეთანხმებებს მორიგების შესახებ და ნოტარიალურ აქტებს ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით (შემდგომ – გადანყვეტილებებს), გარდა იმ შემთხვევებისა რომლებიც გათვალისწინებულია მინსკის კონვენციის 55-ე მუხლით.

უზენაესი სასამართლო აკმაყოფილებს შუამდგომლობას, თუ დაცულია მინსკის კონვენციის 53-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამასთან, არ არსებობს ამავე კონვენციის 55-ე მუხლით გათვალისწინებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლები.

მინსკის კონვენციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო, რომელიც განიხილავს შუამდგომლობას გადაწყვეტილებათა ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის შესახებ, შემოიფარგლება იმის დადგენით, რომ ამ კონვენციით გათვალისწინებული პირობები დაცულია. იმ შემთხვევაში, თუ პირობები დაცულია, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება იძულებითი აღსრულების შესახებ.

მინსკის კონვენციის 51-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, თითოეული ხელშემკვრელი მხარე წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული პირობებით აღიარებს და აღსრულებს სხვა ხელშემკვრელ მხარეთა ტერიტორიაზე იუსტიციის დაწესებულებების მიერ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებებს, ამავე კონვენციის 53-ე მუხლის თანახმად კი, გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე შუამდგომლობა წარედგინება ხელშემკვრელი მხარის კომპეტენტურ სასამართლოს, სადაც გადაწყვეტილება აღსრულებას ექვემდებარება... **შუამდგომლობას თან ერთვის:** ა) გადაწყვეტილება ან მისი დამოწმებული ასლი, ასევე, ოფიციალური დოკუმენტი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისა და დაქვემდებარების აღსრულებას ან იმის შესახებ, რომ კანონიერ ძალაში შესვლამდე ექვემდებარება აღსრულებას, თუ ეს არ გამომდინარეობს თავად გადაწყვეტილებიდან; ბ) დოკუმენტი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება, და რომელიც არ მონაწილეობდა პროცესში, სათანადო წესრიგში იმყოფებოდა და დროულად იქნა გამოძახებული სასამართლოში, ხოლო მისი პროცესუალური არაქმედუნარიანობის შემთხვევაში სათანადოდ იქნა წარმოდგენილი; გ) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გადაწყვეტილების ნაწილობრივ აღსრულებას მისი გადაგზავნის მომენტისთვის; დ) დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს მხარეთა შეთანხმებას სახელშეკრულებო განსჯადობის საქმეებზე. გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულების ნებართვის თაობაზე შუამდგომლობა და მისი თანდართული დოკუმენტები აღიჭურვება დამოწმებული თარგმანით თხოვნის გამგზავნი ხელშემკვრელი მხარის ენაზე ანდა რუსულ ენაზე.

რაც შეეხება გადაწყვეტილების აღსრულების წესს, მას ადგენს

კონვენციის 54-ე მუხლი, რომლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საკითხის განმხილველი სასამართლო ადგენს, შეესაბამება თუ არა შუამდგომლობა ამ კონვენციის 53-ე მუხლის მოთხოვნებს. მინსკის კონვენციით ასევე დადგენილია, იმ მხარის თავდაცვის საშუალებები, რომლის წინააღმდეგაცაა გამოტანილი აღსასრულებლად მისაქცევი გადაწყვეტილება, კერძოდ, 55-ე მუხლის თანახმად, 52-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების აღიარებაზე და იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება, **უარი ეთქვას**, თუკი: ა) ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც გამოტანილია გადაწყვეტილება, იგი არ შესულა კანონიერ ძალაში ან არ ექვემდებარება აღსრულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაწყვეტილება ექვემდებარება აღსრულებას კანონიერ ძალაში შესვლამდე; ბ) მოპასუხეს არ მიუღია მონაწილეობა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის რწმუნებულს დროულად არ გადასცეს სასამართლოში გამოძახება; გ) საქმეზე იმავე მხარეებს, იმავე საგანზე და იმავე საფუძველზე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, სადაც აღიარებულ და აღსრულებულ უნდა იქნას გადაწყვეტილება, ადრე უკვე გამოტანილი იყო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან არსებობს მესამე სახელმწიფოს სასამართლოს აღიარებული გადაწყვეტილება, ანდა, თუ ამ ხელშემკვრელი მხარის დაწესებულებამ ადრე აღძრა წარმოება ამ საქმეზე; დ) წინამდებარე კონვენციის დებულებათა თანახმად, ხოლო მის მიერ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობისა, რომლის ტერიტორიაზეც გადაწყვეტილება აღიარებული და აღსრულებული უნდა იქნას, საკითხი ეხება მისი დაწესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას; ე) არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სახელშეკრულებო განსჯადობის შესახებ მხარეთა შეთანხმებას; ვ) ამოიწურა იძულებითი აღსრულების ხანდაზმულობის ვადა, გათვალისწინებული იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის სასამართლოც ასრულებს დავალებებს.<sup>133</sup>

<sup>133</sup> სუსგ №ა-4937-შ-119-2020, 12 აპრილი, 2021.

- **უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი წანამძღვრები ნიუ-იორკის კონვენციის მიხედვით:**

ნიუ-იორკის კონვენციის მიზანია საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო დავების არბიტრაჟის გზით მოგვარების განვითარება. იგი მიზნად ისახავს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობის და აღსრულების და საარბიტრაჟო შეთანხმების აღსრულების გამარტივებას.<sup>134</sup>

ნიუ-იორკის კონვენციის მე-4 მუხლი ადგენს უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შუამდგომლობის წარდგენის წესს:

კერძოდ, მხარემ, რომელიც ითხოვს ცნობასა და აღსრულებას, აღნიშნული მოთხოვნით მიმართვისას, უნდა წარადგინოს: (a) სათანადო წესით დამოწმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანი, ან მისი სათანადო წესით დამოწმებული ასლი; (b) მეორე მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების (საარბიტრაჟო შეთანხმების) დედანი, ან მისი სათანადო წესით დამოწმებული ასლი. წარმოდგენილი შუამდგომლობა აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს.

ნიუ-იორკის კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს ცნობს როგორც სავალდებულოს და აღსრულებს მათ იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმებით, სადაც მოითხოვება ამ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოთ ჩამოთვლილ მუხლებში ჩამოყალიბებული პირობებით. იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რისთვისაც გამოიყენება ეს კონვენცია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას არსებითად უფრო ძძიმე პირობები ან უფრო მაღალი ბაჟი ან მოსაკრებლები იმასთან შედარებით, რომლებიც არსებობს შიდა გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისათვის.

ნიუ-იორკის კონვენციის მე-5 მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრუ-

<sup>134</sup> „კომერციული არბიტრაჟის საერთაშორისო საბჭო“ (ICCA) სახელმძღვანელო 1958 წლის ნიუ-იორკის კონვენციის განმარტებაზე, 2013, გვ.19-20 .

ლებაზე უარის თქმის საფუძვლებს. მოპასუხეს ეკისრება მტკიცების ტვირთი და მხოლოდ მაშინ აღუდგება წინ საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობა-აღსრულებას, თუ არსებობს კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს საარბიტრაჟო გადანყვეტილებების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებს, რომლებიც სასამართლომ საკუთარი ინიციატივით (*ex officio*) უნდა წამოსწიოს. კერძოდ, საარბიტრაჟო გადანყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე შეიძლება უარის თქმა, თუ იმ ქვეყნის კომპეტენტური ხელისუფლება, სადაც მოითხოვება ცნობა და აღსრულება, ჩათვლის, რომ: ა) ამ ქვეყნის კანონით, დავის ობიექტი არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო გარჩევის საგანი ან ბ) ამ გადანყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის საჯაროობის წესს.

ნიუ-იორკის კონვენციის დებულებებიდან, კერძოდ, მისი მე-5 მუხლიდან გამომდინარეობს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საარბიტრაჟო გადანყვეტილებების ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები. აღნიშნული ნორმის თანახმად, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოტანილი საარბიტრაჟო გადანყვეტილება, მხარეს შეიძლება უარი ეთქვას ამ გადანყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე, თუ: ა) მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია საარბიტრაჟო გადანყვეტილება, სასამართლოს განცხადებით მიმართავს და დამტკიცებს, რომ: ა. ა) საარბიტრაჟო შეთანხმების გაფორმების დროს მხარე იყო არაუფლებამოსილი ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც საარბიტრაჟო შეთანხმებაში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით მხარდამჭერი ჰყავდა დანიშნული, მაგრამ შესაბამისი მხარდაჭერა არ მიუღია, ან იმ სამართლებრივი ნორმების მიხედვით, რომლებზედაც მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებაში მიუთითეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას — იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადანყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია; ა. ბ) იგი არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვაგვარად არ მიეცა შესაძლებლობა, წარმოედგინა საკუთარი პოზიცია ან დაეცვა თავისი ინტერესები; ა. გ) საარბიტ-

რაყო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც მხარეებმა არბიტრაჟში არ წარადგინეს, ან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიცავს გადაწყვეტილებას ისეთ საკითხზე, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება. თუ გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში ექცევა, შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს იმ საკითხებისგან, რომლებიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს სცილდება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება ცნობილ და აღსრულებულ იქნეს ნაწილობრივ, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც არბიტრაჟში მხარეთა მოთხოვნის ფარგლებში მოქცეულ საკითხებზე გადაწყვეტილებას შეიცავს; ა. დ) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონის მოთხოვნებს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა; ა. ე) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა იგი გააუქმა ან შეაჩერა იმ ქვეყნის სასამართლომ, სადაც ეს გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, ან იმ ქვეყნის სასამართლომ, რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი; ბ) სასამართლო დაადგენს, რომ: ბ. ა) საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი; ბ. ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

- შუამდგომლობა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ... არ განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების იმ წესებით, რაც სასარჩელო წარმოებას გულისხმობს. თუმცა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცალკეული დებულებები გამოიყენება სწორედ იმ საკითხების შესამოწმებლად, რაც საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობას და/ან აღსრულებას უკავშირდება და საჯარო მართლწესრიგთან შესაბამისობის დადგენის მიხედვით უნდა შეფასდეს. უცხო სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებისა და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულება სხვა ქვეყანაში ამ უკანასკნელის საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტია, რომელთა მიმართებით ეს სახელმწიფო სრული სუვე-

რენიტეტითა და თავისუფლებით სარგებლობს. „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა ნიშნავს იმას, რომ თავისი ძალმოსილებით და სამართლებრივი შედეგებით იგი უთანაბრდება იმ სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომელმაც ცნო ეს გადაწყვეტილება.“<sup>135</sup>

- უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულების საკითხის განხილვამდე აუცილებელია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეამოწმოს მისი დასაშვებობა, კონკრეტულ შემთხვევაში კი, შედის თუ არა შუამდგომლობაში დასმული საკითხის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში, გააჩნია თუ არა შუამდგომლობის ავტორს იურიდიული ინტერესი და ა. შ.
- გადაწყვეტილების ცნობის (აღიარების) საგანს წარმოადგენს არა ზოგადად, კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც მართლმსაჯულების აქტი, არამედ მისი გარკვეული სამართლებრივი თვისების მოქმედების გავრცელება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.<sup>136</sup>
- საერთაშორისო სამართალში მოქმედი „გათანაბრების თეორიის“ თანახმად, უცხოური აქტი უნდა აღქმულ იქნეს და იურიდიულად გაუთანაბრდეს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლო გადაწყვეტილებას, შესაბამისად, ამ სახის სასამართლო გადაწყვეტილებების საპროცესო შედეგებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით უნდა გადაწყდეს. ეს კონცეფცია ნოსტრიფიკაციის სახელით არის ცნობილი და ემყარება ყველა სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის თანასწორუფლებიანობის მოსაზრებას. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ან უცხოური საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისას საქმე გვაქვს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოური აქტის მოქმედების გაფართოებასთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მის ცნობაზე უარის თქმის საფუძვლები. ამიტომაც, უცხო ქვეყნის

<sup>135</sup> თენგიზ ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, 2001, გამომცემლობა „ჯი სი აი“, გვ.157

<sup>136</sup> ბაკურ ლილუაშვილი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, თბილისი, 2009.

სასამართლო გადანყვეტილების ცნობის პრობლემის გადანყვეტისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადანყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. ამგვარი კრიტერიუმები კი სხვადასხვაა. შესაძლებელია გადანყვეტილების ცნობისას მოცემული ქვეყნის კანონმდებლობა ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ საკითხთან მიმართებით, საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება ჰპოვა ე.წ. „სარკისებური ასახვის პრინციპმა“, რომლის მიხედვითაც, გადანყვეტილების მცნობ სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავისი ქვეყნის წესები გადანყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებაზე.

- უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილების ცნობა, პირველ ყოვლისა, ემსახურება სამოქალაქო ბრუნვისა და მართლმსაჯულების საქმიანობის გამარტივებას. მოდავე მხარისათვის მნიშვნელოვანია, რომ მის მიერ ერთი ქვეყნის სასამართლოში შეტანილი სარჩელით ამონუროს ყველა ის სადავო საკითხი, რომლითაც ის მოპასუხეს ედავება. თანამედროვე სამოქალაქო ბრუნვა იმდენად რთულია, რომ ხშირად სცილდება არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე ქვეყნის ფარგლებს. ამიტომ, ხშირად სასამართლო გადანყვეტილება ალსრულებას რამდენიმე ქვეყანაში მოითხოვს. შესაბამისად, თუ რომელიმე უცხო ქვეყანა უარს იტყვის ამგვარი გადანყვეტილების ალსრულებაზე, მოდავე მხარე იძულებული იქნება, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეიტანოს სარჩელი ამ ქვეყნის სასამართლოში, რაც დამატების დროსა და ხარჯებს მოითხოვს.

ევროპული დოქტრინის მიხედვით, უცხო ქვეყნის გადანყვეტილების ცნობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გადანყვეტილება წყვეტს კერძო სამართლებრივ დავას. ამასთან, აღნიშნული დავა გადანყვეტილი უნდა იყოს ისეთ სასამართლო პროცესზე, რომელზედაც პროცესის მხარეებს თანაბრად ჰქონდათ მინიჭებული უფლებები, დაეცვათ თავიანთი ინტერესები.<sup>137</sup>

<sup>137</sup> სუსგ №ა-667-შ-13-2021, 8 ივნისი, 2021



- საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ე. წ. ზემდგომ ინსტანციას უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმების თვალსაზრისით, რადგან კიდევ ერთი დამატებითი ინსტანციით არსებითად არ იხილავს საქართველოს ტერიტორიაზე საცნობ გადაწყვეტილებას, არამედ მისი მსჯელობა მხოლოდ იმ საფუძვლების გარკვევით შემოიფარგლება, თუ რამდენად არსებობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების იურიდიული ძალის სხვა ქვეყანაში გავრცელებისათვის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ფაქტობრივ საფუძველში იგულისხმება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების გავრცელება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელმაც უნდა ცნოს ეს გადაწყვეტილება, ხოლო სამართლებრივ საფუძველში მოიაზრება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლითაც ხორციელდება ცნობა/აღსრულების შემოწმება/განხილვა. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებით ახდენს ამ გადაწყვეტილებით დაცული მხარის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ცნობას, რომლის რეალიზაციის იურიდიული შედეგი უნდა გავრცელდეს საქართველოში.<sup>138</sup>
- უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვა კანონის ფორმალურ დანაწესებთან ამ გადაწყვეტილების შემოწმების გზით ხორციელდება, რაც იმას გულისხმობს, რომ **საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს, რაიმე ფორმით განმარტოს ან შესწორება შეიტანოს თავად გადაწყვეტილებაში ან მისი სარეზოლუციო ნაწილის რომელიმე პუნქტში.**

ამასთან, საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა შესაძლებელია იმ სამართლებრივი შედეგის (გადაწყვეტილების) მიხედვით, რაც მის დადგენილებით (სარეზოლუციო) ნაწილშია ასახული და საქართველოს უზენაესი სასამართლო არ არის უფლებამოსილი გადაწყვე-

<sup>138</sup> სუსგ №ა-3968-7-107-2019, 14 თებერვალი, 2020.

ტილების სამოტივაციო ნაწილში უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა, საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე რაიმე ინტერპრეტაციის გზით გადმოიტანოს გადაწყვეტილების იმ ნაწილში, რომელიც სასამართლოს საბოლოო დასკვნას ასახავს.<sup>139</sup>

- მრავალი ქვეყანა მისდევს *revision au fond*-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპს, რომელიც კატეგორიულად უარყოფს უცხო ქვეყნის სასამართლოს (არბიტრაჟის) მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამონმებას. შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების საკითხის განხილვისას საკასაციო პალატა ამ გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი წესრიგის გადასინჯვას ვერ განახორციელებს.<sup>140</sup>
- სახელმწიფოთა მიერ სხვა ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე უარის თქმის საუკეთესო საშუალებად აღიარებულია დათქმა „საჯარო წესრიგის შესახებ.“ კერძოდ, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა (აღიარება) არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამღიარებელი სახელმწიფოს საჯარო წესრიგს ანუ მის ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.<sup>141</sup> საჯარო წესრიგი შეიძლება მოიცავდეს დავის როგორც მატერიალურ (შინაარსობრივ) ასევე, პროცესუალურ ნაწილს. პროცესუალური საჯარო წესრიგი ეხება სასამართლოში საქმის განხილვის პროცესს, ხოლო მატერიალური საჯარო წესრიგი კი, დაკავშირებულია სასამართლო გადაწყვეტილების არსსთან. პროცესუალური საჯარო წესრიგის გამოხატულებას წარმოადგენს სასამართლო დავაში მონაწილე მხარის უფლება, ინფორმირებული იყოს სასამართლო განხილვის შესახებ და მიეცეს შესაძლებლობა განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები.

<sup>139</sup> სუსგ №ა-667-შ-13-2021, 8 ივნისი, 2021.

<sup>140</sup> სუსგ №ა-3968-შ-107-2019, 14 თებერვალი, 2020.

<sup>141</sup> გოთუა ლ., უცხო ქვეყნის სასამართლო და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულება, თბილისი, 2021, 115.

პროცესუალური საჯარო წესრიგის დარღვევად, რაც შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი, მიიჩნევა ისეთი შემთხვევა, თუკი არსებობს მიზეზობრივი კავშირი ასეთ დარღვევასა და სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსს შორის, ანუ თუკი მხარის საპროცესო უფლების დარღვევამ გავლენა იქონია წაგებულ მხარის ინტერესზე. „საჯარო წესრიგი“ (ordre public) გაიგივებულია „საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებთან.“<sup>142</sup>

სპეციალური კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ პროცესის ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.<sup>143</sup>

- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ კანონს, აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.
- მინსკის კონვენციის ფარგლებში შუამდგომლობის განხილვისას, როცა არსებობს გადაწყვეტილებების აღიარებაზე და იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე ამ კონვენციის 52-ე მუხლის გათვალისწინებული საფუძვლები, საკასაციო სასამართლოს პრაქტიკით, საკასაციო სასამართლო შუამდგომლობის ავტორს უარს ეუბნება გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის და აღსრულების შესა-

<sup>142</sup> ბ. ლილუაშვილი, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, თბ., 2009, 57.

<sup>143</sup> სუსგ №ა-667-შ-13-2021, 8 ივნისი, 2021.

ხებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე სპეციალური კანონის 68-ე, მინსკის კონვენციის 53 ე, 54-ე და 55-ე და სსსკ-ის 186-ე, 187-ე, 284-ე, 285-ე მუხლებზე მითითებით.<sup>144</sup>

- იმ შემთხვევაში, როცა საცნობი და აღსასრულებელი გადაწყვეტილების მიმღები ქვეყანა არ არის მინსკის კონვენციის ხელშემკვრელი მხარე, სასამართლო სპეციალური კანონის ნორმებზე და სსსკ-ის ნორმებზე (სპეციალური კანონის 68-ე, სსსკ-ის 63-ე, 284-ე, 285-ე მუხლები) მითითებით წყვეტს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხს. თუ შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სასამართლო შუამდგომლობის ავტორს უდგენს ხარვეზს (სსსკ-ის 396.3. მუხლი). ხარვეზის განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში კი, შუამდგომლობას უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ, განუხილველად ტოვებს. ამასთან, შუამდგომლობის ავტორს უმარტავს, რომ სსსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, თუ მხარე გამოასწორებს ზემოთ მითითებულ დარღვევებს, მას უფლება აქვს საერთო წესით კვლავ მომართოს სასამართლოს ამავე შუამდგომლობით.<sup>145</sup>
- შუამდგომლობა, ერთ-ერთი მშობლისათვის ბავშვზე უფლებების ერთპიროვნულად მინიჭების თაობაზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით აღსასრულებლად მიქცევის შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილების/განჩინების იძულებით აღსრულების საკითხს არეგულირებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი და მისი მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულებას ექვემდებარება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება, გარდა ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობ-

<sup>144</sup> სუსგ №ა-1902-შ-43-2021, 28 აპრილი, 2021.

<sup>145</sup> სუსგ №ა-886-შ-20-2020, 29 იანვარი, 2021.

ლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისა. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, **უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება ოჯახის ერთ-ერთი წევრის ურთიერთობის უფლებას არასრულწლოვანთან იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული არ არის და მხარეს შუამდგომლობით მომართვისას დასახული მიზნის მიღწევა შეუძლია ხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მოთხოვნით.**<sup>146</sup>

- მემკვიდრის შუამდგომლობა თურქეთის სასამართლოს გადაწყვეტილების სამკვიდრო მასაში შემავალი საქართველოში არსებულ **უძრავ ქონებასთან** დაკავშირებით **არ იქნა ცნობილი**, იმ საფუძვლით, რომ სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება, ხოლო ამავე კანონის მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს **განსაკუთრებული კომპეტენცია აქვთ მხოლოდ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია.**

შუამდგომლობა საქართველოში არსებულ მოძრავ ქონებასთან დაკავშირებით კანონიერია, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

შუამდგომლობა უარყოფილ იქნა საცნობი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების მოთხოვნის ნაწილში, სპეციალური კანონის 70-71-ე მუხლებზე დაყრდნობით. სპეციალური კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი, დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების სა-

<sup>146</sup> სუსგ №ა-1321-შ-35-2020, 6 აპრილი, 2020.

ქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. განსახილველ შემთხვევაში, **შუამდგომლობის ავტორის მიზანია მის მიერ მიღებულ სამკვიდრო მასაში შემავალი ნივთების საკუთრებაში მიღება, რისთვისაც საჯარო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციაა საჭირო.** ასეთ შემთხვევაში, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა საკმარისია შუამდგომლობის ავტორის სახელზე მოძრავი ქონების (ავტომობილი და ნილი სანარმოში) რეგისტრაციისთვის.<sup>147</sup>

- ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების მოთხოვნით აღძრული შუამდგომლობა უზენაესმა სასამართლომ **უარყო** იმ საფუძველით, რომ **მოპასუხე სასამართლოს სხდომის თაობაზე სათანადოდ არ იყო ინფორმირებული.** როგორც მინსკის კონვენცია, ისე ქვეყნის შიდა კანონმდებლობა, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა აღსრულების საკითხის განხილვისას, ერთ-ერთ წინაპირობად მიიჩნევა საქმის განხილვასთან დაკავშირებით მხარის ინფორმირებულობას.

სასამართლო პროცესის თაობაზე მოპასუხის ინფორმირებულობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტის – შეჯიბრებითი სამართალწარმოების წინაპირობაა. შეჯიბრებითობის პრინციპი მხარეთა ავტონომიურობასა და თვითპასუხისმგებლობას განსაზღვრავს, რომელიც რაიმე ფორმით, მათ შორის, საქმის განხილვაზე მიუღწევლობით არ შეიძლება შეეზღუდოს სამართალწარმოებაში მონაწილე სუბიექტებს (*სუსგ №ა-3667-შ-97-2013, 14 აპრილი, 2014*).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს ზოგადი კონცეფცია მოიცავს შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფუნდამენტურ პრინციპს (*იხ.: საქმე რუიზ-მატეოსი ესპანეთის წინააღმდეგ (Ruiz-Mateos v. Spain), 23/06/1993, §63, Series A no. 262*). ამასთან, სამართლიანი სამართალწარმოება მოითხოვს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა მხარე ინფორმირებული იყოს და შესაძლებლობა ჰქონდეს გამოთქვას მოსაზრება წარდგენილ დასკვნებ-

<sup>147</sup> სუსგ №ა-2853-შ-73-2021, 16 ივლისი, 2021.

სა და მტკიცებულებებზე, რათა გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (იხ.: საქმე ლობო მანადო პორტუგალიის წინააღმდეგ (*Lobo Machado v. Portugal*), 20/02/1996, §31, ანგარიშები 1996-I). უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული საკითხი გულისხმობს, რომ პირი ინფორმირებული უნდა იყოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოების შესახებ (იხ.: საქმე დილიპაკი და კარაკაია თურქეთის წინააღმდეგ (*Dilipak and Karakaya v. Turkey*), nom. 7942/05 da 24838/05, §77, 04/03/2014). თუ სასამართლო დოკუმენტები მათ შორის, სასამართლო სხდომის უწყებები არ ჩაბარდა მხარეს პირადად, მაშინ განმცხადებელს შეიძლება ხელი შეემალოს საკუთარი თავის დაცვის განხორციელებაში სამართალწარმოების პროცესში (იხ.: საქმე ოზგურ-კარადუმანი გერმანიის წინააღმდეგ (განჩინება) (*Ozgur-Karaduman v. Germany (dec.)*, no. 4769/02, 26/06/2007; საქმე ვებერი გერმანიის წინააღმდეგ (განჩინება), (*Weber v. Germany (dec.)*, no. 30203/03, 02/10/2007; და საქმე ზადოვნიკი სლოვენის წინააღმდეგ, (*Zavodnik v. Slovenia*), no. 53723/13, §70, 21/05/2015).<sup>148</sup>

- შუამდგომლობის ავტორს ასევე, უარი ეთქვა შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე, იმ საფუძველით, რომ უცხო ქვეყანაში მისი სარჩელი განხილულია მონინააღმდეგე მხარის ინფორმირების და შესაბამისად მონაწილეობის გარეშე. აღნიშნული მეტყველებს მასზე, რომ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება (მისი მიღების პროცედურა) ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში ასახულ ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

სპეციალური კანონის 68-ე მუხლის მეორე ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით კი, თუ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს, საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება.

ნარდგენილი შუამდგომლობა არ აკმაყოფილებს მინსკის კონვენციის 53-ე და 55-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და შესაბამისად, იკვეთება შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი.

<sup>148</sup> სუსგ №ა-840-შ-16-2021, 20 მაისი, 2021.

მინსკის კონვენცია სპეციალურ წინაპირობებს ადგენს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების იძულებით სისრულეში მოყვანისათვის. კონვენციის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების შესახებ შუამდგომლობას უნდა დაერთოს დოკუმენტი, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ მხარე, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილი იყო გადაწყვეტილება და რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია პროცესში, სათანადო წესით და დროულად გამოძახებულ იქნა სასამართლოში. თავის მხრივ, კონვენციის მიზნებისათვის მისი მე-2 ნაწილი განსაზღვრავს ხელშემკვრელ მხარეთა ვალდებულებას, სხვა ქვეყნის მოქალაქეს (იურიდიულ პირს) შეტყობინება ჩააბარონ არა ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით, არამედ ამავე კონვენციით განსაზღვრული წესების შესაბამისად (მაგ: მე-6 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული დოკუმენტების გადაცემა სამოქალაქო საქმეებზე).

მოპასუხის (რომლის წინააღმდეგაც გამოტანილია გადაწყვეტილება) ინფორმირების ფაქტის დადასტურებას, ამავე კონვენციის მიზნებისათვის არა ფორმალური, არამედ არსებითი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან მისი 55-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ეს გარემოება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს (52-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ცნობისა და მისი იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე არ მონაწილეობდა პროცესში იმის გამო, რომ მას ან მის რწმუნებულს დროულად ან ჯეროვნად არ გადაეცა სასამართლოში გამოცხადება).<sup>149</sup>

- დასაქმებულის შუამდგომლობა დამსაქმებლის მიმართ პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვის გამო დახმარების გადახდევინებისა და მორალური ზიანის კომპენსაციის თაობაზე **არ დაკმაყოფილდა**, იმ საფუძველით, რომ რუსეთის ფედერაციის... სასამართლოს მიერ მოცემული საქმის საკუთარი ქვეყნის სამართლის მიხედვით განხილვა არ შეესაბამება მინსკის კონვენციის 42-ე მუხლისა და შეთანხმების მე-2 მუხლის მოთხოვნებს და ამით არღვევს აღნიშნული საერთაშო-

<sup>149</sup> სუსგ №ა-2748-შ-57-2020, 7 სექტემბერი, 2020. ასევე, სუსგ №ა-3144-შ-83-2018, 6 ივლისი, 2018.



რისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. მოცემულ შემთხვევაში, ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებელი დამსაქმებელი იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და იმ ქმედებას ან გარემოებას, რომელიც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა, ასევე, ადგილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში), საიდანაც გამომდინარეობს, რომ მოპასუხე დამსაქმებელმა ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა განახორციელოს.

- შუამდგომლობის ავტორს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის დადგენის მიზნით, ხარვეზის დადგენის თაობაზე განჩინებით, მოპასუხის საქართველოსთან შემხებლობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტის წარდგენა და მოპასუხის საცხოვრებელი მისამართის დაზუსტება დაევალა.<sup>150</sup>
- შუამდგომლობის ავტორს, რომელიც ითხოვდა ქორწინების შეწყვეტის შესახებ აშშ-ის ნიუ იორკის კინგსის შტატის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობას, შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე ეთქვა უარი, იმ საფუძველით, რომ იგი გადაწყვეტილების ცნობასთან დაკავშირებით სამართლებრივი ინტერესის არსებობის შესახებ არ უთითებს და მას ვერ ასაბუთებს. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა/აღსრულების საკითხის განხილვამდე აუცილებელია, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეამოწმოს მისი დასაშვებობა, კონკრეტულ შემთხვევაში კი, შედის თუ არა შუამდგომლობაში დასმული საკითხის განხილვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაში, **გააჩნია თუ არა შუამდგომლობის ავტორს იურიდიული ინტერესი** და ა. შ. სსსკ-ის 180-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, აღიარებითი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იკვეთება მოსარჩელის (შუამდგომლობის ავტორის) იურიდიული ინტერესი.<sup>151</sup>
- უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორი-

<sup>150</sup> სუსგ №ა-2753-შ-56-2020, 5 თებერვალი, 2021.

<sup>151</sup> სუსგ №ა-1800-შ-46-2021, 19 აპრილი, 2021.

აზე ცნობა აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარს საფუძველად დაედო ის გარემოება, რომ გადანყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს იძულებით აღსასრულებელ ჩანანერს არ შეიცავს (გადანყვეტილება შეეხება ქორწინების შეწყვეტას), აღსრულებაუნარიანი არ არის.<sup>152</sup>

- ერთგვაროვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა იმ თვალსაზრისით, რომ უცხო ქვეყნის გადანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულების შესახებ შუამდგომლობის ავტორის მიერ მონინალმდეგე მხარის მისამართის მიუთითებლობა იწვევს შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარს.<sup>153</sup>
- შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ საქმეში წარდგენილია უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების ასლი და მისი საწოტარო წესით დამონმებული ქართულენოვანი თარგმანი.

საკასაციო პალატამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სადავო მტკიცებულება წარმოადგენს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებულ გადანყვეტილებას, შესაბამისად, მისი/დამონმების ნამდვილობის საკითხი შეაფასა კონვენციის ფარგლებში, რომელიც აუქმებს უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნას. ხსენებული კონვენციის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ოფიციალურ დოკუმენტად მიიჩნევა მათ შორის, სასამართლო აქტები, რომლებზეც ხელმოწერის ნამდვილობა, ამავე კონვენციის მე-2-მე-4 მუხლების შესაბამისად, შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ დოკუმენტის აპოსტილით დამონმების გზით.<sup>154</sup>

- შუამდგომლობის ავტორს ხარვეზის დადგენის შესახებ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით დაევალა წარედგინა საარბიტრაჟო შეთანხმების დედანი ან მისი სათანადოდ დამონმებული ასლი და ქართულ

<sup>152</sup> სუსგ ა-3136-შ-65-2020, 11 სექტემბერი, 2020.

<sup>153</sup> სუსგ №ა-3269-შ-77-2020, 17 სექტემბერი, 2020. ასევე სუსგ №ა-250-შ-3-2018, 23 იანვარი, 2018. სუსგ №ა-505-შ-11-2018, 7 თებერვალი, 2018.

<sup>154</sup> სუსგ №ა-2577-შ-54-2020, 28 ივლისი, 2020.

ენაზე ამ საბუთის სათანადოდ დამონმებული თარგმანი. აღნიშნულის წარუდგენლობა კი, შუამდგომლობის განუხილველად დატოვების საფუძველი გახდა.<sup>155</sup>

- წარდგენილი მტკიცებულება არ აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს, მართალია, ირკვევა აპოსტილით მისი დამონმების ფაქტი, თუმცა, როგორც მთლიანად გადაწყვეტილება, ისე – აპოსტილი წარდგენილია არა დედნის, არამედ – ქსეროასლის სახით, რაც გამორიცხავს ამ მტკიცებულების გაზიარებას.
- უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განუხილველად დატოვება იმ გარემოებამ განაპირობა, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა მოპასუხის შუამდგომლობის ავტორის მიერ მითითებულ მისამართზე მოძიება, მითითებული მისამართის უსწორობის გამო.<sup>156</sup>
- შუამდგომლობას, ერთ-ერთი მშობლისათვის ბავშვზე უფლებების ერთპიროვნულად მინიჭების შესახებ, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე, უარი ეთქვა განსახილველად მიღებაზე იმ საფუძველით, რომ **უცხო ქვეყნის გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება ოჯახის ერთ-ერთი წევრის ურთიერთობის უფლებას არასრულწლოვანთან იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული არ არის და მხარეს შუამდგომლობით მომართვისას, დასახული მიზნის მიღწევა შეუძლია ხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მოთხოვნით.**<sup>157</sup>
- შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის და აღსრულების შესახებ განუხილველად იქნა დატოვებული, იმ საფუძველით, რომ მოწინააღმდეგე მხარე გარდაიცვალა.

საქართველოს სასამართლოს მიერ უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მხარის უფლებამონაცვლე-

<sup>155</sup> სუსგ №ა-3421-შ-93-2019, 12 ნოემბერი, 2019.

<sup>156</sup> სუსგ №ა-429-შ-13-2020, 15 ივლისი, 2020.

<sup>157</sup> სუსგ №ა-1321-შ-35-2020, 6 აპრილი, 2020.

ობის საფუძვლების არსებობა არარსებობის დადგენა, ისევე როგორც, მაგალითად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების განმარტება და დამატებითი გადაწყვეტილების მიღება, **წინააღმდეგობაში მოდის revision au fond-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპთან, რომელიც კრძალავს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას.**

თუ მოსარჩელეს მიაჩნია, რომ უფლებამონაცვლეობის საფუძველი არსებობს, მან უფლებამონაცვლის დადგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს. ხოლო თუ უშუალოდ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო დაადგენს უფლებამონაცვლეობას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, შუამდგომლობის ავტორს შეეძლება მოითხოვოს უფლებამონაცვლის მიმართ გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებს არც შუამდგომლობით მომართვის საფუძველი.<sup>158</sup>

- შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ შუამდგომლობის ავტორი მოითხოვდა, მხოლოდ გადაწყვეტილების ცნობას და არა აღსრულებას. ვინაიდან დავა თანხის *(ალიმენტის)* დაკისრებას შეეხება, გადაწყვეტილების მხოლოდ ცნობა მხარის მიერ დასახული მიზნის მიღწევის საკმარისი საშუალება ვერ გახდება, ვინაიდან თანხის გადახდის შესახებ გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებისათვის სავალდებულოა მხარე მოითხოვდეს ასევე უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევასაც.

იმგვარი სამართალწარმოება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს უფლებადარღვეული პირის რესტიტუციას და არ არის სამართლებრივი ეფექტის მომტანი მხარისათვის, ადამიანის უფლებათა ევროსასამართლოს პრაქტიკით, ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის *(სამართლიანი სასამართლოს უფლება)* მიზნებს ეწინააღმდეგება.<sup>159</sup> საცნო-

<sup>158</sup> სუსგ №ა-5936-შ-181-2019, 21 თებერვალი, 2020.

<sup>159</sup> Apostol v. Georgia; Hornsby v. Greece; IZA Ltd and Makrakhidze v. Georgia; Burdov v. Russia; Hornsby v. Greece.

ბი გადაწყვეტილებით, ასევე არ დასტურდება, რომ ვალდებული პირი საქართველოს მოქალაქეა.<sup>160</sup>

- შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვა უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე, იმ საფუძველით, რომ საქართველოში რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა შეიძლება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მხოლოდ საქართველოს კომპეტენტური ორგანოების მიერ.

მინსკის კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებათა ცნობასა და მათი აღსრულების ნებართვის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამ კონვენციის დებულებათა თანახმად, ხოლო კონვენციით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში – იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, **საქმე განეკუთვნება მისი დანესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას.**

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის 76-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის საფუძველია უფლებამოსილი პირის განცხადება და ამ კანონის 78-ე–80-ე მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოების არსებობა. სააქტო ჩანაწერებში ცვლილების შეტანის მოთხოვნით შუამდგომლობის ავტორს შეუძლია მიმართოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს.<sup>161</sup>

- არ არსებობს შუამდგომლობის განსახილველად მიღების წინაპირობები, რადგანაც საკითხის გადაწყვეტა (სამკვიდროს მიღება) სანოტარო ბიუროს და არა სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს, ხოლო სამართლებრივი შედეგის გა-

<sup>160</sup> სუსგ №ა-571-შ-19-2019, 12 თებერვალი, 2019.  
<sup>161</sup> სუსგ №ა-3942-შ-106-2019, 16 სექტემბერი, 2019. ასევე, ანალოგიური საქმეები: სუსგ №ა-4513-შ-141-2019, 15 ოქტომბერი, 2019, სუსგ №ა-5294-შ-158-2019, 29 ნოემბერი, 2019.

რეზე (საკუთრების მოპოვება სამკვიდროზე), შუამდგომლობის ავტორს (მემკვიდრეს) წინამდებარე შუამდგომლობის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიმართ არ შეიძლება გააჩნდეს ნამდვილი იურიდიული ინტერესი.<sup>162</sup>

- შუამდგომლობის ავტორს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად მიღებაზე უარი ეთქვა, იმ საფუძველით, რომ არ დგინდება საქართველოს სასამართლოებს აქვთ თუ არა მოცემულ დავაზე საერთაშორისო კომპეტენცია. სპეციალური კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ, თუ: ერთ-ერთი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო, მეუღლეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს ან ერთ-ერთი მეუღლე მოქალაქეობის არმქონე პირია და ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ქორწინება საქართველოშია რეგისტრირებული, არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს შუამდგომლობის განსახილველად მიღებისათვის.<sup>163</sup>
- შუამდგომლობა თანხის დაკისრების შესახებ უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, განუხილველად იქნა დატოვებული, იმ საფუძველით, რომ მოპასუხეს არ გააჩნია ქონება საქართველოში. განცხადების დასაშვებობისათვის აუცილებელია გადაწყვეტილება ექვემდებარებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას. სპეციალური კანონის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. ამ კანონის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ობიექტად მოიაზრება არა კა-

<sup>162</sup> სუსგ №ა-6048-შ-20-2018, 8 იანვარი, 2019.

<sup>163</sup> სუსგ №ა-4151-შ-115-2019, 16 სექტემბერი, 2019.

ნონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება, არამედ მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება. შუამდგომლობაზე დართული მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ განცხადების შემოტანის მომენტისათვის მოპასუხეს საქართველოში გააჩნია რაიმე ქონება, რაც მითითებული გადაწყვეტილების ცნობის შემთხვევაში გამორიცხავს საქართველოს ტერიტორიაზე მისი აღსრულების შესაძლებლობას.

- ვინაიდან, მოპასუხე რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები პირია, საკასაციო სასამართლომ სსსკ-ის მე 10 მუხლის თანახმად, დაავალა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფაქტობრივი მისამართის თაობაზე ინფორმაციის წარდგენა. სამინისტროს ინფორმაციით, მოპასუხე დევნილთა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში მოპასუხე იძულებით გადაადგილებულ პირად არ ფიქსირდება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით დადგინდა უწყების ჩაბარება 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით – საჯარო შეტყობინებით და განთავსდა სასამართლოს ვებგვერდზე: <http://ecd.court.ge> საჯაროდ გაცნობის მიზნით. იმის გამო, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოწინააღმდეგე მხარეს თავისი მოსაზრება არ წარუდგენია და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს უზენაესი სასამართლოსათვის, საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ.
- საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში, **მიუხედავად საარბიტრაჟო განხილვის ადგილისა**, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სსსკ-ის XXIII თავით დადგენილი წესები, გარდა 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

- უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი პროცესუალური შედეგის საქართველოს სახელმწიფოს მიერ მარტოოდენ ცნობამ, შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში აზრი დაკარგოს, თუკი მხარე, რომლის სასარგებლოდაც ეს გადაწყვეტილება გამოვიდა, საპროცესო უზრუნველყოფის ბერკეტის გარეშე აღმოჩნდება. შედეგად, ასეთი მხარის კანონიერი უფლებები და ინტერესები მნიშვნელოვნად დაზიანდება, რაც კანონმდებლის ინტერესს ეწინააღმდეგება.
- კანონიერ ძალაში შესული უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა განხორციელა, კერძოდ, ყადაღა დაედო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებში მოპასუხის სახელზე გახსნილ საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს შუამდგომლობაში მითითებული თანხის ფარგლებში. განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველია მინსკის კონვენციის 53-ე, 63 ე, სსსკ-ის 399-ე, 372-ე, 271-ე მუხლები.<sup>164</sup>
- გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და ერთ-ერთი მხარის უფლებების თუნდაც, კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის – სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. საკუთრების ნებისმიერი შეზღუდვის შემთხვევაში, შეზღუდვა უნდა განხორციელდეს მხარის ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით. საკუთრების უფლებაში ჩარევა უნდა პასუხობდეს დასახულ მიზანს და იმდენად უნდა ინვესტირდეს მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას, რამდენადაც ეს აუცილებელია ამ მიზნის მისაღწევად.

მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი ნებსრიგის განმტკიცებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური წინაპირობაა. მართლმსაჯუ-

<sup>164</sup> სუსგ №ა-2968-შ-77-2021, 24 ივნისი, 2021.



ლების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალწარმოებაში პოვნებს გამოხატულებას.<sup>165</sup> როგორი სწრაფიც არ უნდა იყოს მართლმსაჯულება, როგორი სამართლიანი და კანონიერიც არ უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილება, მართლმსაჯულების მიზნები და ამოცანები განუხორციელებელი რჩება, თუ არ მოხდება გადაწყვეტილების აღსრულება.<sup>166</sup>

- საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ **საცნობი გადაწყვეტილებით მოპასუხეს (მოვალეს) წარმოადგენს საწარმო და არა – კომპანიის დირექტორი**. განმცხადებელს არ მოუთხოვია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საწარმოს ქონებაზე, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს სათანადო მოპასუხეს.<sup>167</sup>

---

<sup>165</sup> შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013, 3.

<sup>166</sup> სუსგ №ა-2968-შ-77-2021, 24 ივნისი, 2021.

<sup>167</sup> სუსგ №ა-3421-შ-93-2019, 25 ოქტომბერი, 2019.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

